

ნიმო ჩიხლაქე



ლოეინიქე

ეკისტევი

/ჯანდუგილი/

მონოგრაფია

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1960

წინასიტყვაობა

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწე ქალთა შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა პოეტი ქალი დომინიკა ერისთავი, ქართულ მწერლობაში „განდეგილის“ ფსევდონიმით ცნობილი. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიის ისეთ მღელვარე ფურცელთან, როგორც XIX საუკუნის 90-იანი წლები იყო. ამ დროს ქართველ საზოგადო მოღვაწე მამაკაცებს მხარს უმშვენიებდნენ ჩვენი ერის საპატიო მანდილოსანნი: ეკ. გაბაშვილი, ანასტასია წერეთელი-თუმანიშვილისა, მარიამ დემურია, ეკ. მესხი, მარიამ საფაროვა, ოლღა გურამიშვილი. ნატო გაბუნია, ეფემია მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო ყიფიანი, ნინო ორბელიანი, ანასტასია ხოშტარია, ნინო ჩხეიძე და სხვები.

დომინიკა ერისთავი სწორედ ამ პლედის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული კულტურის განვითარების საქმეს და, ეროვნული გამანათვისუფლებელი მოძრაობის ბელადის ი. ჭავჭავაძის დროშის ქვეშ, თავისი ნაყოფიერი, მრავალფეროვანი, უანგარო საქმიანობით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

დომინიკა ერისთავს წილად ხვდა ემოღვაწევა და თავისი წერილები ებეჭდა ისეთი კორიფეების გვერდით, როგორც იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ალ. ხაბანაშვილი და სხვები. ასეთი ტიტანების გვერდით შრომა მართლაც დიდათ პასუხსაგები იყო და განდეგილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩინებულად გაართვა თავი ამ ძნელსა და მძიმე საქმეს.

მარტო ის რად ღირს, რომ ილიას შემდეგ იგი იყო ვაჟა ფშაველას უახლოესი მეგობარი, განსაკუთრებული მზრუნველობით დასტრიალებდა თავს და ყოველთვის გულწრფელად ექომმაგებოდა მის მადლიან ნიჭს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკა სავსეა დომინიკა ერისთავის ნიჭიერი საპოლემიკო წერილებით, ფელეტონებით, ნარკვევებით.

განდევილი მუშაობდა ბელეტრისტიკაში, პუბლიცისტიკაში, კრტიკაში და მიუხედავად მისი ასეთი დამსახურებისა, იგი მაინც იმ დავიწყებულ პოეტთა და მწერალთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც ჯერ კიდევ არ ღირსებით სათანადო გარჩევა და დაფასება.

ამ მხრივ აუცილებლად მისასალმებელია იოსებ გრიშაშვილის ცდა დავიწყებულ მწერალთა აღდგენისათვის, რომელმაც 1927 წელს გამოსცა დავიწყებულ პოეტის სოლო გოშაძის, ეთიმ გურჯის და სხვათა წიგნები.

„მე განზრახული მქონდა დავიწყებულ პოეტების სრულა სერია დამესტამბა და ჩემი წინასიტყვაობითა და რედაქციით გამომეცა“, — წერს იოსებ გრიშაშვილი თავის მოგონებებში დომინიკა ერისთავზე.

ცხადია, გრიშაშვილის ეს გულწრფელი განცხადება გვაძლევს ერთგვარ სტიმულს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ დავიწყებულ პოეტების ლიტერატურულ მემკვიდრეობას, საფუძვლიანად შევისწავლოთ იგი და თავისი ადგილი მიუეჩინოთ ლიტერატურის ისტორიაში.

ჩვენი შრომის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ ღირსეულად წარმოვადგინოთ პოეტი ქალის დომინიკა ერისთავის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და თუ დღემდე ქართული საზოგადოებრიობა მას იცნობდა როგორც მე-19 საუკუნის 90-წლების ნიჭიერ პოეტ ქალს, დღეს იგი გაიცნობს, როგორც ბელეტრისტს, პუბლიცისტს, კრიტიკოსს, ჟურნალისტს, მთარგმნელს და საზოგადო მოღვაწეს.

დასასრულს მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო გ. ლეონიძეს, ი. გრიშაშვილს, ბაბილინა ხოსიტაშვილს, მარიჯანს, ნინო ნაკაშიძეს, ანა ხახუტაშვილს, ს. თავაძეს, თამარ

მაჭავარიანს, ალექსანდრე კოჭლავაშვილს, დავით შულღია-
შვილს, ივ. კაკაბაძეს; მწერლის ახლობლებს, ნათესავეებს: მის
შვილს მიხეილ მდივანს, შვილიშვილს რევაზ მაჭავარიანს, ნინო
რცხილაძეს, თინა ვეშაპელს, თინა აბაშიძეს, ოლღა გელოვანს,
პაშა ერისთავს—ყველა მათ, ვინც თავისი მოგონებით და რჩევა-
დახმარებით ხელი შემიწყოვეს აღმედგინა და შეძლებისდაგვა-
რად დამემუშავებინა პროტი ქალის დომინიკა ერისთავის
ცხოვრება და შემოქმედება.

ა ვ ტ ო რ ი

დომინიკა ერისთავის ცხოვრება

განდევილი — პოეტი ქალის დომინიკა ერისთავის ფსევდონიმია.

იგი დაიბადა 1864 წლის 28 ოქტომბერს, იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, სალომინაოში, რომელსაც ერისთავების გვარის დასახლების გამო დღესაც საერისთავოს უწოდებენ.

დომინიკას მამა ზურაბ ერისთავი—ხელმოკლე აზნაური-შვილი, დავით დადიანის ნათლული, მაზრის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. სოფელში იგი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, მშობლიური ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო და ლექსებსაც წერდა.

დომინიკას დედა ანა მარჯანიშვილი, ასული ანდრია მარჯანიშვილისა, ლამაზი, სათნო და კეთილშობილი ქალი, ჩვენი საზოგადო მოღვაწეების კოტე მარჯანიშვილის, სერგეი, კოტე ეფემია და დავით მესხის ნათესავთა შტოს ეკუთვნოდა.

დომინიკას მამის ოჯახში, მრავალი ძველი ხელნაწერი და ძვირფასი ნივთი ყოფილა დაცული. ქართული ლიტერატურის გვერდით შეხვდებოდით რუსულსა და უცხოეთის ლიტერატურასაც.

პატარა დომინიკასათვის წერა-კითხვა დედას უსწავლესია, ხოლო შემდეგ იგი მიუხარებიათ სოფელ ხორხის პანსიონში, სადაც ათი წლის ასაკში მყოფს უკვე დაუწყია ლექსების წერა.

ამრიგად, დომინიკამ მთელი თავისი ბავშვობა სოფელში გაატარა, რომელიც მერე, ბუნებრივია, შეიქნა მისი პოეტური შთაგონების წყარო.

პატარა ქალიშვილზე საკმაო გავლენას ახდენდა დომინიკას უფროსი ძმა ილიკო ერისთავი. გარეგნულად წარმოსადეგი, მოხდენილი ვაჟკაცი, სახელგანთქმული მოჯირითე და მოკრივე, ლექსებსაც წერდა.

საყვარელი და-ძმა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შაირებსა და ლექსების წერაში. მომავალი პოეტი ქალი ანგარიშს უწევდა უფროს ძმას, რადგან დომინიკას და-ძმებიდან კლასიკური განათლება მხოლოდ ილიკო ერისთავს ჰქონდა.

ზამთრობით ზურაბ ერისთავის ოჯახი ქუთაისში გადადიოდა საცხოვრებლად.

ლამაზ თავადიშვილებს დომინიკასა და ილიკოს ხშირად ეპატიებოდნენ ქალაქის საუკეთესო წრესა და საზოგადოებაში.

აქ დაუახლოვდა და გაეცნო იგი მეზობლად მცხოვრებ გუბერნატორ რავეცკის ქალიშვილებს, რომელთა წყალობით დომინიკა დაეუფლა რუსულ ენასა და რუსულ ლიტერატურას.

სოფლის პირობებში გაზრდილი ქალიშვილი მალე შეეჩვია წარჩინებულ საზოგადოებაში თავის დაჭერას, დაეწაფა თვითგანვითარებას, დაიწყო ოცნება მომავალ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მაგრამ ეს ბედნიერი დღეები არც ისე დიდხანს გაგრძელებულა. მამის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ძირფესვიანათ შესცვალა ახალგაზრდა ქალის ცხოვრება.

დომინიკას დედამ ანა მარჯანიშვილმა და მისმა უფროსმა ძმამ ილიკომ გადაწყვიტეს დაებინავებინათ უკვე მომწიფებულ ქალი და თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ბედი მოულოდნელად დაუკავშირეს ქუთაისში მცხოვრებ ცნობილ ვაჭარს და კომერსანტს სოლომონ მდივანს, წლოვანებით გაცილებით უფროსს.

ასე უფერულად მიდიოდა დომინიკას სიცოცხლის დღეები. სოლომონ მდივანი ეჭვიანი, მძიმე, აუტანელი ხასიათის გამოდგა — გვიამბობს დომინიკას ცხოვრების შესახებ პოეტი ქალის ძმისწული ოლლა გელოვანი — მან სამუდამოდ ჩაკეტა დომინიკა ოჯახში. ხანში შესულ სოლომონისათვის გაუგებარი იყო ახალგაზრდა ქალის ცოცხალი ბუნება.

ახლო ნათესავეები და მეგობრები ერიდებოდნენ მასთან მისვლას.

მარტოობაში მყოფი ქალი წიგნების კითხვით ირთობდა თავს. გულზე მიწოლილ სევდასა და ნაღველს წერით იქარებდა.

დომინიკა დაშინებული იყო მეუღლით. თავის ნაწერებსა საბნის და ბალიშის ქვეშ ინახავდა.

— სიცილიც კი დამავიწყდაო, — შემოგვჩივლებდა მასთან მისულ მახლობლებს გულმოკლული ქალი.

შეუფერებელი ქორწინების შედეგათ დღითიდღე რთულდებოდა ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის.

„თავის პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო დომინიკას არაერთხელ უსაყვედურებია დედაჩემისათვის, — დასძენს დომინიკას დის შვილიშვილი თინა აბაშიძე, — დიახ, უბედური ვიყავი, ვცხოვრობდი იმ ადამიანთან, რომელიც არ მიყვარდა და რომელთანაც სულიერად არაფერი მაკავშირებდა. მე ჩემი სამშობლო მიყვარდა, მიყვარდა ხალხი და ჩემი ახალგაზრდობა ჩემი ერის სამსახურისთვის მინდოდა მომეხმარა, ეს სურვილი თავიდანვე აკვიატებული მქონდა, რადგან ყველა ქალივით მარტო ოჯახი, როდი მიტაცებდა. და მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მოვხვდი სულ სხვა გარემოში, სადაც სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადამექცა.

✓ ჩემი მეუღლე ორმაგ ფანჯრის შუა ბუზებს სვამდა, რომ არ გამეღო და ვინმეს არ გამოვლაპარაკებოდი.

და აი, როცა ჩემს ფანჯარასთან მხიარულ ქუთაისის ახალგაზრდობას დავინახავდი, დამფრთხალ ფრინველივით მივეარდებოდი სარკმელს და თვალცრემლიანი დიდხანს, დიდხანს გავსტკეპროდი მათ ბედნიერ, თავისუფალ ცხოვრებას...

მეც რომ ახალგაზრდა ვიყავი, მეც ხომ მინდოდა მქონოდა ნამდვილი ახალგაზრდობა, — გავიფიქრებდი და ბალიშებში გულსაკლავად ავქვიითინდებოდი“.

ასეთ მძიმე პირობებში მყოფ ქალისათვის ადვილი არ იყო სულის შემხუთავ, მეშჩანურ რკალის გარღვევა და ფართო სარბიელზე გამოსვლა, ამიტომ დომინიკას ფიქრი და აზრი ახლა იქითკენ იყო მიმართული, ჩქარა ფრთები გაეშალა და ქალის დამოუკიდებელ უფლებებისთვის ებრძოლა.

ამ აზრამდე მომავალი პოეტი ქალი მიიყვანა ფრანგი მწერალი ქალის ყორჟ ზანდის ნაწარმოების კითხვამ და მანაც ხმა

აღიმაღლა ქართველი ქალის ცხოვრების გაუმჯობესებისა და ღირსების დასაცავად. ამ მხრივ დომინიკა ერისთავის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა თითქმის ანალოგიურია ყორჟ ზანდის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, იმ განსხვავებით, რომ განდგეილი ხანდაზმული გარდაიცვალა, ყორჟ ზანდი კი დაიღუპა მომწიფებისა და შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში.

ხალხი და მისი ბედნიერებისთვის ბრძოლა გაიხადა თავის ამოცანად დომინიკა ერისთავმა.

თავისი ოჯახური ტრაგედია მან გულწრფელად გაუზიარა შემთხვევით სტუმრად მოსულ ბიძაშვილს, რომელმაც, გაათვალისწინა რა ქალის მდგომარეობა, ურჩია თავის გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა.

— ნიჭიერი ქალი ხარ!!! — უთხრა მან. — ქალაქში შენი ბიძაშვილი ანდრია ღულაძე ცხოვრობს, რედაქციაში მუშაობს, „ნობათის“ რედაქტორად, ჩადი მასთან, აუხსენი შენი მდგომარეობა და სთხოვე მოგაწყოს სადმე. ნუ ჩაპკლავ შენს მისწრაფებებს, წელს მოიმაგრებ და შემდეგ ბავშვებსაც გადაიყვანო*, — ვკითხულობთ ოღლა გელოვანის მოგონებაში.

აქაც დომინიკა ერისთავმა ყორჟ ზანდისებური მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინა, გადალახა ქართველ ქალისათვის ჩვეულებრივი კარჩაკეტილი ბუნება, ვიწრო ოჯახურ-ობივიატელურ ჩარჩოში ჩაქედილმა ახალგაზრდა ნიჭიერმა ქალმა, ბოლოს მაინც შესძლო დაემსხვრია მეშჩანური ბორკილები და სამუდამოდ კავშირი გასწყვიტა იმ ადამიანთან, რომლისთვისაც გაუგებარი იყო შემომქმედი ქალის საზოგადოებრივი ინტერესები.

დომინიკა ერისთავი თბილისში ბიძაშვილმა ანდრია ღულაძემ ჩაიყვანა. ანდრია ღულაძე იმ დროს ქართული ჟურნალის „ნობათის“ რედაქტორად მუშაობდა. მან მოაწყო დომინიკა რედაქციაში და მანვე დაახლოვა ქართველ მწერლებს. მაგრამ დომინიკა ერისთავის პირველი ლიტერატურული ნა-

* ოღლა გელოვანის მოგონებანი, შტურებილია მწერლის მშობლიურ სოფელში. სალომინაოში, ჩემს მიერ. (ავტ.)

ბიჭების შემფასებელი, მისი საზოგადოებრივი გზის გამკაფავი, მაინც ილია ჭავჭავაძე იყო.

ოღლა გელოვანი გვიამბობს: „დომინიკას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ჩვენ გვენათესავებოდა. ჩვენ საერთოდ ფართო ნათესაობა გვქონდა ჭავჭავაძეებთან, ციციშვილებთან, მარჯანიშვილებთან, მაჭავარიანებთან, მესხებთან, წერეთლებთან. თვით აკაკი წერეთელიც დომინიკას ახლო ნათესავი იყო — ჩვენი და აკაკის საერთო ნათესავი ანიჩკა თარხნიშვილი აკაკის სახლში ცხოვრობდა.

მახსოვს ქუთაისში ერთად მოვიდნენ ჩვენთან ეტლით დომინიკა და ილია ჭავჭავაძე.

თვითონ დომინიკასაგან მქონდა გაგონილი: „ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ნინო ორბელიანის წყალობით გავიკაფე გზა მწერლობაში“.

დომინიკა ერისთავის თანამედროვე მწერალ ქალის ნინო ტყეშელაშვილის მოგონებაში ვკითხულობთ: * „დომინიკა ილია ჭავჭავაძის ოჯახში საგურამოში ილიას მეუღლესთან საკმაოდ დაახლოვებული იყო და ილიას მეუღლეს ოღლას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. ილია შემთხვევით გასცნობია დომინიკას ლექსებს, მოსწონებია მისი ლექსები და გულწრფელად ურჩევია ახალგაზრდა ქალისათვის ემუშავა ამ მიმართულებით“.

დომინიკას უახლოესი მეგობარი ჩვენი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ რცხილაძის და ნინო რცხილაძე წერს: „განდევილი დიდი პატივმცემელი იყო ილია ჭავჭავაძისა. ილიამ მოაწყო იგი ბანკში, მაშინ რატომღაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები ბანკის სტიპენდიანტებივით იყვნენ, ვითომ აქ მსახურობდნენ, ვითომ რაღაცას აკეთებდნენ და ამით ირჩენდნენ თავს. უნდა ვიფიქროთ, რომ დომინიკას ბანკში სხვა არაფერი თანამდებობა არ შეიძლება ჰქონოდა გარდა ბიბლიოთეკაში მუშაობისა. ამას შესანიშნავად ადასტურებს ჩემს მიერ მიკვლეული დომინიკას წერილი ივ. მაჩაბლის მეუღლისადმი, სადაც იგი დიდ

* ნინო ტყეშელაშვილის მოგონება, № 13197—6 საქართველოს საბ. ლიტერატურული მუზეუმი.

მადლობას უხდის ადრესატს 'აინტერესო ცნობების მიწოდებ-
ვისათვის.

„დიდით პატივცემულო კნენა ანასტასია ალექსანდრეს
ასულა!

მივიღე თქვენი საპატიო ბარათი და გმადლობთ, რომ ყუ-
რადლებს ღირსად გამზადეთ. ეს მით უფრო სასიამოვნოა ჩემ-
თვის, რომ ჩვენი დაუვიწყარი თავადი ივანე განსაკუთრებული,
პატივისცემაში, საყვარელი იყო ყველა მის თანამედროვე შეგ-
ნებულ ქართველთათვის, მეც სწორედ გამზადდები ჩემს მოგო-
ნებას. მინდოდა შეგკითხებოდი თქვენ ამის შესახებ. ეხლ
კი, რაკი თქვენგან ასეთი მოწოდება მივიღე, ვეცდები ჩემი აზ-
რი გაუზიარო ჩვენ საზოგადოებას. ვეცდები აგრეთვე მოეძებ-
ნო ლექსი, რომელიც მართლაც გულამოკვნილობა დაეწერე
იმ უბედურ დროს. თუ ვიპოვე სადმე ამდენის გადასვლა-გად-
მოსვლის შემდეგ. კარგი ბევრი ხელთნაწერები დამეკარგა და
ვაი, თუ ისიც იქ მოპყვა.

მიიღეთ ჩემი უგულითადესი პატივისცემა და უღრმესი
მადლობა იმ დიადი ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ იკისრეთ
თქვენი ძვირფასი მეუღლის ნაღვაწთა გადმოცემისათვის.

ჩვენ ყველანი ზნეობრივად ვალდებული ვართ ხელი შე-
ვიწყოთ, რათაც შეგვეძლება.

მარად თქვენი პატივისცემელი გ ა ნ დ ე გ ი ლ ი *.

როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, ბანკთან არსებობდა
ბიბლიოთეკა, სადაც მუშაობდა დომინიკა და როგორც წ. კ.
გამავრცელებელი საზოგადოება, ისე დომინიკაც აგროვებდა
მასალებს ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის
შესახებ.

„დომინიკა ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ილია ჭავჭავაძის
ეროვნულმა საქმიანობამ, — განაგრძობს ნინო რცხილაძე, —
მის ნაწერებზე დღე და ღამეს ათენებდა. იცი ნინო, ილია ჭავ-
ჭავაძის ნაწარმოების „განდეგილის“ — წაკითხვის შემდეგ
ჩემს ფსევდონიმად განდეგილი ავირჩიეო“.

შეიძლება ეს არ იყოს წმინდა მეცნიერული საბუთები ამ

* 9 აპრილი 1913 წელი „Тифлисский Дворянский земельный банк“.
სქართველოს ლიტ. მუზეუმი მაჩაბლის ფონდი № 206.

ზრის დასამტკიცებლად, მაგრამ ერთი ცხადია, რომ პირველად ადამიანი, რომელმაც გზა გაუყაფა დომინიკას მწერლობაში, ეს იყო ილია ჭავჭავაძე.

პირველივე მისი ლექსი, ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო, 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილიას ინიციატივით უნდა დაბეჭდილიყო.

ცხადია, ილიას ავტორიტეტული სიტყვა საკმარისი იყო, რომ ქართველი საზოგადოება განსაკუთრებული სიმპათიით შეხვედროდა ახალგაზრდა ქალის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას.

მიუხედავად იმისა, რომ დომინიკა ერისთავი გაცილებით ახალგაზრდა იყო იმ დროს უკვე სახელმოხვეჭილ მწერლებთან (ილია, აკაკი, ვაჟა და სხვ.), დომინიკა მაინც ცდილობდა ახლო ყოფილიყო ამ შესანიშნავ ადამიანებთან, ესწავლა მათგან და სამშობლოსათვის ღირსეული მამულიშვილობა გაეწია.

„უცნაური ჩვეულება მჭირს — გვეტყოდა ხოლმე დედაჩემი, — გვიამბობს მისი ვაჟი, მიხეილ მდივანი, — ჭინჭველისა არ იყო, ჩემზე მეტი ტვირთი უნდა ავიკიდოო“.

ეკვი არ გვეპარება, რომ ამ ტვირთის ქვეშ განდევილი უღარესად ბედნიერად სთვლიდა თავს, რადგან, ეს ტვირთი სამშობლოს ერთგული სამსახური იყო.

განდევილი 1893 წელს აქვეყნებს თავის პირველ ლექსს „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების გამო“.

ამავე წელს ილია ჭავჭავაძის წინადადებით იგი მიწვეულ იქნა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად კორექტორის თანამდებობაზე.

ამის შემდეგ განდევილი განუწყვეტლივ თანამშრომლობს ქართულ პერიოდულ გამოცემებში „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „კვალში“, „თემში“, „ნობათში“, „ფასკუნჯში“, „სახალხო ფურცელში“, „ალმანახში“, „ჩეჩილში“, „ნაკადულში“ და სხვა.

1898 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი ლექსები, ხოლო 1910 წელს პატარა მოთხრობებისა და ლექსების წიგნი.

1898 წელს დომინიკა ერისთავმა, პირველმა თარგმნა ლექ-

სად გრიბოედოვის უკვდავი პოემა „ვაი ჭკუისაგან“. 1902 წელს იგი ცალკე წიგნად გამოვიდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით.

1900 წელს უურნალ „კვალში“ ვკითხულობთ:

„19 ოქტომბერს გაიხსნა თბილისის ქართულ თეატრში სეზონი ცნობილი კომედით „ვაი ჭკუისაგან“. ხალხი ტაშის გრილით ელოდა მწერალ ქალის დომინიკა ერისთავის სცენაზე გამოსვლას“.

ამ თარგმანს დღემდე არ დაუქარგავს თავისი მნიშვნელობა, საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი ორჯერ იქნა გამოცემული — უკანასკნელად 1945 წელს.

განდეგილი მხოლოდ პოეტი არ ყოფილა. იგი ნიჭიერი ბელეტრისტი, მთარგმნელი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო.

1904 წელს დომინიკა ერისთავი უურნალ „ნობათის“ რედაქტორად დაინიშნა.

1914 წელს, მსოფლიო ომის დროს „ქართველ ქალთა საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა კულტ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

განდეგილი ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა კრიტიკაში, პუბლიცისტიკაში, სისტემატურად აქვეყნებდა საინტერესო წერილებს.

იგი ავტორია მრავალი შესანიშნავი მინიატურისა, ნოველისა, თუ ფელეტონისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, უკვე ხანში შესული მწერალი ქალი კვლავ მხნედ განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას, თანამშრომლობდა თბილისის, ბათუმის, ქუთაისის პერიოდულ გამოცემებში, უკანასკნელად კი გაზეთ „კომუნისტში“ უცხო ინფორმაციათა განყოფილებაში.

დომინიკა ერისთავი-განდეგილი უდაოდ პროგრესული მოვლენა იყო. იგი ეკუთვნის ამ უანგარო მამულიშვილთა რიცხვს, რომელთაც მთელი თავისი ძალა და ენერჯია სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს მოახმარეს.

განდეგილი გარდაიცვალა 1929 წლის 29 თანვარს.

უკანასკნელად, სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფმა ქალმა ფანჯარასთან მისვლა მოითხოვა. ქუჩაში მოფუსფუსე ხალხს გადახედა და გაიღიმა.

„მე ვხედავ ხალხს, იმ ხალხს, რომელსაც შეეწირე ჩემი სიცოცხლე, არ მეშინია სიკვდილის, რადგან ჩემს ხალხს ბედნიერს ვხედავო“, — თქვა მან, ხელიდან გაზეთი გაუეარდა და სამუდამოდ დახუჭა თვალები...

ასე წავიდა ერთი ლამაზი სიცოცხლე შემოქმედი ქალისა, რომელიც სამშობლოს სამსახურში დაიფერფლა.

* * *

დომინიკა ერისთავის ნიჭს გამოჩენისთანავე გამოეხმაურა ლიტერატურული კრიტიკა. ხომლეღმა (რომანოზ ფანცხავამ) „აქაკის კრებულში“* — საკმაოდ ვრცელი რეცენზია უძღვნა მას; იგი ქებას ასხამდა საერთოდ ქართველი ქალის ლიტერატურულ მოღვაწეობას და გულწრფელად ულოცავდა ნიჭიერ პოეტს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას.

რომანოზ ფანცხავა, იხილავს რა დომინიკა ერისთავის პოეტურ კულტურას, აღნიშნავს: „საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით ვუამბო მკითხველს ქართველ ქალთა სალიტერატურო მოღვაწეობის მოკლე ისტორიაც.“

ჩვენი მცხოვანი პოეტის რაფიელ ერისთავის და კნენა ბარბაღე ჯორჯაძისა, მგონი, პირველი ქალი იყო, რომელიც 1858 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და დაიწყო ლექსებისა და მოთხრობების წერა ჟურნალ „ცისკარში“: „შური და კომედია“, „რა დაგვარგე და რა ვნახე“ ავტორის მიერ ამ 35 წლის წინად დაწერილი და არა ერთხელ წარმოდგენილი ქართულ თეატრში.

ამას თან მოჰყვა 70-იან წლებში ევროპული განათლებით ქართულ საზოგადოებისაგან საკმაო საკითხავი თხზულებათა თარგმანები, რომელიც ჟურნალ „კრებულის“ შესანიშნავი კრიტიკის სიტყვით: „სწორედ საპო და ბედნიერი მოვლენა იყო ჩვენს ბედშავ მწერლობაში“.

* „აქაკის კრებული“, 1899 წ., № 1, გვ. 28

ქალების ამ ახალ შრომას მაშინ მიზნად ქართველ საზოგადოების და ლიტერატურის სიკეთე ჰქონდა წინ წაყენებული და ამიტომ ზემოდასახელებული კრიტიკაც დიდი სიამოვნებით და აღტაცებით მიეგება ქართველი ქალების სასარგებლო შრომას. სხვათაშორის გამოითქვა ეს საგულისხმო სიტყვებიც: — „თუ ჩვენ მართლაც გვწამს მომავლის ღირსება და სიკეთე, ჩვენ ასე მჩატედ და უზრუნველად კი არ უნდა მოვეპყრათ ქართველი ქალების შრომას, როგორც ჩვენი სკეპტიკები... არამედ დავაფასოთ და მოვეპყრათ ქართველ ქალებს, როგორც ტოლი ტოლს, კაცურად, პირუთვნელად და გულგაშლილად“.

ამ დაწინაურებული მწერლის სიტყვებით გამხნეებული ქართველი ქალები შემდეგ უფრო წინ მიდიან, კეთილსა და სასარგებლო საქმეს ჰკიდებენ ხელს და ჩვენს ლიტერატურაში პირველად იწყებენ დიდ საქმეს.

ქართული ქალები პირველად აარსებენ საქართველოში 80-იან წლებში საკუთარ ჟურნალს „ქართულ ბიბლიოთეკას“. სადაც ბევრი პატივსაცემი და ნიჭიერი მანდილოსანი მუშაობს მხნედ და გატაცებით.

ამ ხანებში განსაკუთრებით ორმა ქალმა გამოიჩინა თავი — ეკ. გაბაშვილმა და ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისამ.

პირველი არის ნიჭიერი ბელეტრისტი ქალი, მეორე ნიჭიერი მთარგმნელი და რედაქტორი საყმაწვილო ჟურნალ „ჭეჭილის“ და საკვირაო გაზეთისა „კვალი“.

ამავე დროს ლექსებს წერს და სტამბავს ნინო ორბელიანი. 90-იან წლებში არ დაგვტოვეს ხელცარიელი და მცირე რაზმს ქართველ ქალებისას მიემატა ნინო ყიფიანი, ანასტასია ერასთავი და დომინიკა ერისთავი“.

როგორც ვხედავთ, დომინიკა ერისთავი ამ დროისათვის საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. ოცდარვა წლის ახალგაზრდა ქალი სწორედ ამ წლებში შლის თავის შემოქმედებით ნიქს და ბუნებრივად ხვდება იმ წრეში, რომელსაც მეთაურობდნენ ილია ჭავჭავაძე და სხვა გამოჩენილი მწერლები და პუბლიცისტები (მეველე, ილია ხონელი, მესხი და სხვ.)

„გადაშალეთ განდევილის ლექსები, განაგრძობს რომანოზ ფანცხავა, და აბა ნახეთ, თუ პირველ გვერდიდან ბოლომდე წედიწედ სიამოვნებით არ ჩაიკითხოთ სულ მთელი წიგნი. აქ თქვენ ერთ ლექსაც ვერ გამოტოვებთ, რადგან პირველი ლექსივე იწვევს თქვენში სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რომლის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ და ქემშარტ ნიჭიერ მწერლის ნაწარმოებს“*.

ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა განდევილს, რომანოზ ფანცხავა. განდევილის ლექსიკის შესახებ იგი თამამად წერდა:

„ქ-ნი განდევილი შესანიშნავად ფლობს და ხმარობს ქართულ სიტყვიერებას, ჩვენს სალიტერატურო ენის მდიდარ ფორმას, რაც შოთა რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, ილიას და აკაკის წყალობით ავიდა უმდიდრეს წერტილამდე“.

კომპენტენტური აზრია აგრეთვე გამოთქმული დომინიკა ერისთავის შესახებ 1901 წელს გაზეთ „კვალში“.

„ყველა წერილებში საუკეთესოდ მიგვაჩნია ქ-ნი განდევილის წერილი, ის არ უყურებდა, რომ ზოგ ეპოქაში მწერლობა უფრო ჰყვავის, ზოგში ნაკლებად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მწერლობა ნაყოფია თვით ცხოვრებისა და ცხოვრების ცვალებადობა ჰბადებს მწერლობის ცვალებადობასაც.“

ჩვენი მწერლობა ჩვენს ცხოვრებას, ქ-ნ განდევილის აზრით, კვალდაკვალ მისდევდა და აქედან მას ის დასკვნა მოჰყავს, რომ მომავალში ჩვენი ლიტერატურის წინმსვლელობას ვერაფერი შეაფერხებს“**.

როგორც ვხედავთ, დომინიკა ერისთავი ფართოდ ერკვეოდა ცხოვრების დიალექტიკის კანონებში, მან კარგად იცოდა, რომ პოეზია არ არის გარეშე დროისა და ადგილისა.

აკი პოეტი ქალი 1911 წელს წერდა: „მგოსანი, ნამდვილი ნიჭით დაჯილდოვებული, ცოტა სამსახურს არ უწევს ქვეყანას. მისი სიმთა ჟღერა, ბგერაა მისი სულისა, — ეს არის გუ-

* „აკაკის კრებული“, 1899 წ., № 2.

** „კვალში“, 1901 წ., № 17 გვ. 3.

ლიდან აღმომხდარი კვნესა... იგი მესაიდუმლეთა თანამედროვე გულისა“.

ასე ესმოდა პოეტ ქალს პოეზიისა და მწერლობის როლი, მას ღრმად სწამდა, რომ რაც ნაკლებ შეეხება პოეზია ცხოვრებას, მით ნაკლები ღირსებისა არისო.

დომინიკა ერისთავის რეალისტური შეხედულება პოეზიას და მის დანიშნულებაზე უდაოდ გამომდინარეობდა თავის დიდი მასწავლებლის, მწერლისა და პოეტის — ი. ჭავჭავაძის შეხედულებიდან საერთოდ ხელოვნებაზე.

1910 წელს, როცა უკვე ცალკე წიგნათ გამოიცა დომინიკა ერისთავის ლექსები და მოთხრობები, ქართულმა კრიტიკამ მიუდგომლად შეაფასა პოეტი ქალის შემოქმედებითი მუშაობა. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირე განათლებას, რომელიც მას მიუღია და არა ხელსაყრელ და არა სასიამოვნო პირობებს მის ოჯახურ ცხოვრებაში, ჩვენ განცვიფრებაში მოვყავართ არა მარტო ამ მწერალ ქალის ნაყოფიერ შრომას, არამედ იმ სოციალურ კითხვების ცოდნასაც, რომელიც მას სწორედ აქვს შესწავლილი და გამოსკვივის მისი პროზით და ლექსით ნაწერ ნაწერებში.“

ქართულ ლიტერატურას სამართლიანად შეუძლია მოითხოვოს განდევილის ნიჭისაგან, უფრო დიდი ნაწარმოები, რომელიც ვრცლად მოიცავს საზოგადოების ცხოვრების სულას, რომელსაც ჯერ არ შეხებია მისი კალამი“*.

ქართლაც საოცარი იყო დომინიკა ერისთავის მომზადების დონე. იგი ყოველგვარი კლასიკური განათლების გარეშე დღითიდღე იმდენად იზრდებოდა, რომ ჩვენი დიდი კორიფეების ილიას, აკაკის, ვაჟას გვერდით ბეჭდავდა თავის წერილებს.)

განდევილის შემოქმედებას შესანიშნავი შეფასება მისცა კრიტიკოსმა ალექსანდრე ხახანაშვილმა: „Очерки истории Грузинской словестности“**, რომელიც 1906 წელს გამოვიდა ქალაქ მოსკოვში, ხახანაშვილი წერს: „ახალგაზრდა პოე-

* განდევილი — ლექსები და მოთხრობები. 1910 წელი, გვ.

** «Очерки истории Грузинской словестности, 1906 წ., გვ. 13.

ტის პლეადას ეკუთვნის მწერალი ქალი დომინიკა ერისთავი, რომლის შემოქმედებითი ტალანტი უფრო მკვეთრად გამოვლინდა მის პოეზიაში. მისი შემოქმედების თორმეტი წლის მანძილზე სავსებით გამოირკვა მისი პოეზიის ხასიათი. თავის აუღერებულ ლექსებში ის მღერის თავად ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის პანგზე. მისი ლექსი მოქნილი და მუსიკალურია, სხვები ნაზი და მომხიბვლელი. ბუნების სილამაზე და შინაგანი მოძრაობა მთავარი თემა არის მისი შთავგონებისა“.

ამ წერილში ალექსანდრე ხახანაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს განდეგილის პოეზიის საზოგადოებრივ ხასიათს, რომ მისი პოეზია არ იყო მომწყვდეული ვიწრო პირადული ხასიათის თემებით, არამედ ეხმაურებოდა სამოქალაქო მოტივებს და გარკვეულ შეხედულებებს გამოსთქვამდა თანამედროვე სოციალურ საკითხებზე.

ალ. ხახანაშვილი თავის მეორე შრომაში „ქართული სიტყვიერების ისტორია“*, რომელიც გამოვიდა დ. კარიჭაშვილის რედაქციით 1913 წელს, დომინიკა ერისთავის შესახებ წერდა: „ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეზიამ შექმნა სკოლა მიმდევართა, რომელთა შორის ლექსთა წყობის უნართ და გამომეტყველის ენით ყურადღებას იქცევს დომინიკა მდივნისა, მწერლობაში ცნობილი განდეგილის სახით“.

იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი, რომელიც მომაკვდინებელ ლახვარს სცემდა ქართული ენის დამახინჯებლებს და თავათაც ძლიერ განიცდიდა ქართული ენის სუსტ ცოდნას, წერს: „პირველ ხანებში ჩემი ნაწერების ენას ასწორებდნენ — შალაშინს გადაჰკრავდნენ, როგორც მაშინ ამბობდნენ რედაქციაში განდეგილი და არტემ ახნაზაროვი. შემდეგ არავინ მისწორებდა“**. ჩვენ ვიცით, რომ განდეგილი ამ დროს „ივერიაში“ კორექტორად მუშაობდა, ამასვე ადასტურებს ჩემს მიერ მიკვლეული იაკობ გოგებაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელი ბარათი დომინიკა ერისთავისადმი.

* ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913 წ., გვ. 321:

** გრიგოლ ვოლსკი, 1955 წ., გვ. 27.

„ბატონ ღომინიკა ერისთავ მღვიმისას პოეტისა განდევნილსა“, — ასე აწერია სადარბაზო კონვენტს*.

„პატივცემულო ბატონო ღომინიკა, ეხლა მე გიახლებით „ძმობის“ სტამბაში. ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ მოზრძანდებით და კორექტურის საქმეს აქვე გაეზარხავთ: მზადაა უკვე სამი ფორმა მესამე კორექტურისათვის. იქვეა საკორექტურო ყველა ფურცლები წინანდელის გამოცემისა.

თქვენი იაკობ გოგებაშვილი“.

ღომინიკა ერისთავის თანამედროვე მწერალი ქალი ბაბინა, ირ. ევდოშვილის და, თავის მოგონებაში წერს: — „მართალია, იგი ჩემზე უფროსი იყო და მე მისი მეგობარი არ ვყოფილვარ, მაგრამ იმ დროს, როცა მე მას დაუახლოვდი, განდევნილი უკვე სახელმძღვანელო პოეტი იყო.

რასაკვირველია, მე როგორც უმცროსი თაობა, ვეტრფოდი მას, ვეტრფოდი მის ლექსებს, რომელიც მიღვიძებდა ტრფიალსა და სიყვარულს სამშობლოსადმი. მის ლექსებში მე ვგრძნობდი არა ქალის ნაზ ხმას, არამედ ძლიერ ძალას, რომელიც ყოველთვის სამშობლოს დასაცავად მოგვიწოდებდა“.

ასევე იგონებს ღომინიკა ერისთავს თავის წიგნში „განვლილი გზა“** ღომინიკა ერისთავის თანამედროვე მწერალი ქალი მარიამ გარიყული: „მე მას ვხვდებოდი 1912 — 1913 წლებში ეკ. გაბაშვილის სახლში, სადაც ვიკრიფებოდი მშინდელი მწერალი ქალები.

განდევნილს საქართველოს ყოველ ზანდს ეძახდნენ. ღომინიკას, მართალია, არა ჰქონდა დიდი სქელტანიანი რომანები, მაგრამ თავის წერის მანერით, გემოვნებით და ჟანრით, ჩვენი ლიტერატურის მცოდნეები, რაღაცას საერთოს პოულობდნენ საფრანგეთის დიდ მწერალსა და ჩვენ საქართველოს მწერალთა შორის“.

ერთხელ მწერალმა ქალმა კატო მიქელაძემ გულწრფელად გამოსთქვა ღომინიკა ერისთავის შესახებ:

* სადარბაზო ბარათი გადმოცა განდევნილის შვილიშვილმა რ. შაქვა-რიანმა.

** მ ა რ ი ა მ გ ა რ ი ყ უ ლ ი, „განვლილი გზა“. მოგონებები, 1955 წ., გვ. 17.

ქსრულიად უსწავლელი ქალია და როგორ მიაღწია იმ სი-
მაღლემდე, რომ მან ასეთი შესანიშნავი თარგმანი მოგვცა ალ-
გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. უნივერსალური მომზადების
პატრონია. ეს ის ქალია, რომელიც ფრანგ მწერლებს ორგი-
ნალში კითხულობსო.“)

რომ დომინიკა საერთოდ დიდი სიყვარულით და ავტორი-
ტეტით სარგებლობდა იმ დროს თავის წრესა და საზოგადოე-
ბაში, ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ჩემს მიერ
მიკვლეული ორი სურათი. ერთი სურათი არის დამსახურებულ
ქართველ მსახიობ ქალის ელო ანდრონიკაშვილისა 1906 წლის
თარიღით.

ელო ანდრონიკაშვილი შემდეგი წარწერით უძღვნის თა-
ვის ფოტოსურათს განდევილს:

„ — უძღვნი განდევილს ნიშნად ღრმა პატივისცემისა!

ძვირფასო საქართველო, ნუ დაჰკარგავ იმედს, ჯერ არა
ხარ გადატაკებული, რადგან იმისთანა ასულები კიდევ დაგრ-
ჩენია, როგორც განდევილია“.

მეორე სურათი ეკუთვნის ქართული სცენის ოსტატს ეფე-
მია მესხს, რომელსაც მისივე ხელით აწერია: „ჩემს საამაყო
ნათესავს — ეფემია მესხს. 1901 წელი“*.

ელო ანდრონიკაშვილი გვიამბობს:

„მე კარგად მახსოვს, როგორც გამაცნო დომინიკა ერის-
თავი რედაქციაში მარიამ დემურიამ, — ეს ჩვენი დიდი პოეტი
განდევილიაო. ასეთი სახელი ჰქონდა მას. დიახ, რამდენჯერ
მიფიქრია ამ ქალზე, განდევილს დიდი განათლება უნდა ჰქო-
ნოდა, რომ უფრო ძლიერი ფარხმალით გამოსულიყო ლიტე-
რატურის ასპარეზზე“.

ასეთივე დიდი შეფასებას აძლევს პოეტ ქალს მწერალი
ქალი ნინო ნაკაშიძე.

„მას პოეტის სახელი რომ არ ჰქონოდა და მარტო „ვაი
ჭკუისაგან“ ეთარგმნა, ისიც უკვდავყოფდა მის სახელსო“.

პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, რომლის ლექსები

* ყველა ეს ჩემს მიერ ჩანაწერი მოგონებები და საუბრები მწერლებ-
თან ინახება ჩემთან. (ავტორი).

იბეჭდებოდა იმ დროს პოეტ ქალის დომინიკა ერისთავის ლექსების გვერდით, აღნიშნავს, რომ იგი იმ თავითვე პატივს სცემდა მის შემოქმედებით ნიქსა და ტალანტს: „მე მის ლექსებში ვხედავდი ვაჟკაცურ პათოსს, ამაში იყო სწორეთ მისი ძალა. მის ლექსებში ყოველთვის გამოკრთოდა ოპტიმისტური განწყობილება, ვაჟკაცური ხმა და დიდი რწმენა საქართველოს უკეთესი მომავლისა“.

ჩემთან საუბარში გრიშაშვილმა განაცხადა: „მე გადაწყვეტილი მქონდა აღმედგინა დავიწყებული პოეტები და დამესტამბა დავიწყებული პოეტების მთელი სერია, მათ შორის დომინიკა ერისთავიც“.

განდეგილმა ეს პატივი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში დაიმსახურა, როცა არაჩვეულებრივი ყურადღებით მოეკიდა ახალგაზრდა პოეტ ი. გრიშაშვილს. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ განდეგილი დიდ იმედებს ამყარებდა ახალგაზრდობაზე და ყოველ მხრივ უწყობდა ხელს მათ წინსვლას.

ი. გრიშაშვილი იგონებს: „დომინიკა ერისთავი ერთ ჩემს ლექსის დასტამბვაში დამეხმარა. ეს იყო ჩემი ლექსი „ზღვა“. მაშინ მე ორი წლის პოეტი თუ ვიქნებოდი... დავდიოდი კასპაროტკით და თბილისის პოეტს მეძახდნენ.

მეორე ჩემს ლექსზე კი „მუზა“ — დომინიკა ერისთავმა რეცენზია დაწერა და გაზეთ „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდა. მაქებდა, როგორც ახალგაზრდა პოეტს“*

ქართველი საზოგადოება რომ ანგარიშს უწევდა ერისთავის მსოფლმხედველობასა და აზრს, ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს გაზეთ „თემში“ დაბეჭდილი მისივე წერილი: „პოეტი ქალი დღევანდელი ქართული პოეზიის შესახებ“**.

წერილს ხელს აწერს ვინმე „ეჟურნალისტი“. როგორც წერილიდან ჩანს ზემოაღნიშნული პირი რედაქციის დავალებით მისულა დომინიკა ერისთავთან, რათა გასცნობოდა პოეტი ქალის შეხედულებებს ახალ ქართულ ლიტერატურაზე. მათ სა-

* „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., № 366.

** გაზ. „თემი“, 1912 წ., № 121.

უბარს ფრიად სერიოზული და საინტერესო ხასიათი მიუღია, ჟურნალისტს იმდენად მოსწონებია განდეგილს მიერ გამოთქმული აზრი მწერლების შესახებ, რომ მიზანშეწონილად მიუჩნევია დაესტამბა და ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო. ეს წერილი მოგვყავს მთლიანად, რადგან იგი შესანიშნავ წარმოდგენას გვაძლევს პოეტი ქალის პუბლიცისტურ ნიქსა და მის საზოგადოებრივ ინტერესებზე.

დომინიკა ერისთავი წერს: „იმ ხანებში (1893 წ.) როცა მე სამწერლო ასპარეზზე გამოვედი, ძველი მგოსნები უკვე მოღლილნი იყვნენ მუშათა ტრფიალით. ხოლო ახალნი წერით კა სწერდნენ, მაგრამ ან უვარგისი იყო მათი ლექსები, ან მალე მიჩუმდებოდნენ ხოლმე. მხოლოდ გრ. აბაშიძემ და ირ. ევდოშვილმა დაიმსახურა ჯეროვანი ყურადღება თავისი უტყუარი მგოსნობის ნიჭით. მათი ლექსები იყო ნამდვილი მგოსნის სულის ამონაქვენსი.“

დღეს კი სულ სხვაა... დღეს საქართველოს უტყუარ ნიქთა მთელი კრებული ჰყავს: აბა, გადავაჯლოთ თვალი ა. შანშიაშვილის, კ. მაყაშვილის, ო. გრიშაშვილის, ნ. ჩხიკვაძის, ზოზულეთელის, კიკნა ფშაველას და სხვა ახალგაზრდა მგოსანთა ლექსებს, განა ეს ძლიერი ნიჭის ღვარტქაფს არ წარმოადგენს?! გულდასმით გადაიკითხეთ ორიოდ ლექსი პროზით დაწერილ ცირეკიძის ან და ყოველად უნაკლო პოეზიით აღსავსე ნაწარმოები ს. აბაშელისა და დამეთანხმებით, რომ ქართულ პოეზიას ახალი ხანა უდგება, საქართველო არ კვდება, იგი ტიტანურ ძალას იკრებს, სულიერ სფეროში იღვიძებს, მძლავრდება, ქუჩიშვილი, იასამანი, რუხაძე — ყველა ესენი ვანა მესაიდუმლე არ არიან ხალხის გულისა?!.

ვერ ჩამოგითვლით ყველა ამათ ნაწერებს, ეს ვრცელ დროს მოითხოვს და მასთან კრიტიკოსის საქმეა, მე კი მხოლოდ ორიოდ ნიმუშს მოვიყვან მათ საპასუხოდ, რაც მე ზოგიერთებისაგან ახალგაზრდა მგოსნებზე მსმენია.

„ი. გრიშაშვილი მხოლოდ თავის სიყვარულს დამღერის და გარეშე ამისა, არაფერი ახსოვსო“, — მართალია, მაგრამ მგოსანი, როგორც ასეთი, იმისდა მიხედვით ფასდება, თუ რას და

ვის უმღერის! საქმე ის არის, როგორი ფორმაა, რა ძლიერება და რაგვარად სწავს სულის კელეპტარს.

გადაიკითხეთ გრიშაშვილის ლექსი „მუნა“, დაბეჭდილი 1912 წელს „სახალხო გაზეთ“—№ 366-ში და დარწმუნდებით, რომ მგოსანი უმიზეზოდ არ შესჩივის მუნას, როდესაც ამბობს:

„ერთათა ბარტყუნით შევმა ყორანმა მგოსნის საფლავზე ცეკვით დასჯიჯგანა ცრემლ ნასხური სატრფოს ყვავილიო“.

„აბაშელი პეიზაჟებს გვიხატავსო“, — მეუბნებიან ზოგიერთები. მერე, განა ამ პეიზაჟებში უტყუარად არ მოჩანს ძლიერება ბუნებისა და მასთან კაცთა ამოება და უკუღმართობა?! ეს პეიზაჟები ჩვენს გულს, ჩვენს სქელ ქერქს ისე კი არ სწვდება, როგორც ბოქაულისაგან გამოკრული მწვავე მათრახი, არამედ იგი გვატკბობს, გვესალმუნება, სულს აფრთოვანებს.

კაცობრიობის ეს თავისებური სისხლისმსმელთა, ნადირთა ერთგვარი ხროვა, ისე უღმობელი არავისთან და არაფერთან არის, როგორც მწერალთან...

მოვიგონოთ რა მოუვიდა ევროპის გამოჩენილ მწერალთა უმრავლესობას, რამდენი მსხვერპლი შეიწირა კაცთა ურთიერთობამ და უმეცრებამ, რამდენ სასიქადულო მამულიშვილს გაუთხარა უდროოდ სამარე... ტორკვატო ტასო და ლუიჯი კამეონსი, უპატრონონი და უმწეონი საავადმყოფოში გარდაიცვალნენ. ჯონ სვიფტი ჭკუაზე შეიშალა გაჭირვებისაგან, სერვანტესი შიმშილით მოკვდა, პიერ კორნელი, ნიკოლოზ ჯილბერტი და სხვა მრავალნი შიმშილით დაიხოცნენ. ჯერ აპადე-ნერვანი იმ ზომამდე მიიყვანა გაჭირვებამ, რომ გაგიჟდა და ქუჩაში ფარნის ბოძზე ჩამოიხრჩო თავი. ქრისტიან გრაბეს ავტორი პოპენშტაუ ჭკუაზე შესცდა და საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა. ოცი წლის ნიჭიერ კაცს ეიულ მერსიეს ისე გაუჭირდა საქმე, რომ ვეღარ აიტანა შიმშილი და თავი მოიკლა. ასეთივე დღე დაადგა ჰენრი კარისი, თომა ჩერსტანს და ბევრ სხვას. რა მოუვიდა ოსკარ უალდს, რა დღეში მოკვდა იგი ამ რამდენიმე წლის წინად. შორს რად მივდივართ, ყაზბეგი, ნინოშვილი და ბევრი სხვანი. განა ეს საყვედურის უკვდავი ძეგლები არ არიან საზოგადოების შეუყენებლობისა?

ჩვენ, ქართველები, ერთში ვართ გულუხვნი, — ეს არის

ნუგეშისცემა. რა უყოთ მერეო, — გვეტყვიან ხოლმე, — ყველა გამოჩენილი მამულიშვილის ხვედრი სიღარიბეაო.

მე კი არ ვეთანხმები. რა თქმა უნდა, უმეტესობა არაჩვეულებრივ ღარიბთაგან გამოდიან, მაგრამ ვინ არის იმის მთქმელი, რომ თუ მათ საშუალება ჰქონოდათ, უფრო მეტს არ შექმნიდნენ.

მართალია, ემილ ზოლა ერთ დროს აფთიაქის მოსამსახურე იყო, მაგრამ ბოლოს როგორ ცხოვრობდა; ეს ხომ ვიცით, ჩვენი თანამედროვე ფრანგი რომანისტი მარსელ პრევრო რომ ქალაქის სამმართველოში იყო სამსახურში და თვეში 150 ფრანკს იღებდა, მაგრამ დღეს იგი პარიზის საუკეთესო ნაწილში წავიდა დიდებულის მორთულ ვილაში, რომლის ფანჯრები ამაყად გადმოსცქერის განთქმულ ტროკადერიოს.

ქართველი მწერლები კი... სავალალოა მისი ბედი... და ასეთ უბედურ საზოგადოებაში, საბედნიეროდ მრავლად აღმოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭით დაჯილდოვებული მგოსნები, თუ დაათვათებენ და არ ჩაჰკლავენ მათ...

მე კრიტიკოსის როლს არ ვკისრულობ, მე მხოლოდ მინდა მოგახსენოთ, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებამ ამ ახალგაზრდებს და ეს იქნება საუკეთესო ღვაწლი ქვეყნისადმი მიძღვნილი.

მგოსანი ნამდვილის ღვთიურის ნიჭით დაჯილდოვებული, ცოტა სამსახურს არ უწევს ქვეყანას. იმის სიმთა ჟღერა, ბუნება მისი სულისა, ეს არის ქეჩილი გულიდან აღმომზდარი კვნესა. იგი მესაიდუმლეა თანამედროვეთა გულისა, მოციქულია მაღალთა და მდაბალთა შორის, მოციქულია ნამუსიანი და უანგარო მგოსნის ხმა, — ეს ერთგვარი მოძღვართა ჯვარი წინამძღოლ ერისა.

მოიგონეთ მარსელელთა შესანიშნავი სიმღერა და თუ იტყვიით, რომ ჩვენც ვერ დავძახებთ გაჭირვების დროს: „აღსდევ გამირთგმირნო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია“-ო, ოო, რამდენი უხილავი ძლიერებაა ამ სიტყვებში.

მე მადლობა მოვახსენე სასიამოვნო გასაუბრებისათვის და გამოვემშვიდობე.

ჩაფიქრების ღირსია პოეტი ქალის ნაუბარი „ქართველი უერნალისტი.“

ამ წერილით განდევილმა სასტიკად გაილაშქრა კაპიტალისტურ სამყაროს სულშემხუთავ კანონების წინააღმდეგ. კაცობრიობის ეს თავისებური სისხლისმსმელთა, ნადირთა ზროვა ისე უღმობელი არავისთან და არაფერთან არ არის, როგორც მწერალთან, — ასეთი განაჩენი გამოუტანა მწერალმა ქალმა კაპიტალისტურ სინამდვილეს.

მაგრამ განდევილს სჯერა, რომ ამ სისხლისმსმელ გროვას ბოლოს მოუღებს თვით ცხოვრების განვითარების კანონი. „აღსდევ გმირთ-გმირო, ნუ გძანავსო,“ მოუწოდებდა პოეტი ხალხს და თვითონვე გრძნობდა რევოლუციის ქარიშხალს.

ამ შესანიშნავი წერილის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დომინიკა ერისთავის სახით, ჩვენ მწერლობას მართლაც ჰყავდა მებრძოლი პატრიოტი ქალი, ფხიზელი დარაჯი, თავდადებული მოამაგე.

აქვე მინდა დავძინო, რომ დომინიკა ერისთავი იყო ის პირველი პოეტი ქალი, რომლისადმი მიძღვნილი ლექსები ოფიციალურ პრესაში იბეჭდებოდა იმ დროს. ყველა ეს ლექსები გვიჩვენებენ განდევილის მნიშვნელობას და ხალხის სიმპათიას მისდამი.

განდევილის მეგობარი ქალი ნინო ორბელიანი ასეთი ლექსით მიმართავდა:

„გაწყდა სიმი ჩემი ჩანგის ეღერისა,
მით ხალისი დამეკარგა წერისა,
დრომ წყუელმა, რაც მალხენდა, წაიღო,
სიხარულმაც ჩემზე ხელი აიღო.

აწ რა მინდა მართო ამ ქვეყანაში,
ორპირს, ორგულს დროსა ამ ვერანაში?
როს მოვეკვდები მაშინ დაიკვნესებენ, —
ცოცხალს მტანჯვენ, მკვდარსა მიმალექსებენ...“

შენ მოგიტხოვრობ ჩემი ბედის ჩივილსა,
შენ მიხედები მწარე გულის ტკივილსა,
პოეტი ხარ, სევდა გაიზიარე,
მომაკვდავი ნუგეშით მაზიარე!*

განდეგილის დიდბუნოვნებას, მისი მაღალ პატრიოტულ გრძნობას მიუძღვნა შიო მღვიმელმაც თავისი ლექსი „მყინვარი“, რომელიც გაზეთ „მოამბეში“ დაიბეჭდა 1897 წელს.

„მსურდა მენახე მყინვარო
გულს მულამ ენატრებოდი,
ბევრჯერ ავსულვარ მალლობზე
მაგრამ ვერასა... ვხდებოდი.

ახლა კი, ვსტკბები შორიდან
შენი ყურება მზერიითა,
მკერდამდის ჩამოფენილი
თეთრის ქალარა წვერიითა.

რა დიდებული რამა ხარ
ამაყი, ბრგე და დიადი.
წარბს ვერც მტრის ხმალი შეგიხრის,
ვერც ღამის ბნელი წყედიადი.

თავს მიდგას თოელის გვირგვინი.
ზედ ცხრა მზის თვალი ტრიალებს,
შენგან დამცდარი სხივთ ქარი
დაბლა ხევ-ხეუეში ციალებს.

ძირს დაცემული მთა-ბარი
თვალ-წარბში შემოგვცქერია,
რასაც შენ იტყვი, ის სჯერათ
სხვა მათთვის ყველა მტერია.

წინაც შენ იყავ ბჰე კარი
ახლაც შენ ჰყევხარ ფარადა,
გზას ნულარ მისცემ ნიაღვარს,
დაჰკეტე კარი გულისა,

ვიდრე არ დადგეს დრო ჟამი
შეებისა, სიხარულისა“ და სხვა^{••}.

ესე ჰყავდა წარმოდგენილი შიო მღვიმელს განდეგილი, რომელშიაც იგი ხედავდა თავდადებულ, დაუზარელ, უნაგარო მოღვაწე პატრიოტ ქალს.)

• „ვუძღვნი განდეგილს“ 1916 წ. 24 სექტ. საჭ. ლიტ. მუხ. განდეგილის ფონდი.

•• მყინვარს (ვუძღვნი განდეგილს) „მოამბე“, 1897 წ. № 9.

აი, რას წერს განდევილის შესახებ ჩვენი პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელი გ. ტაბიძე: „დომინიკა ერისთავი — განდევილი ორმოცდაათი წლის წინეთ ვნახე „ამირანის“ რედაქციაში. ეს იყო 1907 წელს. განდევილი ამ დროს ჩემს ლექსებს კითხულობდა. თათხში შესული რომ დამინახა, მომიბრუნდა და შითხრა: „საოცარია, გალაქტიონ, ასეთი ახალგაზრდა ხარო და ასეთი შესანიშნავი ლექსების ავტორი ბრძანდებითო და ხმაშაღლა გაიმეორა ჩემი ლექსის ერთი კუბლეტი.

„წყვეული სქელი ღრუბლები
შავი და ბნელი
სამშობლო მხარეს გადაეფარა“.

ასე არ არის დღეს განა, ღრუბელი არ მოსავეს ჩვენს ქვეყანას, რას ფიქრობთ პოეტები, გაფანტავთ თუ არა ღრუბლებს, — შემეკითხა ის.

ჩამაფიქრა განდევილის სიტყვებმა.

მე არასოდეს არ დამავიწყდება მისი ანთებული თვალები, მისი ენერგიული სახე, მისი ვაჟკაცური მხნეობა, რომელიც თითქოს ყოველ წუთს მზად იყო ბრძოლისათვის. დიახ, განდევილი რევოლუციაში ხედავდა საქართველოს მომავალს. მთელ იმედებს ახალგაზრდობაზე ამყარებდა“...

დომინიკა ერისთავის უახლოესი მეგობარი ნინო რცხილაძე შიამბობს:

„პატივცემულ განდევილის წლისთავზე, ერთად შევიყარენით ქართველი ქალები, ახალგაზრდა, საყვარელი პოეტი ქალი მარიჯანიც ჩვენთან იყო. დაღონებულმა, განდევილზე ჩამოვავდე სიტყვა და ავღნიშნე, რომ დომინიკა ბოროტი ადამიანი არ იყო და ჩვენი ქართველი ქალების წინსვლა არ შურდამეთქი. მარიჯანმა ღიმილით მიპასუხა: „რა უნდა შეშურდეს, სხვაზე მალა მდგომს, სხვაზე ჰკვიანს, ნიჭიერს და საუკეთესო ქართული ენის მცოდნესო“*.

ასეთი იყო იმდროინდელი საზოგადოების აზრი დომინიკა ერისთავის შესახებ

* ჩემს მიერ ჩაწერილი მოგონებები განდევილზე იხსება ჩემთან.

დომინიკა ერისთავი ერთი იმ მოღვაწე ქართველ ქალთაგანია, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა ცარიზმის ჩამორჩენილობის, კარჩაკეტილობის, ობივაციულურ შეხედულებების წინააღმდეგ და ქართველი ქალის უფლებების მოთხოვნასთან ერთად დაიწყო ბრძოლა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ დაარსებისათვის.

განდეგილის ამ შესანიშნავ მოწოდებას დიდი სიმპატიით და თანაგრძნობით გამოეხმაურა მთელი მაშინდელი ქართველი საზოგადოებრიობა, ყველა გულმხურვალედ მიესალმა მის ინიციატივას და თავის აუცილებელ მოვალეობად მიიჩნია გვერდში ამოდგომოდა ახალგაზრდა პოეტ ქალს.

ამრიგად, განდეგილი იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი და დამაარსებელი „ქართველ ქალთა საზოგადოებისა“. ეს იყო ქართველ ქალთა პირველი ორგანიზაცია, რომელმაც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარების საქმეში.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების პერიოდიკის ფურცლებზე უკვე შედგარად გაისმოდა ქართველი ქალის მოწოდების ხმა. დ. ერისთავის მეგობარი პოეტი ქალი კატო მიქელაძე გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“ წერდა:

„ბუნებამ ქალი კეკლუც ადამიანად შექქმნა, უთავაზა მას უმაღლესი თვისებები ადამიანის, ხოლო იგივე ადამიანმა, მამაკაცმა მოჰკლა მასში ადამიანი, მოსტაცა მას ადამიანური უფლებები და თავის მონა-მორჩილად გაიხადა. დროა შევიგნოთ, რომ ჩვენ ყველა მორჩილი ვართ მამაკაცებისა, მათი ხელის შემჩერე; ყველა უფლებააყრილი ვართ, არა გვაქვს ხმა ადამიანისა. მოკლებული ვართ ყოველივე ადამიანურ დაფასებას, რაღაც დაბალ არსებათ ვითვლებით, რომლებიც ვითომ მამაკაცების სატრფიალო საგნათ შევქმნილვართ. ავმხედრდეთ ამის წინაშე შეერთებული ძალით, მოვიპოვოთ ადამიანური უფლებები. დეე, ჩვენი ხმაც გაისმას ქვეყნათ, ჩვენც დავტოვოთ კვალი ამ სოფლად. დაუმტკიცოთ მამაკაცებს, რომ ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენშიაც ღვივის ადამიანური თავმოყვარეობა და

არც ისე სუსტი არსებანი ვართ, როგორც მათ გონიათ და დავა-
რწმუნოთ ისინი, რომ უფლება მოსილი ქალი უფრო მეტს
სარგებლობას მოუტანს ოჯახს და სამშობლოს, ვიდრე მონა“^{*}

ამრიგად დ. ერისთავი კ. მიქელაძესთან ერთად მთელი მო-
წოდებით იბრძოდა რათა დაემტკიცებინა, რომ დედაკაცი მა-
მაკაცის თანასწორუფლებიანი მოქალაქეა, რომ მისთვის სწავ-
ლა-განათლება ისევე საჭიროა, როგორც მამაკაცისათვის.

იგი აიდიანებდა ჩერნიშევსკს, ბელინსკს, სალტიკოვს-შჩე-
დრინს, რომელმაც საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ქალი
ჟორჟ ზანდი პუმანიშმის და გმირობის მაგალითად აღიარეს.

ფრანგ ხალხს არ შეეძლო არ დაეფასებინა ჟორჟ ზანდი,
რომლის შემოქმედებაში პირველად გაისმა პროტესტი კაპი-
ტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ, ფრანგი ქალის თავისუფლე-
ბის მოსაპოვებლად.

ტანდევგელი სწორეთ ამან გაიტაცა, როცა ხმა ამოიღო ქარ-
თველი ქალის ინტერესების დასაცავად. პოეტ ქალს ღრმად
სწამდა ქალის საზოგადოებრივი როლი, მას ეჭვი არ ეპარებო-
და იმაში, რომ ქალთა მამაკაცებთან გათანასწორება იქნებოდა
საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტი.

ამიტომ იყო, რომ მან თავის ერთ-ერთ საინტერესო წერილ-
ში გარკვეულად თქვა:—რამდენად თავისუფალია აზროვნებისა
და უფლებების მხრივ ქალი და ფართოდ ჩაბმულია სა-
ზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმდენად ძლიერია სახელმწი-
ფოს კულტურული დონე; იქ კი, საცა ქალი დაჩაგრულია და
მონაა საზოგადოებრივ წყობილებისა, იმდენათ უსუსურია სა-
ხელმწიფო და მისი სტრუქტურა. ეს აზრი მან შესანიშნავად განა-
ვითარა წერილში: „დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა
შესახებ“ — რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“^{**}.

„დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახის,
ერისა და საზოგადოებისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი
საზომია ერის სულიერი ძლიერებისა. რამდენათ მთლიანი თა-
ვისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია. — საზოგა-
დოება, ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი. —

* „ხმა ქართული ქალისა.“ 1917-1918 წ., № 1.

** „სახალხო გაზეთი“. 1904 წ., № 1090, გვ. 4.

ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არაა, თავისუფალი ადამიანია.

დედაკაცს გავლენა აქვს არა მარტო შვილებზე, არამედ იგი უდიდესია მამაკაცთამდი ცით გარდმონაველენი... თუ რომ დიდი საკაცობრიო შექქმნეს მამაკაცთა ეს დედაკაცის ნებისთ, თუ უნებლიედ ზედ გავლენით. მოსპეთ დედაკაცი, როგორც პიროვნება, მოისპობა ძლიერი შემოქმედება და მოისპობა თვით მშვენიერებაც.

შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. ოჯახი უნდა აქციოს სკოლად, აღზარდოს შვილში ქართული სული, ამცნოს თავისუფლება და მოვალეობა. შეაყვაროს შრომა, თავი იხსნას ნივთიერი სილატაკისაგან. მით ხელი შეეწყოს ქვეყნის ბედნიერებას, უკუაგდოს ძველებური ამპარტავნობა, ახსოვდეს, რომ თუ ოდესმე სჭირდება მამულს დედა, დღევანდელ საქართველოს უფრო სჭირია იგი.

„ჩირქი წაეცხო ტაძარსა წმინდასა“ — და დღეს მხოლოდ ქართველ დედას შეუძლია იხსნას ტაძარი წარწყმედისაგან, დაუახლოვდეს ხალხს, ისწავლოს და ასწავლოს და ამით შექქმნას მტკიცე სამშობლო მთლიანობისა და კეთილდღეობისა“.

მწერალ ქალის მიერ გამოთქმული ეს შეხედულება, თავის დროზე უდავოდ ახალი სიტყვა იყო. იგი გვიჩვენებს განდევნილის ფართო მომზადებას და დიდ ერუდიციას.

ასეთივე ძლიერია და თავისუფლების ჰიმნს წარმოადგენს მისი წერილი: „პატარა ერის დიდებულნი ასულნი“*.

„ნინო, — ეს სიმბოლოა ქართველი ქალის თავისუფლები-სა. განა დედა ბოძი არ არის იმ ბრწყინვალე ტახტისა, რომელიც დიდმა თამარმა ზედ აღმართა. ხოლო ქეთევანის სისხლით კი წაწერილია მასზედ წარუშლელი სიტყვები ქართველი ქალის ძლიერის ნებისა?!

ახალგაზრდობა, მშვენიერება, ძლევამოსილება — ყველა ეს მზანიჭა განგებამ ამ შარავანდედით მოსილ ასულთ საქართველოსას და ამ გვარად სულ სხვა და სხვა ხანში მოველინა სამშობლოს წინამორბედ ვარსკვლავად.

* გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 478

ეს ისეთი ხანა იყო, როდესაც ერს, მის წმინდათა-წმინდას, მის მთლიანობას განსაცდელი მოელოდა.

...შავმა დრომ შეარყია, მაგრამ, ვიმედოვნებ, მთლიანად ვერ ჩაჰკლა ლალი სული ქართველი ქალისა.

დღეს ჩემი სამშობლო ერი განსაცდელშია და მეც სასოებით მოველი მისის მთლიანობის დამცველს.

გადარჩენა და სიცოცხლე ჩემი ერისა, ჩემის სამშობლოსი, — აი, ჩემი პირველი მცნება, ჩემი სავალდებულო მრწამსი!

და თქვენც საქართველოს ბრწყინვალე ასულთ შთამომავალნო, ფრთა გააშლევინეთ თქვენს ლალ სულს, შემოკრბით იმ წმინდა საკუთხეველთან, რომელსაც სამშობლო ეწოდება და ღირსეულად დაიცავით მთლიანობა ერისა.

დღეს ამას თხოულობს ჩემი სამშობლო. გა ა ნ დ ე გ ი ლ ი“.

აქვე გვინდა ავლნიშნოთ, რომ ქალთა საკითხში მან სავსებით გაიზიარა ინდოეთის გამოჩენილ მწერლის თაგორის შეხედულებები და თუ განდეგილი ამბობდა: „რომ დედაკაცი საფუძველია ბედნიერებისა, იგი ბურჯია ოჯახისა, საზოგადოების, ერისა და კაცობრიობის, რომ დედაკაცი ერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა“, — ეს სწორედ თაგორის შემოქმედების ლეიტმოტივიდან გამომდინარეობდა.

განდეგილი იცნობდა თაგორის შემოქმედებას, გატაცებული იყო მისი ჰუმანიზმით, რომელიც დაჩაგრული ინდოელი ქალის უფლებებს იცავდა.

განდეგილის დის შვილიშვილის თინა აბაშიძის ჩემდამი გადმოცემულ მოგონებაში ვკითხულობთ: „დომინიკას დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა თაგორთან. იგი ყოველ თავის წერილში დაბეჯითებით ეპატიეებოდა მას თავის სამშობლოში. დეიდაჩემი ხშირად მოგზაურობდა. მახსოვს ერთხელ შვეიცარიიდან დაბრუნებულმა მითხრა: იცი, თინა, შვეიცარია საქართველოს მაგონებს, განსაკუთრებით კი, ჩვენი ლამაზი ბაკურიანიო. იგი ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა შვეიცარიის ალპებში რკინისგზით მოგზაურობას. ეს იყო რაღაც მომაჯადოვებელი, რომლის დავიწყება მე არასოდეს არ შემიძლიაო.

დეიდაჩემი ემზადებოდა ინდოეთში გასამგზავრებლად, ოცნებობდა, გაეცნო ინდოეთის ხალხის ცხოვრება, მაგრამ ავადმ-

ყოფობამ მას ხელი შეუშალა და ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩა.

უკანასკნელად მთხოვა, ჩვენი სოფლიდან ჩამომეტანა მსხალი, რომელიც თვეობით უძლებდა გზას და ამანათის სახით გამაგზავნიდა ინდოეთში თაგორისათვის“.

დღევანდელი თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა დ. ერისთავის ურთიერთობა თაგორთან, მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში, როცა ინდოეთი მშვიდობიანი გზით იბრძვის დემოკრატიული და ჰუმანიური საზოგადოების ასაშენებლად.

განდგეილის უახლოესი მეგობარი ნინო რცხილაძე გვიამბობს:

„ჩვენ ორივენი ერთი აზრით ვსუნთქავდით და ვსაზრდობდით. ჩვენი მიზანი იყო გვებრძოლა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ დაარსებისათვის.

განდგეილი ყოველთვის დაინტერესებული იყო რუსეთის კულტურულ საქმიანობით, იგი ახლო იდგა და იცნობდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელიც ყოველთვის ასახავდა კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფ დაბეჩავებულ ქალთა მდგომარეობას. რუსეთში ამ დროს უკვე მომწიფებული იყო ქალთა საკითხი, გამოსული იყო ქალთა საზოგადოების პროგრამა, რომელშიაც სისტემატურად იბეჭდებოდა სხვადასხვა კორესპონდენციები ქალთა საკითხის შესახებ.

შევუდექით საქმეს, ავირჩიეთ „ქართველ ქალთა საზოგადოება“, რომელიც უნდა მოლაპარაკებოდა კავკასიელ ქალთა საზოგადოებას. ქალთა საზოგადოების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქნა ეფ. მესხი. მოვიწვიეთ კრება. ამ კრებამ გადასწყვიტა და დაადგინა მოლაპარაკება გაგვემართა კავკასიელ ქალთა საზოგადოებასთან ქართულ ავტონომიურ სექციებში შესვლაზე, თუ არ დაგვეთანხმებოდნენ, მაშინ კომისია იზრუნებდა საკუთარი საზოგადოების დაარსებაზე. აქ ნინო ნაკაშიძემ შემოიტანა წინადადება:

— საკითხი გადაწყვეტილად მიმაჩნია, ჩვენ უნდა შევიდეთ „კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში“ — ამ აზრის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა დომინიკა ერისთავმა.

ჩვენ არ შევალთ სექციის სახით სხვა საზოგადოებაში,

როცა შეგვიძლია დამოუკიდებელ „ქართველ ქალთა საზოგადოება“ შევქმნათო. მე, ნინო მაჭავარიანი, ნეიმანი, ოლა ალაძე, ნინო დაფქვიაშვილი — ეს უკანასკნელი იურისტი დაფქვიაშვილის და იყო, რომელიც ქართველ ეროვნულ ტანისამოსით დადიოდა, გვერდში ამოვუდქვით განდევილს.

კრება ორ ნაწილად გაიყო. შეიქმნა დევა და კამათი. ეფ. მესხმა უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე. მიუხედავად დიდი არეულობისა, კრება არ ჩაშლილა. ამოვირჩიეთ თავმჯდომარედ დომინიკა ერისთავი.

ამ დღიდან, როგორც ვხედავთ, განდევილი ხელმძღვანელობს „ქართველ ქალთა საზოგადოებას“, რომლის შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს ჩემს მიერ მიკვლეული „ქართველ ქალთა საზოგადოების ოქმი“.

ოქმი № 1

„თავმჯდომარეობს ეფ. მესხი. მან მოახსენა კრებას, რომ კომისიას მინდობილი აქვს კავკასიელ ქალთა საზოგადოებასთან მოლაპარაკება.

ქართველ ქალების პირველ საზოგადო კრებაზე დადგენილი იყო მოლაპარაკება გაგვემართა კავკასიელ ქალთა საზოგადოებასთან ქართველ ავტონომიურ სექციაში შესვლაზე. თუ არ დაგვეთანხმებიან ამაზე, მაშინ კომისიამ იზრუნოს საკუთარ საზოგადოების დაარსებაზე.

დაიწყო ამ საგანზე მსჯელობა. ქ—ნ. ნ: ნაკაშიძემ განაცხადა — პრინციპიალურად შეერთების საკითხი გადაწყვეტილია, არ დათანხმდა მხოლოდ განდევილიო.

ხელის აწევით კრების უმეტესობამ უარჯყო შეერთება. ამ გადაწყვეტილების შემდეგ კომისია გადადგა და თავმჯდომარემაც უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე. მიუხედავად კომისიის არეულობისა და ხმაურობისა, კრება არ ჩაშლილა... ამოვირჩიეს თავმჯდომარე ქ. განდევილი“*.

* ეს დოკუმენტი, ნინო რცხილაძის მიერ გადმოცემული ინახება ჩემთან. ავტ.

როგორც ვხედავთ, ნინო რცხილადის გადმოცემა საესე-
ბით ემთხვევა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ ოქმს. ნინო
რცხილადე წერს: „ამ დღიდან ჩვენ განუყრელი მეგობრები ვი-
ყავით. მე „ქართველ ქალთა საზოგადოების“ მდივნად ამირ-
ჩიეს და ცხადია ყველაზე ახლო ურთიერთობაში ვიყავი გან-
დეგილთან.

„ქართველ ქალთა საზოგადოებაში“ შედიოდნენ მაშინდე-
ლი საზოგადო მოღვაწე ქალები. ნინო დაფქვიაშვილი, ნინო
ნეიმანი, ოლა ალადე. მარიამ უგრელიძე და სხვები.

განდეგილი გულმოდგინედ შეუდგა დაკისრებულ მოვა-
ლეობის შესრულებას, ცდილობდა ყოველ მხრივ წელში გაე-
მართა ახლად ჩამოყალიბებული „ქართველ ქალთა საზოგა-
დოება“. განდეგილი აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს,
იზიდავდა ქართველ საზოგადოებას, რასაც ადასტურებს მის
მიერ შედგენილი მოსაწვევი ბარათის ტექსტი:

„მოწყალეო ბატონო!

ნინობას 14 იანვარს, ქართულ თეატრში, თბილისის „ქარ-
თული საზოგადოება“ სამუსიკო-სალიტერატურო საღამოს
მართავს.

გთხოვთ თქვენის დასწრებით განამტკიცოთ და განამხნე-
ვოთ ეს ნორჩი საზოგადოება.

თბილისის „ქართველ ქალთა საზოგადოების
თავმჯდომარე: განდეგილი“*.

ჩვენ ვხედავთ თუ რაოდენი დიდი სიყვარულია ჩაქსოვი-
ლი ამ მოსაწვევ ბარათში. სხვანაირად არც შეიძლება ყოფი-
ლიყო. განდეგილი, როგორც პატრიოტი ქართველი ქალი,
ცდილობდა თავის გარშემო შემოეკრიბა მოწინავე ქართველი
საზოგადოება.

აი, რას წერს იგი ჩვენს საყვარელ მგოსანს აკაკი წერე-
თელს:

„ქართველ ქალთა საზოგადოება“ გთხოვთ თორმეტ ამ თვე-
ში დაესწროთ ქართულ თეატრში საღამოს. თქვენ უნდა გაამ-

* საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი. გოგებაშვილის ფონდს
№ 2482—6.

ხნევით საღამო თქვენი სიტყვით. გამოიყვანეთ ეკატერინე გაბაშვილი და ჩვეულებრივად შეიქენით თავი ჩვენი ნორჩი საზოგადოებისა.

მე თვითონ უნდა გხლებოდით, მაგრამ ავად ვარ და ამიტომ იმედი მაქვს ამ ჩემს ბარათსაც ყურადღებით მოისმენთ, როგორც ჩემს სიტყვიერ თხოვნას.

პირველი დღე იქნებოდა ჩემი გამოსვლისა და შთაბერეთ სული ციურ სამამულიშვილო საქმეს.

მარად თქვენი განდევნილი*.

ასეთი მაღალი პატრიოტული გრძნობა ამოქმედებდა განდევნილს, ასე გულმხურვალედ ეკიდებოდა იგი ჩვენი ქართული კულტურის საქმეს.

დღითი დღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ საქმიანობა.

მწერალ ქალს ღრმად სწამდა, რომ „ქართველ ქალთა საზოგადოება“ მარტო ფიქტიური ორგანიზაცია კი არ იქნებოდა. არამედ გადაიქცეოდა ისეთ ორგანიზაციად, რომელიც დიდ მომსახურებას გაუწევდა თავის ქვეყანას. ასე დიდი მიზნებით დაიწყო განდევნილმა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ პროგრამა.

მაგრამ „ქართველ ქალთა საზოგადოებას“ — ერთი წლის ისტორიაც არ ჰქონდა, რომ დაიწყო მსოფლიო ომი. ახლა განდევნილმა „ქართველ ქალთა საზოგადოების“ მთელი ყურადღება ფრონტის ინტერესებს დაუკავშირა და დაიწყო ფრონტის დასახმარებლად სახსრების გამოძახება.

მარტო ლიტერატურული საღამოებით და კონცერტებით შემოსული ფული საკმარისი არ იყო ფრონტის* დასახმარებლად. განდევნილმა ახალი იდეა წამოაყენა, დაეარსებინათ „საჩაიე“.

ჩემს მიერ მიკვლეული „ქართველ ქალთა საზოგადოების“ ოქმი საკმარისი დამაჯერებლობით გვისაბუთებს ამ ფაქტს.

* საქართველოს სახ. მუზეუმი. განდევნილის წერილი აკაკისადმი. 1914 წ., ა. წერეთლის ფონდი, № 372.

„1915 წელს სალამოს 8 საათზე შესდგა წლიური კრება „თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა“ — კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ქ—ნ. განდევილმა.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ჩვენი დიდი მგოსნის აკაკის და სათათბირო წევრის ვარლამ გელოვანის ხსოვნას.

რადგან ამ დღეს „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული იყო ქ—ნ. განდევილის წერილი აჭარელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ, საზოგადოება დაინტერესებული იყო და ამიტომ ერთბაშად მოითხოვეს რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ტანჯულ მოძმეთათვის. გამგეობას პრინციპიალურად გადაწყვეტილი ჰქონდა რაიმე შემოსავალი წყარო გამოენახა დახმარებისათვის. ასეთ შემოსავლიან წყაროდ გამგეობამ „საჩაიე“ დაასახელა.

თავმჯდომარე: დ. ერისთავი

მდივანი: ნ. რ. ც. ხ. ი. ლ. ა. ძ. ე.

ამრიგად, „საჩაიეს“ დაარსების ინიციატივა თანამედროვეთა დადასტურებითაც განდევილს ეკუთვნოდა.

როგორც „ქართველ ქალთა საზოგადოების“ ოქმიდან დავინახეთ, განდევილის „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილს „აჭარელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ“ დიდი ინტერესი გამოუწვევია. აქ პოეტ ქალს მკვეთრად დაუხატავს აჭარელთა უმწეო მდგომარეობა. მთელი ქართველი საზოგადოება ალაპარაკებულა ამ წერილის გამო.

ან რომელი ქართველის გულს შეეძლო მოეთმინა, როცა აჭარა 1914 წელს სულ ერთიანად ააოხრეს თურქებმა და ოსმალეთში ძალღებვიით გარეკილებს, მოსთხოვეს იარაღით ხელში თავისი სამშობლოს წინააღმდეგ ებრძოლათ.

რა გააჩერებდა ამ დროს პატრიოტსა და თავის ქვეყნის გულშემატიკვარ ქალს, რომ მზრუნველი ხელი არ გაეწოდებინა და სხვა ღვაწლმოსილ მგოსნებთან ერთად არ ებრძოლა მაჰმადიან ქართველებში ეროვნულ თვითშეგნების გაღვიძებისათვის.

თუ ჰაიდარბეგ აბაშიძე, რომელიც დიდ ბრძოლას აწარმოებდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დასაახლოვებლად და დასაძმობილებლად, წერდა: „დღეს საშინელი განსაცდელი დაატყდა თავს სამაჰმადიანო საქართველოს ნაწილს, განადგურებული აჭარლები ცხარე ცრემლებით შემოგვეტირიან, შველას გვევედრებიან და უსაყვედურებენ ქართველებს, რომ შორიდან უყურებენ და ხელს არ უწვდენენ მათ“.

არა ნაკლებ აღიმაღლა ხმა განდევნილმა და თავის საკმაოდ ვრცელ წერილში, რომელიც „სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა. შესანიშნავად დახატა ქართველ მაჰმადიანთა შემადრწუნებელი სურათი..

წერილი მომყავს მთლიანად.

„გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილი ჰაიდარბეგ აბაშიძისა, თუ არ წაგიკითხავთ გთხოვთ წაიკითხოთ და დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონებს უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ — აბაშიძის წერილს, უცრემლოდ მეთქი — ვამბობ, — ეს ცოტაა, მე ვქვითინებდი ბავშვივით... ამავე აღელვებულის გულით მოგმართავთ თქვენ. თქვენი გული მიაპყარით იმ საშინელ კენესას, იმ უმაგალითო უბედურებას. რომელიც ჩვენ მოძმე მაჰმადიანებს არგუნა ბედმა.

ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი გულიდან მოგლეჯილს კუთხეს ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ეს ენა, რომელიც „ნინო“ღმერთს ადიდებდა. ქართველ მაჰმადიანმა ქალებმა უმღერეს მშობლიური ნანათავიანთ შვილებს და მასთან ერთად შეისისხლხორცეს ის დიდი და იშვიათი ღირსება, რომელიც წმინდა ქართული რაინდული სულის თვისებაა.

ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული: „ჩვენ უნდა ვშვათ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“... და თუ გეწამს ეს დიდი მცნება, გულგრილად ვეღარ შევყურებთ მოძმეთა დიდ გასაჭირს. ხმა მივცეთ გულდაკოდით მოძმეთა დიდ გასაჭირს. ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა, იგი ერთგვარი სიყვარულით ექცევა, როგორც ქრისტიანს, ისე მაჰმადიან ქართველს. ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთი დედ-მამის შვილები

ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი.

ქართველო ქალებო! დაეხმაროთ ჩვენ მოძმეებს, გავილოთ ჩვენი წვლილი, ვის რამდენი შეგიძლიათ და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები. მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან თქვენ უფრო მგრძობიარე ხართ და უფრო მხნედ შეუდგებით ამ წმინდა მოვალეობის ასრულებას. სიტყვა საქმეთ აქციეთ, რამდენი ხანია იწერება ამ საგანზე. მაგრამ აქამდე ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შედგა ისეთი, რომელიც ცოტათი შეუმსუბუქებდა მწარე ხვედრს ჩვენ მოძმეებს.

მე ვფიქრობ: ამას არც ადგილობრივი მთავრობა დაგვიშლის. პირიქით ხელს შეგვიწყობს გაჭირვებულთა დახმარების საქმეში. მაშ, შევერთდეთ, ვეცადოთ, ნულარ შევყურებთ უტყვე მოწმეთა ამ კენესას.

ამასთან ვგზავნი რედაქციაში 5 მანეთს. დაე, ეს იყოს პირველი კენჭი ქართველი ქალისაგან საჯარო მოტანილი, მოძმეთა დანგრეული კერის აღსადგენად*.

რედაქცია ქვემოთ წერს: „რედაქციამ ქ-ნი განდევილისაგან მიიღო ხუთი მანეთი.“ აუღელვებელივ ვის შეეძლო წაეკითხა განდევილის ეს შესანიშნავი წერილი და არ გამოხმაურებოდა ამ ვაჟკაცურ მოწოდებას. ეს წერილი, რომელიც საესეა აჭარლებისადმი დიდი თანაგრძობით, საკმაოდ ბევრს ლაპარაკობს განდევილის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებაზე.

„არ არის ორი საქართველო, — იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე“ — ასე ესმოდა განდევილს თავის სამშობლოს მიწაწყალზე მცხოვრებ, გაზრდილსა და დაბადებულს, ერთ მშობლიურ ცის ქვეშ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების ძმობა და მეგობრობა.

ასე იბრძოდა განდევილი კალმითა და სიტყვით ჩვენი ქვეყნის ეროვნული მთლიანობისათვის.

აქვე გვინდა ცოტა რამ ავღნიშნოთ განდევილის მიერ

* გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 235.

დაარსებულ „საჩაიეზე“, რომელმაც საკმაო როლი ითამაშა მსოფლიო ომის დროს და დიდი დახმარება გაუწია ფრონტს.

რას გვიამბობს ამის შესახებ განდევილის უახლოესი მეგობარი „ქართველ ქალთა საზოგადოების“ მდივანი ნინო რცხილაძე:

„ამ დროს — ჩვენი საჩაიე, რომელსაც „ძმობის ნუგეშს“ ვეძახით. ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყრიდა თავს ჩვენი ფართო საზოგადოება. დღითა თუ ღამით: „საჩაიე“ სავსე იყო ახალგაზრდობითა და ინტელიგენციით.

აქ უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ჭირ-ვარამს, აქ ხდებოდა მათი ურთიერთ დაახლოვება და დამეგობრება. ამ „საჩაიეში“ იმდენი სასარგებლო საქმე გაგვიყვითა, რომ აქ შემოსულ ფულით ჰოსპიტალში წმინდა ნინოს ლაზარეთში ეხლანდელ უნივერსიტეტში დაჭრილ აჭარლებისათვის ათობით საწოლს ვინახავდით.

„საჩაიე“-ში გარკვეული დაჭირავებული შტატი გვყავდა. გამგეობის წევრები და ხელმძღვანელები უსასყიდლოდ ემუშაობდით. საინტერესოდ ეაწარმოებდით შესავალ-გასავალს და ყოველმხრივ ვცდილობდით ხელი შეგვეწყო ფრონტისათვის. ამ საქმეში ჩვენ დიდათ გვეხმარებოდა ჩვენი საზოგადო მოღვაწე პართენ გოთუა. გაგვიჭირდებოდა თუ არა მაშინვე მას მივმართავდით“.

პართენ გოთუას „საჩაიე“-სთან სიახლოვეზე ლაპარაკობს ჩემს მიერ მიკვლეული პატარა წერილი, რომელშიაც პართენ გოთუა სთხოვს—„საჩაიეს“ გამგეს განდევილს ერთ-ერთი თანამშრომლის მიღებაზე.

„ჩემო დედა დომინიკა! გთხოვთ. რომ ქობულაძისას, რომელსაც მე კარგად ვიცნობ, როგორც ყოჩალი და ფრიად სანდო ქალს, მისცეთ საშუალება, რომ საჩაიეში დახმარება აღმოუჩინოთ“.

თქვენი პართენ გოთუა“

როგორც ვხედავთ, განდევილი აქაც დაკავშირებული იყო ჩვენ საუკეთესო საზოგადოებასთან.

* პართენ გოთუას წერილი დ ერისთავისადმი ინახება ჩემთან. ავტ.

ი. გრიშაშვილი აღნიშნავს:

„ეს იყო შესანიშნავი წამოწყება განდევილის საქმიანობისა. საჩაიე—„ძმების ნუგეში“ — განუწყვეტლივ სავსე იყო ქართველი ახალგაზრდობით და ინტელიგენციით. ვის არ შეხვდებოდით აქ. ვის არ ნახავდით და არ გამოელაპარაკებოდით ჩვენი სამშობლოს ათას მტკივნეულ; გულდასაწვევ საკითხებზე. აქ დადიოდნენ კ. გამსახურდია, ი. მჭედლიშვილი. ნ. ნაკაშიძე, პოეტი ქალი მარიჯანი, დარია ახვლედიანი და სხვები. ეს იყო 1914—17 წლებში. აქ კელნერშებად მუშაობდნენ მშვენიერი ახალგაზრდა ქალიშვილები. ერთხელ „ძმების ნუგეში“ შესულს ერთი ლამაზი გოგონა ჩაით გამოქმადსპინძლდა. მაშინ ოცდარვა წლის თუ ვიქნებოდი. მომეწონა ეს გოგონა და ლექსად მივმართე:

„შენ კი, შენ კი პატარა ხარ
პაწაწინა ახალგაზრდა
ჯერ ეგ ტუჩი ანაკოკრი
კოცნით არც კი აღამაზდა“.

ქალიშვილს შერცხვა. დაიბნა და უცებ გატრიალდა. ქალებმა ტაში მომაგებეს. ვხედავ განდევილი და ნინო ორბელიანი დგანან და იცინიან.

მე მეგობრულად ვიყავი ამ პოეტ ქალებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაცილებით ჩემზე უფროსები იყვნენ. ყოველთვის მათ წრეში ვტრიალებდი. მიუეჭდებოდი ჩვენ პოეტ ქალებს, ველაზღანდარებოდი. ქათინაურებს ვეუბნებოდი. ისინი თბილისის პოეტს მეძახდნენ და ყოველთვის დიდი სიხარულით მხვდებოდნენ“*

რომ „ქართველ ქალთა საზოგადოების“ მიერ დაარსებული „საჩაიე“ მართლაც ასე მიმზიდველი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის, ამასვე გვეუბნება პოეტი ქალის მარიჯანის ლექსი „მარჯნის კრიალოსანი“:

: და წასვლისას ჩემს მაგიდას
ვაღაგებდი წყნარად, ფრთხილად

* იოსებ გრიშაშვილის ეს მოგონება ინახება ჩემთან.

ძველ მეგობრის წერილები
გადავაწყვე მწკრივად, წველიად.

რა არ ენახე მაგიდაში
სამახსოვროდ შენახული
ყამთა სელისგან ყვითელ ფერის
ამოსუნთქვით შელახული.

აი, ვხედავ მოკლე ბარათს
მივარდნილსა სულ კუთხეში
„გესმის, გესმის“ მინდა გნახო
ხეალ მოგელი „ძმურ ნუგეშში“.

ამგვარად, „ძმური ნუგეში“ წარმოადგენდა ისეთ სალონს, სადაც ერთმანეთს რანდევუს უნიშნავდნენ ჩვენი პოეტები და მწერლები და რომელთა სასაუბრო თემა ყოველთვის ერთი საკითხის გარშემო ტრიალებდა, ეს იყო — სამშობლო და მისი მომავალი.

მწერალი ქალი ანა ხახუტაშვილი განდევილის შესახებ გვიამბობს: „მსოფლიო ომის დროს განდევილი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, მან „ქართველ ქალთა საზოგადოებისაგან“ გამოგვეყო რამდენიმე ქალი — ნ. რცხილაძე, მე და სხვები. დავდიოდით სოფელ-სოფელ, კარდაკარ, ვაგროვებდით თბილ ჩასაცმელს, სანოვაგეს ფრონტისათვის. განდევილი გვამხნევებდა, მოგვიწოდებდა სამშობლოს დასაცავად. მახსოვს ერთხელ გვითხრა: ესპანელმა პატრიოტმა ქალებმა, როცა თავის ქვეყნის გაჭირვება დაინახეს და მათ სამშობლოს განსაცდელი ემუქრებოდა მტრის თავზარდამცემი შემოტევის გამო, ერთი დღის სადილზე უარი სთქვეს და ეს მოგროვილი თანხა ფრონტს გაუგზავნეს თავის ძმების დასახმარებლად.“

არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ ვმუშაობდით მე და ნინო რცხილაძე ფრონტისათვის. დედაკაცები დავიჭირავეთ და მთელი ორი დღე და ღამე პური ვაცხოვინეთ თონეში. უკანასკნელ მანქანას გავყევით მე და ნინო რცხილაძე. მახსოვს, როგორი ყიყინით და სიხარულით დავგიხვდნენ ფრონტზე სამსონ დადიანი, ახალგაზრდა პოეტი იოსებ მჭედლიშვილი, კ. გამსახურდია, ბესო ქიქოძე და სხვები“*

* ეს მოგონება ინახება ჩემთან. ავტ.

განდეგილის მრავალფეროვან მოღვაწეობაში ჩვენს ყურადღებას იქცევს მისი დაინტერესება ისეთი საკითხით, როგორც იყო მარგანეცის დამუშავება საქართველოში. მას, როგორც ჩანს, სცოდნია მარგანეცის საზოგადოების არსებობის შესახებ ბათუმის ოლქში. განდეგილს სცოდნია ისიც, რომ ამ საზოგადოებით დაინტერესებულნი იყვნენ უცხოეთის კაპიტალისტები, რომლებიც მოტყუების გზით ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. ეს იყო მიზეზი, რომ შორსმჭვრეტელმა, გამჭრიახე ქალმა წერილით მიმართა მარგანეცის მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელს და საქართველოს ეკონომიკის აღორძინებით დაინტერესებულ პირს გიორგი ზდანოვიჩს:

„დიდათ პატივცემულო გიორგი ფელუქსისძე!

პირველი წერილი, რომელსაც ქვემოთ აღნიშნულ საგნის შესახებ ვწერ, ეს თქვენთან არის. ინებებთ, თუ არა, ეს რასაკვირველია თქვენი საქმეა, მაგრამ მე კი, ზნეობრივად როგორღაც მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს შეგატყობინოთ საქმის მდგომარეობა.

უეჭველია თქვენც გაგონილი გექნებათ, რომ ბათუმის ახლო 7 საათის სავალზე ტრაპიზონისაკენ... (წაშლილია ავტორის მიერ ა. კ.) არის საუკეთესო მადანი მარგანეცისა. აგერ ათი წელიწადია გადაჰყვნენ ამ საქმეს, მაგრამ ვერავენ ვერ მოახერხა კონცესიის აღება მთავრობისაგან. ეხლა აიღეს კონცესია. ყოველივე საბუთები რიგზეა და სრულიად შემთხვევით მე ჩამივარდა ეს საქმე ხელში, ისე რომ ჩემი მოვალეობაა ვიპოვო კაპიტალისტი, რომლისთვისაც ნაწილი მაქვს თვითონ საქმეში და არა ავანსში, რომელსაც პატრონი თხოულობს ერთდროულად, იმ მუშაობისათვის, რაც მას გაუწევია და დაუხარჯავს მარგანეცის ამოწერაზე.

პირობები ასეთია:

1. მიწა მარგანეცი 5000 დესეტინა
2. აღებულია 99 ნაღდათ
3. ღირსება მარგანეცისა — 58 — 62%

4. მეპატრონეს უნდა მიეცეთ ფუტზე 3 კაპ.
5. ერთდროულად 15,000 მან.
6. გლეხებს — 2 მან. ტონაზე
7. ხაზინას — 5% — ამოღებული მარგანეციდან
8. დამუშავება მადნისა, მიტანა ზღვის პირამდე, იქიდან პარაკებით გადატანა და დატვირთვა — 9 კაპიკი.
9. ზღვის პირიდან 2 ვერცხლი.

ამას გარდა, ამავე კონცესიონერს აქვს აღებული კიდევ 6000 დესეტინა მიწა. საუკეთესო სპილენძით, მადნით, და ცინკით. სპილენძისა და მარგანეცის ნიშნები. მე მაქვს აგრეთვე ლოკუმენტები. ცინკისა კი არა მაქვს. თუ თქვენი იმედი შექნება, რომ ხელს მოჰკიდებთ ამ საქმეს, აღარავის აღარ მიეწერ, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ არის ორი უფლიკი ვითომ ინგლისელი, რომელთაც ჩემგან გაიგეს, ეს საქმე და ახლა უნდა იეშმაკონ და ხელიდან გამომტაცონ, რისთვისაც ახლავე უნდა ნასყიდობის წერილი დაუწერონ და ამ თავით აძლევენ 6000 მანეთს, დანარჩენს შემდეგ. ამათ კიდევ დაათვალიერეს ადგილები, რასაკვირველია, თვითონ მყიდველები არ არიან, მაგრამ რაკი უფლებას შეიძენენ, მერე ერთი ასად გააყიდონ, რადგან ეს საქმე ევროპაშია ცნობილი.

ეს არის ჩემი სათხოვარი თქვენთან და აბა, თქვენ იცით, როგორც შეხედავთ ამ საქმეს, თუ დამაიმედებთ, მე შევასრულებ ნასყიდობის ქალაღს. განსაზღვრულ დროს დაუდებ და მანამდე თქვენ მომეშველებით, დრო კი, მოკლე გვაქვს, რადგან ბევრმა გამოპრაწა თვალები, სხვა არა იყოს რა, სირცხვილია და საზარალოა ჩვენთვის, რომ ეს საქმე ვიღაც მაკლერმა ჩაიგდოს.

ზარად თქვენი პატივისმცემელი დომინიკა განდეგილი.

ჩემი ადრესი — ნიკოლოზის ქუჩა № 22—ან რედაქციაში. ძალიან დამავალბებთ, თუ დეპეშით მაცნობებთ თქვენ პასუხს. ნიკოლაევის ქუჩა № 22 ერისთავისას.

კინალამ დამავიწყდა, ამ წუთს დამზადებული 1000 ტონა

მარგანეცი, რომელიც მყიდველის საკუთრებად გადადის, ასე რომ თხუთმეტათასზე მეტს ამ საქონელში იღებს, მყიდველი, თქვენ კარგად იცით, მე ფული არა მაქვს, თორემ ამ საქმეს ხელიდან არ გაუშვებ“*.

როგორც გიორგი ზდანოვიჩისადმი მიწერილ წერილიდან ვხედავთ, განდევილს ეს საკითხი საფუძვლიანად შეუსწავლია და ისეთი დიდი ინტერესი გამოუჩენია ამ საქმისადმი, რომ მადნის დამუშავების საჭირო კაპიტალის განსაზღვრის მიზნით, ტექნიკური ეკონომიური მაჩვენებლებიც კი უწარმოებია.

სამწუხაროდ, რა ბედი ეწვია გიორგი ზდანოვიჩისადმი მიწერილ წერილს დღემდე დაუდგენელია, მაგრამ საბუთის მნიშვნელობა და ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მკვეთრად მოჩანს განდევილის პატრიოტული საქმიანობა.

განდევილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის და ავტორიტეტის მაჩვენებელია ისიც, როცა იგი დაინიშნა საპოლემიკოს-სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთ „ნობათის“ რედაქტორად.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცდილმა მუშაკმა აქაც თავისებური ფხა და სიყვარული გამოიჩინა. გაზეთის სათავეში ჩადგომისთანავე ფართო საზოგადოებრივი ურთიერთობა გაჩაღდა ქართველ მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და თანამშრომლად მოიწვია ისეთი კამპენტენტური პიროვნება: როგორც იყო ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე ამ დროს ფოთის ქალაქის თავი იყო. მაგრამ სიშორეს ხელი არ შეუშლია განდევილისათვის.

აი, რას წერდა იგი ნიკო ნიკოლაძეს.

„ძვირფასო მამულიშვილო ნიკო!

რა თქმა უნდა, როცა ამ ჩემ წერილს მიიღებთ. რაღაცა გასჭირვებიაო. სწორეთ ეს არის. დიდი სათხოვარი მაქვს და დარწმუნებული ვარ, როგორც დიდბუნოვანი ადამიანი უყურადღებოდ არ დასტოვებთ ჩემს სათხოვარს. გეცოდინებათ, რომ მე „ნობათის“ გამომცემლად და რედაქტორად ვიყავი

* ქ. ქუთაისის ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1907 წელი, გიორგი ზდანოვიჩის არქივი, № 2470.

(არ გაიცინოთ), მაგრამ ცოტა ოდნავ მწვავე ანარქიული ხასიათის გამოცემა იყო და იძულებული გახდით შემეჩერებინა.

ეხლა გადავწყვიტე გამოვცე ყოველდღიური გაზეთი პატარა ფორმატით, სადაც უმთავრესად ადგილი ექნება დათმობილი წმინდა ლიტერატურულს და სადღეისო მწვავე საკითხებს. ვიცი დიდათ მოუცლელი ხართ, მაგრამ დამავალეთ საკუთრად და თვეში ორჯერ წერილის მოწოდებით, მტკიცე საფუძველი მიეცით ჩემს გაზეთს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი თანამშრომელი ისეთი არ იქნება, რომელიც უღრმესი პატივისცემით და მოწიწებით არ ეპყრობოდეს უნიჭიერეს პუბლიცისტის ნიკოს სახელს.

თქვენი ერთი წერილის მოთავსება, თქვენი ჰკვიანური აზრის გამოთქმა ფეხზე დააყენებს გაზეთს და დარწმუნებული ვარ, ხელს შემიწყობთ და დამეხმარებით.

სიტყვით მიპასუხეთ, რომ დამეხმარებით და ნაცვლად მეც მიმსახურეთ.

მარად ღრმა პატივმცემელი თქვენი ნიკოსა
დო მ ი ნ ი ქ ა გ ა ნ დ ე გ ი ლ ი *.

თუ ერთ მხრივ განდევნილი დაუღალავ მოღვაწეობას ეწეოდა და არ იყო რაიმე საკითხი საზოგადოებრივ ხასიათისა, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს, მეორე მხრივ არაჩვეულებრივად ნაყოფიერად მუშაობდა კრიტიკასა და პუბლიცისტულში.

მომყავს ერთ-ერთი საინტერესო წერილი „საგულისხმიერო იუბილეი“, რომელშიც პოეტმა ქალმა ნათლად გამოხატა თავისი დემოკრატიული ბუნება და სიმპათია მუშათა კლასისადმი.

წერილი მეტად ორიგინალურია. იგი გვაჩვენებს უპრეტენზიო ადამიანის დეაწლმოსილ სტამბის მუშის დიომიდე კილაძის დამსახურებან თავისი ერის წინაშე.

„ნეტარ არს, ვინც ნაყოფს ნაშრომითაც თვისთა სჭამსო“, — ნათქვამია და ამ ჩვენის წერილის საგანიც. სწორედ ის სანეტარო ნაყოფია, რასაც შრომის ნაყოფს ვეძახით და რის ქამაც მხოლოდ რჩეულთ ხედებათ წილად.

* კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა — 40—256 ნიკოლაძის არქივი.

ამ ბოლო დროს ჩვენმა ქვეყანამ ერთი კარგი წესი გადმო-
იღო ევროპისაგან—თვალსაჩინო მოღვაწის განსაზღვრულ ხნის
'მემდეგ, საჯაროდ მადლობას უხდიან და იმის ამავსა და ღვაწლს
'შესაფერისი სიტყვით იხსენიებენ. ამ გვარის პატივის მოხსე-
ნიება, უმეტეს ნაწილად, მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა
ხვედრია და რა თქმა უნდა ამ წრის ადამიანნი მოძღვრებულნი
ხორციით, სულიერ ნეტარებას და აღმაფრენას გრძნობენ მის
მიმართ.

ნურგინ იტყვის, რომ მუშაკს, რა პირიც არ უნდა იყოს იგი,
არ ესიაშოვნოს თავისი ნაშრომის დაფასება, თვალთმაქცობაა,
ვინც ამას ამბობს, მე კი ვშრომობ და ჩემზე გინდა ავი სთქვან
და გინდა კარგიო. ეს იმას ჰგავს მთესველმა თქვა—მე კი, გა-
დავყრი ხორბალს ამ ხნულში და ამოვა, თუ არა, ეგ ჩემთვის
სულერთიაო.

და განა მთესველს გული გაუძლებს თვალი არ გადაავლოს
თავის ნაშრომს, ნაღვაწს და სიხარულით არ გაიღიმოს, თუ
ღმერთმა გულის წადილი აუსრულა და პატიოსანის ოფლით
გაპოხიერებულმა ნიადაგმა მწვანე ჩვეილი აღმოაცენა.

კაცი კაცად მისაჩნევი არ იქნებოდა, თუ მას თავის შრომის
ნაყოფი არ ასარებდეს. სულერთია მეცნიერებისა: ზენა-თეს-
ვის, კალატოზისა, თუ მექლანუებისაგან იქნება ეს ნაყოფი გა-
მოღებული: შრომა—შრომაა, რა დარგისაც უნდა იყოს იგი,
ყველგან პატივსაცემია, რადგან ერთი უმეოროდ უქმია. ისე ვით
წისქვილის ქვა უბორბლოდ და ფირფიტა უწყლოდ", — აქ
ავტორი ბოდიშს იხდის, რომ წერილი ასე გაუგრძელდა, მაგრამ
არ შეუძლია გულგრილად ილაპარაკოს იმაზე, რაც დღეს ასე
აღელვებს მის სულსა და გულს.

დღევანდელი ჩვენი წერილის საგანი არც მწერალია, არც
მეცნიერი, არც არტიტი და არც რომის პაპი.

ეს განსაკუთრებით უფრავო და უკაკარდო, ხელეგამურული
ასოთამწყობი დიომიდე კილაძე: სწორედ ამ წლის ორ აპრილს
შეუღსრულდა ოცდაათი და გულისწმინდით ემსახურება თავის
ხელობას, 1872 წლიდან დაწყებული, როცა ჩვენი ახალფუნადგ-
მული ჟურნალ გაზეთობა ჰაპანწყვეტით მიათრევდა თავის მძი-
მე ტვირთს, დიომიდე მხარ და მხარ ეწეოდა საერთო უღელს

და უკეთესი მომავლით დაიმედებულს, რომელსაც არასოდეს არ უღალატია პატიოსან მუშაის მოვალეობისათვის. იგი აწყობდა „დროებას“, „ივერიას“, „კრებულს“ და სხვათა ჩამოთვლილ ჟურნალ-გაზეთ შორის ბევრია ისეთი, რომელთა გამოცემაც არც პატრონისათვის იყო ჯიბის ბარაქა და, მაშასადამე, ვერც მუშას მისცემდა ღირსეულს სასყიდელს. ეხლა ერთი სურვილი რედაქტორისაც და ასოთამწყოებისაც ის იყო, კეთილი და სასარგებლო აზრი გაეზიარებია თავისიანებისათვის.

განსვენებულნი სერგეი მესხის დროს, დიომიდე ერთი გულითადი მონაწილე იყო გაზეთის აკარგისა.

დიომიდე თითქმის თანამედროვეა ჩვენი საუკეთესო მღვდელმწიგნობრების, იმას ბევრჯერ უნახავს ალია ჭავჭავაძე, რომ მარტომარტო იჯდა სტამბაში და ღამის 1-2 საათამდე გაზეთის კორექტურას ჩაჰკირკიტებდა. სხვა ყველა ამეების მნახველი დიომიდეა და ყველა ამათ შრომისაგან ამ ოცდაათი წლის განმავლობაში მისი ოფლიც დაღვრილა, მისი სულიც და გულიც თანამოზიარე ყოფილა.

დღეს შედარებით გაზეთი უკეთეს მდგომარეობაშია და იმისი მუშაც, მაგრამ იმ დროს ორივე შესაბრალისი იყო და სწორედ ამიტომაც პატივისცემით მოსახსენებელია ეს პატიოსანი მუშა, რომ ჭედი არ მოიხარა მძიმე ტვირთქვეშ და ამ ხნის განმავლობაში მხნედ სწორუჩინარი, მაგრამ საჭირო უღელ უჩინარი-მეტეი ვამბობ, რადგან უნეტესმა ნაწილმა არ იცის, რამდენი ფათერაკი სდევს საზოგადოთ გამოცემის საქმეს და კერძოთ ყოველ ლიტერატურულ გაზეთს. ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არც ჩვენი წერილის საგანს შეადგენს. მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, ჩემო მკითხველო, თუ შენ ხან და ხან გაზეთი არ მოგეწონება და უმადურად გადაადგებ ხოლმე. შიგ არა ჰყრია რაო, ამავე დროს გახსოვდეს, რომ ეგ არის რაც სისხლის ოფლით ნამოღვაწევი... და თუ ჩვენ ხუთისა და ათი წლის თავისუფალ შრომისათვის მადლობას და დაფასებას მოველით, ოცდაათი წლის განმავლობაში დღითი და ღამით მუშებსაც ფუჭად ვერ ჩაუტარებთ თავის ნაამაგდარს.

დიომიდე იყო მიმქრალი ჟურნალ „მცამბისა“, მანვე იშვილა განახლებული „ცნობის ფურცელი“ და როგორც ღირსე-

ულს ქართველთა ამხანაგების სტამბის სხვა მუშებთან ერთად
ვაძლევთ ხელს და ულოცავთ ოცდაათი წლის მუშაობას.

გ ა ნ დ ე გ ი ლ ი *.

ასოთამწყობ დიომიდე კილაძისადმი გულთბილ მისალ-
მებით განდევილმა ხაზი გაუსვა მუშის უანგარო შრომას, რო-
მელიც ისევე დასაფასებელია, როგორც სხვა გამოჩენილი ადა-
შიანების ღვაწლი.

განდევილს თავის სამშობლოს მაღალი ინტერესები
ამოქმედებდა. მას როგორც პროგრესულ მოაზროვნეს და
შორსმჭვრეტელს კარგათ ესმოდა ხალხთა ურთიერთობისა და
მეგობრობის საკითხი. ხალხთა დამეგობრებისა და დაახლო-
ვების საშუალებად იგი მხატვრულ თარგმანს სთვლიდა.

ამ ფრიად სერიოზულ საკითხს დაუთმო განდევილმა თავის
სტატია „პატარა წერილი“-ს სათაურით.

„იციან, თუ არა სხვებმა ჩვენი მწერლობა? აი, ამ საკითხს
გვინდა მივაქციოთ ჩვენი საზოგადოების ყურადღება, რადგან
მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის მას, თუ რამდენად და რა
მხრივ იცნობენ სხვები ჩვენს მწერლობას.

თუ სიმართლეს არ გამოუდგებით, ექვს გარეშეა ჩვენ მდი-
დარი მწერლობა გვაქვს, ჯერ მარტო XII საუკუნის დიდებულ
მწერლის, რუსთაველის ნაწარმოები რომ ავიღოთ, ამის ფასი
ზოგიერთ ერს, მთელი მწერლობა არა აქვს, არა აქვს იმიტომ,
რომ რა მხრითაც არ უნდა გასინჯოთ და რამდენმა საუკუნემა
უნდა გაიაროს, რუსთაველის ყოველი სიტყვა პოეზიისა და ფი-
ლოსოფიის სახით გამოხატული ჭეშმარიტებაა. რუსთაველი
ითვლება ქართველ მწერალთა მამამთავრად. მის შემდეგ იწ-
ყება თანდათანობით განვითარება ჩვენის გენიებისა და რო-
გორც შეხედავთ, დღემდე დროსი შესაფერისად მიმდინარეობს
ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვები ძალიან ცოტად იცნობენ ჩვენ
მწერლობას... ვისი ბრალთა ეს?! ექვსგარეშეა ჩვენი. სხვებს არა-
ვითარი საშუალება არა აქვთ გაიცნონ ჩვენი მწერლობა, რად-
განაც არ იციან ჩვენი ენა. იქნებ გვკითხონ, თუ სურთ, კიდე-

* გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., № 1775.

ვაც შეისწავლიან ქართულსაო, მართალია, თუ მოისურვებენ, არასაკვირველია, შეისწავლიან, მაგრამ საქმეც ისაა, ასეთი სურვილი რითიმე აღუძრათ სხვებს.

მერე ვცდილობთ კი, ჩვენ ამას? არასოდეს... თამამად ვიტყვი, რომ არც ერთ ქართველს არ შეუწყუხებია და მამულიშვილურ წმინდა მოვალეობად მიუჩნევია ჩვენი მწერლობის ჩადონის ჩამოხდა და საქვეყნოდ გამომზეურება. თითო ოროლას ვინმეს, თუ რაიმე უთქვამს ჩვენს მწერლობაზე ისიც ზერელედ. პოკლედ აღნიშნავენ, რომ ქართველებს ამა და ამ დროს ესა და ეს მწერალი ჰყავდა ან ჰყავსო, ასეთი მიმართულებრსაო და შორჩა და გათავდა...

დღეს დღეობით ჩვენ შორის ბევრია უმაღლეს და საშუალო განათლებული. რუსული ენა თითქმის ყველამ კარგათ იცის. პოგვეპოვებან აგრეთვე ევროპული ენის მცოდნენიც და აი, ამათ უნდა ითავონ ამ საქმის გაძლოლა, რამდენადაც გვახსოვს ამ რამოდენიმე წლის წინათ რუსულ გაზეთში „სვეტი“* მოთავსებული წერილი ვიდაც №-ის, რომელიც გაკვირვებული კითხულობდა: „ნუთუ ქართველთაც აქვთ მწერლობაო“ და ბოლოს დაცინვით უმატებდა „ვითომ და რატომ არ უნდა ჰქონდეთ თავს მწერლობაო“.

ეს წერილი გამოიწვია „რუს-მისლში“ მოთავსებულმა ბ-ნ ზიზანიშვილის წერილმა 1895 წელს, რომელშიაც იგი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობას იხსენიებდა და რუსეთის საზოგადოებას აცნობდა მის მნიშვნელობას ქართველ საზოგადოებისა და ქართველ მწერლობისთვის. მართალია უვიცთა და უკბილოთაგან გადამწყვეტი დაცინვა, მხოლოდ დამცინავისვე ურთიერთობის დაქადაგებელია, მაგრამ ისიც მართალია, რომ გადმოკრული შოლტები ერთნაირად აგვიწვავს ზურგს, სულ ერთია ეს შოლტი რუტიანს ეპყრა ხელთ. თუ ფილოსოფონ სოკრატს.

სამწუხაროდ, სავალალო ის არის, რომ ყოველი იარაღი აყრილი გვაქვს ჩვენის გულისწყრომისა და რისხვის გამოსაცემად... მე თქვენ მოგახსენებთ ტომ-ტომად გადმოულაგებთ

* გაზ. „სვეტი“, 1895 წ., № 108.

სხვებს ჩვენი მწერლობის ნაწერთა თარგმანებს და პიკუ-
ბურთს ჩაეჩრით თავხედობისა და კადნიერებისათვის.

...რა გაქვთ, რა გამოგლით, — ერთი საცოდავი „ბარსავაია
კოჟა“ გაქვთ და იმისი გადათარგმნა ვერ მოგიხერხებიათო მ-
შინვე გვიპასუხებენ და ღირსიც ვიქნებით ამისა. თუ მწერ-
ლობა გვყავდა და გვყავს, თუ განათლების გარეთ გამორიცხ-
ული არა ვართ, უნდა ვეცადნეთ გავაცნოთ ქვეყანას ჩვენი თავი
და გავიცნოთ სხვებიც.

და ეს კი, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გულმოდგინეთ
შეუდგებით, არა მარტო სხვა ენებიდან ქართულად თარგმანს.
არამედ ქართულიდან სხვა ენებზე. უამისოდ კი, ჩვენ და ჩვენი
მწერლობაც პანღურ-ნაკრავი ვიქნებით, რადგან ჩვენივე საჭი-
როებისათვის ჩვენივე ენის ცოდნას რჯულად და კანონად ვე-
რავის დაუდებთ”*.

განდევილი არ სცდებოდა, მას კარგად ესმოდა, თუ რა დი-
დი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა ხალხების დაახლოვების
საქმეში ლიტერატურისა და კულტურის ურთიერთ გაცნობას.

ამიტომ ასე დაბეჯითებით მოითხოვდა მთარგმნელობითი
მუშაობის გაშლას და გაძლიერებას. განდევილი ამას წერდა ცა-
რიზმის სულშემხუთავ პოლიტიკის დროს, როცა იდეგნებოდა
ყოველგვარი ეროვნული. დ. ერისთავი კარგად ხედავდა ორ
რუსეთს, თავგამოდებით ებრძოდა ცარიზმს, მეფის თვით-
მპყრობელობას, მაგრამ რუს ხალხთან მეგობრობასა და ურ-
თიერთობას მოითხოვდა.

განდევილს არ ერიდებოდა ხმამაღლა განეცხადებინა, რომ
ლიტერატურა არის ეროვნულ კულტურის სარკე და საუკე-
თესო საშუალება ხალხთა შორის მეგობრობის, მშობისა და სა-
ზოგადოებრივ ურთიერთობისა. პოეტი ქალი არასოდეს არ
მოსწყვეტია ცხოვრებას. იგი ფუტკარივით შრომობდა და არ
შეეძლო არ დაეფასებინა ახალგაზრდობის პოეტური შემოქმე-
დება, რაც საქართველოს მომავლის დიდ საწინდრად მიაჩნდა.

1927 წელს სამოცდაათი წლის ხანდაზმული ქალი გალაქ-

* გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1773.

ტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ სპეციალურ სალიტერატურო ბიულეტენში გალაქტიონის შესახებ ასე წერდა:

„...გალაქტიონ ტაბიძე — ეს დიდი პოეტი, უდიდესი განცდებით და უნაზესი გადმოცემებით. ჩვენ გვყავს რამდენიმე თვალსაჩინო პოეტი, როგორც ქველ ისე ახალ პოეტებში, ზოგი მათგანი ახლავე შეიძლება ნამდვილ გამოჩენილ პოეტად ჩაითვალოს, არა ლექსთა სიმრავლით, არამედ ნამდვილი პოეტურა სულით.

მაგრამ გალაქტიონი — ეს სულ განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში!

შეიძლება მას იმიტომ უწოდეს პოეტთა მეფე.

მე კი ამ სახელს ვერ უწოდებ მას, თუნდაც მართო იმ მოსაზრებით, რომ ყოველა მეფე თავისებურად დესპოტია და გალაქტიონს როგორც პოეტს ვერავინ დააბრალებს დესპოტიზმს, — იგი არავის შესცილებია, არც გვარიშვილობასა და არც ნიჭში... გაჩნდა თავისთვის პარნასის მწვერვალზე და იმავე პარნასმა გადმოსტყორცნა ამ ქვეყნათ, რათა თავისებური სინარჩარით იმღეროს: რომ არასოდეს არ უნახავს მთვარე ასე ნაზი. და ჩვენი სიამაყე ბარათაშვილის ამდენი წლის მოღვაწეობის შემდეგ, პირველი გალაქტიონი გამოეხმაუროს იქიდან, საიდანაც დაწყევლილ ყრმას უყვარდა ობლად სიარული.

გალაქტიონი განსხვავებული სიძლიერით, გრძნობს ბუნების ხვაშიადს და ამ ძლიერ განცდის შედეგია ის, რომ ობოლმა სულმა თამამად შესძახა მერის და მე ავტირდი ვით მეფე ლირი, ლირი ყველასაგან მიტოვებული.

გალაქტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომ მას სათუთი გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი“*.

ასე აფასებდა განდევნილი გალაქტიონ ტაბიძის ხალას ნიჭს. უფროსილდებოდა მას, როგორც ქართველი ხალხის სიამაყეს. განდევნილმა თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ქარ-

„სალიტერატურო ბიულეტენი“, 1927 წ., № 1 „სადღესო“.

თული კრიტიკის და პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში. არ იყო დარგი ჩვენი კულტურულ საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სადაც განდევილს თავის სიტყვა არ ეთქვას და არ გამოხმაურებოდეს.

ჯმისი შესანიშნავი სტატიები და კრიტიკული წერილები. უშუალოდ გამომხატველი იყო იმ დროინდელ მოწინავე იდეებისა. ქართველ ხალხს მისი სახით ჰყავდა არა მარტო პოეტი. არამედ ერთ-ერთი ღირსეული საზოგადო მოღვაწეც.)

დომინიკა ერისთავი და ქართველი კორიფეები

დომინიკა ერისთავის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახელთან.

როგორც ვთქვით, ილია ჭავჭავაძე იყო ამ ახალგაზრდა პოეტის ქალის ლიტერატურული ნაბეჭდების პირველი შემფასებელი, მისი გზის მაჩვენებელი და მასწავლებელი.

ილიამ მისცა მე-19 საუკუნეს ბუმბერაზი ვაჟა, ილიამ გაუკაფა გზა შესანიშნავ ბელეტრისტ ქალს — ეკ. გაბაშვილს, ილიამ გაამხნევა ქართულ დრამატურგიაში ახლად ფეხადგმული ნატალია აზიანი. ილიამ გამოიყვანა სამწერლო ასპარეზზე დომინიკა ერისთავი.

ილიას მიჰყავდა მე-19 საუკუნის ქართული კულტურა, ილიას ეჭირა საჭე ქართული მწერლობისა და პოეზიისა, ილია გაათრებულ ბრძოლას აწარმოებდა ბატონ-ყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ, განდევნილს არ შეეძლო არ დაენახა ეს და ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეების მედროშის კეთილისმყოფელ გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

თავისი დიდი მასწავლებლის ღრმა სიყვარულმა და პატივისცემამ დააწერინა განდევნილს სახელდახელო ლექსი, რომელიც ილიაობას დღეს მიუძღვნა იუბილარს.

ი ლ ი ა ს

(სახელდახელოდ)

ირგვლივ მთებს მწუანე მანტია
წამოუხურავს გმირულად
გადმოსდგომია ტყე-ველსა
შეუპოვარი გმირულად.

გადაუშლია გულ-მკერდი
ქვემოდ დაფენილ კალებსა
ცაჲ ლაჲკარდოენობს, მშვენიერს
მთას და ბარს აელვარებსა.

შორს შირბის გიეი არაგვი,
ფეხმარდი, დაუღალავი,
ჟან გაუტეხი გულ-გმირი,
ბართ მრწყველი, კლდეთა მღარაჲც.

აგერ ამოქქუნს ჩანჩქერი,
შხაპუნა წინწყლებ ცქრიალა
ნავარდობს მზისა სხივებზე,
სპეკალი ააპრიალა.

ხის ქვეშ ზის ძველი ქართველი
ბელადი თავის ერისა,
შემაერთ-შემამკობელი
ამერეთ-იმერეთისა.

და მის დღეობას მეჯლისობს
ერი და თვითონ ბუნება,
გულით უნატროს აშოროს
ქართველთა დამაბუნება.
მაშ, გაუმარჯოს ბელადსა,
ცეცხლში ნაწრობსა კალამსა,
ქება დიდება მის ფარ-ხმალსა,
მის ღროშას, მისსა აღამსა*.

ასე გამოხატა პოეტმა ქალმა ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული ილიასადმი.

განდევილისა და ილია ქაეკავაძის საზოგადოებრივი ურთიერთობის მაჩვენებელია აგრეთვე ჩემს მიერ მიკვლეული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში დაცული, დღემდე უცნობი ავტორის გამოუქვეყნებელი დოკუმენტი 1895 წლის თარიღით „ერთი ქართველთაგანის წერილი ილიასადმი“** — რომელიც ეკუთვნის დ. ერისთავს.

განდევილი ამ წერილში აკრიტიკებს ილიას წინააღმდეგ გა-

* 24. იელისი 1895 წ. საქ. სახ. მუზ. ფონდი № 1991

** საქართველოს სახ. მუზეუმი. „ერთი ქართველთაგანის წერილი ილიასადმი“. ი. ქაეკავაძის ფონდი № 1720.

მოსულ იმ უმგვანო მამულიშვილებს, რომელთაც უნდოდათ შეებღალათ ილიას სპეტაკი და ნათელი პიროვნება.

წერილი დაწერილია დიდი ღელვისა და განცდის შემდეგ, ზოგან დარღვეულია ლოგიკური მსჯელობა, ადგილი აქვს ნახტომებს, რაზედაც ავტორს ხშირად უხდება ბოდიშის მოხდა.

როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, განდევილს დიდხანს უბრძოლია თავისთავთან, მიეწერა თუ არა, ისეთი დიდი ადამიანისათვის, როგორც ილია იყო, ასეთი ხასიათის ბარათი და სინამდვილის წინაშე დაეყენებინა ხანდაზმული მწერალი.

იმ დროს, რომელ პერიოდსაც ეკუთვნის ეს წერილი, განდევილი გაზეთ „ივერიის“ ცხრა წლის მუშაკია და ბუნებრივია, რომ გაზეთი „ივერია“ მისთვის თვალისჩინივით მოსაველელი და გასაფრთხილებელი იყო.

განდევილი დიდათ აფასებდა ილია ჭავჭავაძის თავდადებულ შრომას და ბრძოლას „ივერიის“ შენარჩუნებისათვის, რომელსაც არა ერთხელ დახურვით ემუქრებოდა მეფის ცენზურა.

პოეტი ქალი კარგად ხედავდა, რომ გაზეთი „ივერია“ ქართველი ხალხისათვის კულტურის კერა იყო. ამიტომ საკვირველი როდია, რომ ამ გაზეთის უშუალო თანამშრომელი დომინია, ასე თავგამოდებით იცავდა გაზეთის სულისჩამდგმელს და ხელმძღვანელს ილია ჭავჭავაძეს.

„პატივცემულო ნამდვილო შვილოვ, საქართველოს დიდებავ! პირველად ძველებურად წმინდის გულით ვთხოვ უფალს, თქვენს მრავალ წელს უვნებლად საღად სიცოცხლეს. ვინატრი გულით, თქვენი თავი საქართველოს სადიდებლად დიდხანს ყოლოდეს ჩირქმოუცხოვბელი ჩვენდა სასიხარულოდ.

იცოდეთ გულით პატივცემულო თავადო ამ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი სანატრელი და გულით სასიხარულო მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ღირსეულად ატაროთ მამულიშვილობა, თუ თქვენ ყოჩაღად, პატიოსნად, მიუღდგომლად, მხნედ და მშრომელად გვეყოლებით და ვიტყვი თუ ყოვლად მართლის გულით: აი, თავი მოგვწონს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრობთ, იმ მეცხრამეტე საუკუნეში, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე სადიდებლად დაებადათ, რაც ჭანია. თქვენ სიცოცხ-

ლეს და მასთან სასარგებლო შრომას თვალს ვადევნებთ და თქვენის კეთილის მყოფელთ, მუდამ თავი მოგვწონს თქვენი-
დღემდე ყოველთვის თავი მოგვწონებია და იმედი გვაქვს ამას
ქართავ სასიქადულო თავმოსაწონ დროშას საფლავის კარამდის
ღირსეულად მიიტანთ.

მართალია თავადო, ზოგიერთ საქართველოს შვილნი, ჩვენ-
და შესარცხვენად შურით უყურებენ თქვენ ყოველნაირ ღირ-
სებას და მზად არიან ეს არა შვილნი თავის მიწაწყლისანი.
ჩირქი მოსცხონ, თქვენ ჩირქმოუცხებელ პიროვნებას, მაგრამ
რა გაეწყობა, ეს არც, თუ მეცხრამეტე საუკუნის ბრალია.

ჩვენდა გულსაკლავად და გასაწითლებლად ისტორიაშიც
ბევრს შეხვდებით აშნაირ შურის ძიებებს, ყველას რომ თავი
დაეანებოთ და მარტო პატივისაცემი ანტონ ფურცელაძის ბრძო-
ლას მივაქციოთ ყურადღება. თუ რა შურისძიებებით მტრობ-
დნენ სააკაძეს, ისიც საკმარისია მაგალითის მოსაყვანად.

ეჰ, ასე ყოფილა ალბათ კაცობრიობაში, როდესაც ნიჭიერი
შვილები პატიოსნები და დიდი იდეალებით შექუჩვილნი დაჰ-
ბადებია სამშობლოს, იმავ დროს იმ ხანს უნიჭო, ბოროტები,
შურიანები, კეთილ საქმის ხელის შემშლელნიც გვერდში ამო-
დგომიან და დაუპირებიათ საფლავის თხრა, ურცხვ საფლავისა-
მ სასარგებლო ადამიანისათვის.

ღიახ, ასე ყოფილა და დღესაც ამას ვხედავთ. ხანდახან გუ-
ლი გვიშფოთავს, გვიღელავს, გვიკვნესის. ეს რა სისაძაგლემ,
სიბოროტემ ფესვი გაიდგა. სიმართლე, ნიჭი, შრომა, ტალანტი
არ შეარყიონ, არაფერი ავნონ, ლაქა-ჩირქი არ მოსცხონ თქვენ
პიროვნებას.

ღიახ, თავადო და ღირსეულო შვილოვ ჩვენი ძვირფასი
ქვეყნისა, ვშიშობთ ხოლმე თქვენს შესახებ. ვაპირებთ ვიბრ-
ძოლოთ მუდამ ყამს, თუ რომელიმე პირმა მოინდომა თქვენი
ღირსების შერყევა და შეურაცხყოფაც და თქვენც გთხოვთ, ან
კი რა თხოვნაა საჭირო, მაგრამ გული არ გვითმენს, დიდი მოკრ-
ძალებით გთხოვთ, როგორც ყოველთვის მხნედ იყავით“.

ამრიგად, დომინიკა ერისთავის წერილი გამოწვეულია ილიას
საქმიანობისადმი ღრმა პატივისცემით და ეროვნული გულ-
შემატყვიერობით. პოეტი ქალი აღშფოთებულია ილიასა და გა-

ზეთ „ივერიის“ წინააღმდეგ აშლილი კორეებითა და მითქმა-მოთქმით, რომლითაც სახელს უტეხავდნენ ილიას და „ივერიის“. აქ, რასაკვირველია, არ უნდა იყოს გამორიცხული სათავადაზნაურო ბანკის გარშემო ატეხილი უთანხმოებაც.

განდევილს, როგორც ჰკვიანსა და შორსმჭერეტელ ქალს. კარგად ესმოდა, თუ რა უსიამოვნებას უქადდა ეროვნულ საქმეს ყოველგვარი შინაური კინკლაობა, ამიტომ „ივერიის“ ინტერესების დამცველი მწერალი ქალი ილიას წერს: „—თხუთმეტი, თექვსმეტი წელია თქვენ გვერდით არის და კეთილად შრომობს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ... არამც თუ უჭკუო აღამიანია, ეს ხომ თქვენც იცით, თორემ იქნებ კვირასაც არ დააყენებდით თქვენს გვერდით.

გულით მოყვარული მეგობრებიც ჰყავს არც თუ ცოტა მაგ ტანით პატარა კაცსა... თქვენ თუ გულნაკლულად მოიშორეთ ყიფშიძე, იცოდეთ თქვენი წინააღმდეგი პარტია ერთი-ორად ფრთებს შეისხამს და სიზარულის ნალარას დაჰკრავენ...“ და სხვ.

აქ განდევილი ლაპარაკობს „ივერიის“ ერთგულ და უანგარო მუშაკზე, გიგო ყიფშიძეზე, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში ილია ჭავჭავაძესთან ერთად ეწეოდა თავის ქვეყნის მძიმე ჭაბანს.

ამავე წერილის დასასრულს განდევილი ილიას თხოვს „—გთხოვთ და კვლავ გთხოვთ, სათავადაზნაურო სკოლაზე. როცა აღძრათ ლაპარაკი, კარგათ განმარტეთ ხალხის გასაგონათ და მოსაწონად. ეცადეთ სტუდენტების შესახებაც თანაგრძნობით ილაპარაკოთ.

მთელი არსებით და ღონით მოემზადეთ მომავალ კრებისათვის, ფიქრი არ არის თქვენ ვერავინ გაგაშავებთ, ვინც კი, შერცხვენილ ხელით კენჭს შავს ჩაგიგდებთ, ის პირით და გულით შავი იქნება, აქ ჩვენს წინაშე და იქსაიქიოს ქრისტეს წინაშე.

ამ სიტყვებს ყოველთვის მოურიდებლად, სამართლიანად ვამბობთ ჩემს მოძმეებთან და ყოველნიერ ხალხთან“^{*}.

ეხლა უკვე ჩვენთვის გასაგებია, თუ რამდენად ახლო უნდა

* საქართველოს სახ. მუზეუმი ი. ჭავჭავაძის ფონდი № 1720

მდგარიყო განდევილი ილიასთან, რომ ასეთი შინაარსის წერილი მიეწერა და ნამდვილი მეგობრული რჩევა-დარიგებით მისულიყო მასთან. ეს შეეძლო მხოლოდ თავის სამშობლოს დიდ პატრიოტ ქალს, რომელიც საკუთარ თავზე მეტად უფროთხილდებოდა ილიას, ვის სახელთანაც იყო დაკავშირებული საქართველოს მომავალი.

ამიტომ იყო, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის სიკვდილი საშინელი გულსტიკივლით განიცადა პოეტმა ქალმა და არაჩვეულებრივი წერილით გამოეხმაურა წიწამურის ვერაგულ ტრაგედიას. „ისარში“ 2 სექტემბერს განდევილი წერდა:

„კაენ, სად არის ძმა შენი!

იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,

სადაც თვით შხამს ანთხევს მტრობა და შური“, —

ასე სთქვა მგოსანმა და არსად გამართლებულა ეს უკვდავი სიტყვები, როგორც უბედურს საქართველოსა და თვით ამის მთქმელს ილიაზე.

ჩვენ გვესმის, რომ მტრობა და შური, არა თუ ჩვენისთანა ნახევრად ველურთა შორის, საუკეთესო შვილნი საქვეყნო მტრად მიუჩნევიან და სამარცხვინო ბოძზე გაუკრავთ სრულიად დაუმსახურებლად.

გვახსოვს როგორ მოექცა საფრანგეთის ხალხი ემილ ზოლას, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ფხიზელ დარაჯად ედგა თანამემამულეთა ავსა და კარგს?! ეს შარავანდედით მოსილი ბოძი ფრანგთა აზროვნებისა, სამშობლოდანაც კი გააძევეს იმიტომ, რომ მან საჯაროდ აღიარა სიმართლე ერთისა და დაპკმომ სიცრუე მრავალთა. გვახსოვს ისიც, რომ მისი ავეჯი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდეს და ვითომ ამით დაამცირეს მართლის მთქმელი, კარგად ვიცით, რა უყვეს იესოს, რომელმაც ხმა აღიმადლა ადამიანთა თანასწორობისათვის, იგი გოლგოთაზე აიყვანეს და ჯვარზე აცვეს, მაგრამ ყველა ამას თავის ახსნა-განმარტებაც თან ახლავს.

ხოლო რით აიხსნება ილიას მოკვლა? შესაძლებელია. ვინმემ გულუბრყვილოდ სთქვას — ეს სენი საერთოდ მიღებულია

ოუსეთის ქვეშევრდომთა შორის და არაქართულ მოძრაობით გააფთრებულმა ხალხმა აქაც იჩინა თავის ძალაო.

თვით მექამ სტრიქონების მწერალს, არა ერთხელ და ორჯერ მინახავს ილიასთან სადღესასწაულოდ მოსული გლეხობა მასთან მომეჯლისე, მინახავს, როგორ აღტაცებით შესცქეროდნენ ილიას. როდესაც ის ჩადგა მათ შორის და წაიკითხა „გუთნის დედა“.

„ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“...

რა გინდ უკმაყოფილო ყოფილიყო გლეხობა, რა გინდ ბრაზმორეულიც არ ყოფილიყო, ილიას მაინც არ მოჰკლავდა. საგურამოს გლეხობა ილიას სისხლის დანთხევას ვერ იკისრებდა; იგი წმინდაა იმის სისხლისაგან.

ჩვენ რომ ვამბობთ „გლეხობა“ — აქ წოდებრივობას როდი ვგულისხმობთ. შესაძლებელია ცოდვილი შვილი ამ გლეხთა შორისაც გამოერია, მაგრამ ის გლეხი კი აღარაა, იგი დაქირავებული ჯალათია, სხვისი სურვილისა, ბრძანების ყურმოჭრილი მონა, უვიცი და სულით ღატაკი, ბრმა იარაღი.

ჭკუის საბუღობის სიცარიელემ და უვიცობის წყვდიადში ბოდიალმა, ეჭვი არ არის, იქამდე მიიყვანა გზა-კვალ მოშურნე. რომ უმეცრების ლაფში შეტოპილმა, სხვა გზა ვეღარ პოვა. თუ არა, სამარცხვინო და საშვილიშვილოდ დასაგმობი მკვლელისა. მოკვლა სამარის კარამდე მისული მოხუცისა, მოკვლა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხალხის გამოფხიზლების საქმეს ემსახურებოდა, რომელმაც გულისტკივილით წამოიძახა „—მამულო, საყვარელო შენ როსლა აყვავდებო“ — ისეთი ურიცხვი თავხედობაა, რისთვისაც თვით უსასტიკესი მსჯავრიც კი ცოტაა.

საზოგადოებამ — ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრო ადევთ. დაე, თვით ილიასთან ნაპურმარირლევემა გლეხობამ დაკვმოს საზიზღარი მკვლელი. დაე, უსიტყვო ტყემაც შემოსძახოს ვარეწარს: „კაენ, სად არის ძმა შენი?!“.

* გაზ. „ისარი“. 1907 წ. 2 სექტემბ.

ამის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დომინიკა ერისთავი — განდევილი იყო ერთი იმ ქართველ პატრიოტ ქალთაგანი, რომელიც მტკიცედ მიჰყვებოდა ილიას მიერ გაკაფულ გზას და ჩვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეების მედროშე ილია ჭავჭავაძესთან ერთად იბრძოდა თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის.

* * *

განდევილი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო აკაკის პოეზიით.

„ჩემო ძვირფასო ბატონო აკაკი! — წერდა განდევილი, — შვიდი წლის კიდევ არ ვიყავი, როცა ქართული წერა-კითხვა ვისწავლე შენი ლექსის „სალამურის“ — სიყვარულით და აქამომდე იმის ავტორს ვაღიარებ ჩემს მოძღვარად.

მართალია, ჯერ კი ვერაფერში გამოვიჩინე სიყვარული, მოძღვრის ღირსეული მოწაფეობა, მაგრამ ვეცდები ისეთი ვიქნე, როგორც შენ გესიამოვნება... ვიცი ყველასათვის კარგი გინდა და განსაკუთრებით ჩემთვის. რადგანაც შენი ქვეყნის შვილი ვარ და მასთან ნათესაეცი. იმიტომაც ნუ იუკადრისებ, რომ ჩემს ლექსებს, რომელიც ერთად იბეჭდება, წინასიტყვაობა დაწერო. ამას იმიტომ უფრო ვბედავ, რომ შენ თითონ მითხარი, როცა დაიბეჭდება შენი ლექსები, წინასიტყვაობას მე დაგიწერო.

ამის მეტს აღარას გწერ, რადგან ვიცი, თუ რამე შესაძლებელია არ დაიზარებ შენიანებისათვის... ამასთანავე გიგზავნი ლექსებს, იქნება საჭირო იქნეს ზოგი ამოიღო, მარა მგონი არა უშავს.

- შენი მარადის მორჩილი დომინიკა*.

აკაკისადმი გულთბილ დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს განდევილის ერთ-ერთი ლექსი მიძღვნილი პოეტისადმი.

* საქართველოს სახ. მუზეუმი აკაკი წერეთლის არქივი № 372.

შენი ხატია სამშობლო,
 სახატე მთელი ქვეყანა
 და რომ დაიწვი, დაადნი,
 ნათლად არა სჩანს ეს განა?
 აჰა, შეხედე მგოსანო,
 მთლად საქართველოს კრებულსი,
 შენის მაღლიან სიმებით
 დამტყბარსა მირონ ცხებულსა.
 შეხედე ამ შენს სალოცავს,
 რა რიგად ამკობს სახესა,
 როგორც შეკუურებს ლიპარიტ
 შენს ამაყ მოღი ნახესა“,

განდევნილს აკაკის პოეზიის დიდი გავლენა ეტყობა და ეს არც იყო საკვირველი. ამ მხრივ საინტერესოა ავადმყოფ აკაკისადმი დომინიკას მეორე წერილი:

„ჩემო ძვირფასო აკაკი!

დიდიხანია მინდოდა წიგნის მოწერა, მაგრამ ვერ ვბედავდი, მეშინოდა რომ სუსტი იქნები, იმ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ და ვერ მომწერ პასუხს. ეხლა იმედი მაქვს, რომ იქამდე მომაგრებული ხარ, რომ მომწერთ პატარა ბარათს და ამით გამახარებ ძალიან დიდათ.

პირველათ, რომ გავიგე შენი ავადმყოფობა, ვერ წარმოიდგენ, თუ რა მძიმე დღე იყო ის დღე ჩემთვის, როდესაც გავიგე, რომ დიდი შედონებული არისო, და ახლო მეგობრები წავიდნენ იმასთანაო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოსულ მეგობრებს, რომლებიც თავს გადგნენ იმ შეწუხებულს დროს ისე გული, არ სტკიოდათ, არ ტიროდნენ გულით, როგორც მე მიკენესოდა გული, მაგრამ რას იზამ ხალხის პირში ჩავარდნა ძნელაა ჩემისთანა პატარა ადამიანისათვის... ეხლა გთხოვ, თუ ძალიან სუსტი არა ხარ, სულ დაწვრილებით მომწერო, როგორ ვახდი ავად, რამდენი ხანი იყავი ავად და როდის აპირებ აქ ჩამოსვლას. იცოდე ძალიან მეჩქარება შენი პასუხი და ნუ გადადებ შორს ჩემი წიგნის პასუხებს.

შენ წარმოიდგინე აქამდის ისეთი ეგოისტი ვიყავი, რომ არ მაგონდებოდა, რომ საქართველო ჰყარგავდა შენისთანა საკიროს და მხოლოდ იმას ვწერდი მე ვყარგავ ადამიანს მეგო-

ბარს — ერთი სიტყვით ცუდი ვარ, მაგრამ რადგან მე თვით ვგრძნობ და ჩემის ენით-ვადიარებ ჩემს ნაკლოვანებას და ვიცი 'შენი ეგზომ კეთილი გული, იმედი მაქვს, რომ იქამდინ მაინც მსახავ ადამიანად. რომ ჩქარა წიგნი მომწერო.

მშვიდობით იყავ და კარგათ ჩემი სამშობლოსათვის და მერე ჩემთვის**.

ასე უფროსილდებოდა განდევნილი აკაკის. რომლის ბუკი და ნალარა ჯერ კიდევ საჭირო იყო თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველი ხალხისათვის.

დომინიკა ერისთავის თანამედროვე პოეტი ქალი ბაბილინა ხოსიტაშვილი გვიამბობს:

„აკაკის დაკრძალვის დღეს, როცა გულდათუთქული ზღვა ხალხი, უკანასკნელად მივაცილებდით მგოსანს. აკაკის ცხვ-დარს სულ რამოდენიმე ნაბიჯზე უკან მიჰყვებოდა — პოეტი ქალი განდევნილი; შავებში ჩაცმულს, გულზე მიეყრდნო და ისე მიჰქონდა სასიქადულო პოეტისადმი საქართველოს სახელით მიძღვნილი იებისაგან ვაკეთებულ ჯვარს“.**

* * *

ქართულ ლიტერატურაში დღემდე შემონახულა ერთი ლა-მაზი და საინტერესო მოგონება ვაჟა ფშაველასა და განდევნი-ლის შესახებ, რომელიც საკმაო ინტერესს აღვიძებს ჩვენი სა-ყვარელი მწერლების ურთიერთ საზოგადოებრივი დამოკიდე-ბულები და მეგობრობისადმი.

„ჩემო კარგო დომინიკა, სალამოს გამოგივლი და მზად დამ-ხვდი, საგურამოს უნდა ვესტუმროთ ილიას“, — წერდა ვაჟა თავის უახლოეს მეგობარს დომინიკა ერისთავს.

„ეს იყო აგვისტოს მიწურულში. თბილისში პაპანაქება სიციხე იდგა. ყველა ქალაქიდან გასვლას ცდილობდა. ვაჟას ცხენებით გამოუვლია დომინიკასათვის. საგურამოს მომდგარ

* საქართველოს სახ. მუზეუმი. ა. წერეთლის ფონდი № 372.

** ბაბილინა ხოსიტაშვილის ეს მოგონება იხსება ჩემთან. ავტ.

ორ ძვირფას სტუმარს გაბრწყინებული თვალებით მიგებებია ილია, ხოლო ამ სურათით აღფრთოვანებულ აკაკის ექსპრომტად ლექსი უძღვნია ამაზონურ ტანისამოსში ცხენზე შემჯდარ მშვენიერ დომინიკასათვის“, — ვკითხულობთ დომინიკას დის შვილიშვილის, თინა აბაშიძის მოგონებაში.

ამრიგად, განდევილს ჰქონდა იშვიათი უნარი ადამიანის შეცნობისა, დაახლოვებისა და მეგობრობისა. პოეტი ქალი, თავისი ხასიათის წყალობით, ადვილად უახლოვდებოდა ფაქიზ ბუნების და მაღალი სულის მქონე ადამიანებს. იგი პატივს სცემდა ვაჟს. მას არ შეეძლო არ დაეფასებინა ამ დიდი ადამიანის ზეშთამაგონებელი პოეზია და ღვაწლი თავისი ერისა და სამშობლოს წინაშე.

განდევილს ესმოდა ვაჟასი, იგი რაღაც არაჩვეულებრივი ჰანგებით ეხმაურებოდა ვაჟას სულიერ მღელვარებას და ცდილობდა ახლო მდგარიყო ამ გენიოსის ცხოვრებასთან. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჰავჭავაძის შემდეგ განდევილი იყო მეორე ადამიანი, რომელიც ჩასწვდა მის სულიერ სიღრმეს და ციურ მანანასავით გადაეფარა პოეტის ხალას ნიჭს.

ვაჟა ამ დროს ბეკრისათვის ჯერ კიდევ შეუცნობელი და გაუგებარი იყო. ყველას როდი შეეძლო მის მარტივ ჩაცმულობას, მის თავმდაბლობასა და სისადავეში დიდი გენიის ნაპერწკალი დაენახა, მით უმეტეს, რომ ვაჟამ ყველასათვის როდი იცოდა სულის გახსნა, მაგრამ თუ ადამიანში დაინახავდა თავის სამშობლოს ნამდვილ გულშემატკივარს, ასეთ ადამიანებს იგი უმაღლესად უმეგობრდებოდა.

ილია ჰავჭავაძის შემდეგ ასეთი უახლოესი ადამიანი, მისი მესაიდუმლე, მისი მეგობარი სწორედ დომინიკა ერისთავი იყო.

არც ერთ ქართველ მოღვაწეს, გარდა ილია ჰავჭავაძისა, არ გაუწევია ვაჟა ფშაველასათვის ისეთი დიდი მეგობრობა და სამსახური, როგორც ამ მხრივ მას განდევილმა გაუწია.

პატრიოტ ქართველ ქალს, ჰკვიანხსა და შესანიშნავ მოაზროვნეს, არ გამოჰარვია ვაჟას ცხოვრების ის მძიმე პირობები, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა საყვარელ პოეტს. მას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა ვაჟას მატერიალურ გაჭირვებისათვის, რომელიც ჭიასავით ღრღნიდა ჩანით მაგარსა და გაუტე-

ხელს, მაგრამ სულით ფაქიზ პოეტს. განდევილი ახლო იდგა ვაჟას ცხოვრებასთან, იცოდა მისი მოკრძალებული ხასიათი, იცოდა ისიც, რომ ვაჟა ძნელად თუ ვისმეს შესჩივლებდა თავის უმწეო მდგომარეობას და გაჭირვებას, ამიტომ მისთვის სრულიად გასაგები იყო პოეტის სულიერი ტრაგედია.

აი, სწორედ ეს იყო ის მთავარი მიზეზი, რომ განდევილმა მკაცრად დააყენა საკითხი ქართველ საზოგადოების წინაშე, ვაჟას იუბილეს გადახდის შესახებ.

განდევილი იყო ის პირველი ადამიანი, რომელმაც დაბეჯითებით მოითხოვა ვაჟას იუბილეს გადახდა და ოფიციალურ პრესაში 1913 წელს გაზ. „თემში“ მოათავსა თავისი შესანიშნავი წერილი ასეთი სათაურით: „მგოსანი ვაჟა-ფშაველა და მისი 35 წლის მოღვაწეობა“. ეს უდავოდ საინტერესო მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში. პოეტმა ქალმა ყველას მოაგონა, სამშობლოს სამსახურში დაღლილი ვაჟას დიდი სახელის შესახებ.

ღიახ, ვაჟას მაშინ აღარ ჰყავდა თავის ქომაგი ილია, აღარ იყო ის, ვისაც უნდა ეზრუნა მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ამიტომ ამ საკითხზე ხმის ამოღება წილად ხედა ვაჟას უახლოეს მეგობარს — განდევილს.

განდევილმა შესანიშნავად შეასრულა ეს მისია. მისმა ბრწყინვალე წერილმა ვაჟას იუბილეს ჩატარების შესახებ, ალაპარაკა ქართველი საზოგადოებრიობა.

გაზეთ „თემში“ განდევილი წერდა: „რომელმა ქართველმა არ იცის, ვინ არის ვაჟა ფშაველა, სადაც იხსენიება საგანი ჩვენი მწერლებისა, დედა ბოძისა ილიასი და აკაკის, იქ შეუძლებელია ვაჟას სახელიც არ იქნეს მოხსენებული.

ვაჟას იცნობს და ეცნობა, როგორც ახლად ანბანის სწავლას დაწყებული, ისე სწავლა დამთავრებული ქართველი. მის ნიჭს ღირსეულის პატივისცემით იხსენიებენ, ვაჟას შემოქმედებით ნიჭზე კითხულობენ ლექციებს. ვაჟას მონაწილეობით გამართულ საღამოებს, განსაკუთრებული სურვილით ეტანება ქართველი საზოგადოება და სხვა.

ამ მხრივ ღირსეული ხვედრი ერგო საყვარელ მგოსანს.

და მართლაც, არ შეიძლება დიდი სიყვარულით არ ეპყრო-

ბოდეს კაცი იმ ადამიანს, ვინც ასეთი მშვენიერებით შეაკავშირა მთისა და ბარის სულის სწრაფვა, ვინც ნათლად გადაგვიშალა მთის შვილთა ფიქრი და გული, გვამცნო იმისი ვითარება. გადმოგვცა „მთათა ფიქრები“ — იმ მთათა, რომელთაც შეგვიძინეს, სასიქადულო ყაზბეგი და სამნი ძმანი რაზიკაშვილები, ვაჟა, ბაჩანა და თედო.

მე კრიტიკოსის როლს არ ვკისრულობ, რადგან ჩემი წერილის საგანი სულ სხვა რამ არის. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვაჟა ისეთი მგოსანია, რომელიც მარტოდუნ სიამოვნებას კი არ აგრძნობინებს მკითხველს, არამედ სიამოვნებასთან ერთად ჩააფიქრებს, შეაჩერებს, აჩვევს აზროვნებას... რომელი შეგნებული მკითხველი არ დაუფიქრებია იმის „გოგოთურ და აფშინას“, „სტუმარ-მასპინძელს“, „გველისმკამელს“, რომელნიც სავსენი არიან არა მარტო უმაღლესი პოეზიით, არამედ აზრთა სიღრმით, თავისებურების მშვენიერებით. ვის არ აუტოკებს გულს მისი „ბახტრიონი“, რომლის დასაწყისშიაც ასეთი მხურვალე გრძნობებით შეჰღალადებს მგოსანი ძვირფას სამშობლოს მხარეს.

ვაჟა მწერლობას შეუდგა 1877 წლიდან და მისი მადლიანი კალამი ერთგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას. არ არის და არც ყოფილა ჩვენში არც ერთი დრო, გამოშვებით პროგრესული გამოცემებისა, რომელშიაც ვაჟას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო და თავის ღვთიით კურთხეულის ნიჭით არ დაეკმევებინოს იგი.

ვაჟა ფშაველათი ვამაყობთ ჩვენ მისი ქვეყნის შვილები. ვაჟა გვიყვარს, მოწიწებით ვიხსენიებთ მის სახელს, აღტაცებით ვკითხულობთ მის ნაწარმოებს და ამას ვერ გავცილებივართ.

დრო კი არის, რომ ეს ჩვენი მართლაც გულწრფელი სიყვარული, საქმით ვაჩვენოთ მგოსანს. დაუმტყიცოთ, რომ ჩვენ შევიგნეთ ეს დიდებული პიროვნება და ღირსი შვილები ვართ, ღირსეული მოამაგე მამისა.

აი, ამისათვის მსურს ჩემი აზრი გაუზიარო ქართველ საზოგადოებას, რომლის იმედი მაქვს, დღეს მაინც ამოიღებს ხმას და სიჩუმის წყვილიაღით არ დაკარგავს, სასიქადულო მგოსნის

‘მარავანდებით მოსილ ღვაწლს. საჭიროა ვაჟა ფშაველა ნივთიერად უზრუნველყოფილ იქნეს...

შესაძლებელია სთქვან, ნახევარი საუკუნეა, მწერლის სავალდებულო ვადათ დადებულიო, ვაჟამაც მოგვიცადოსო კიდევ თბუთმეტი წელიწადი და მერე ვიზეიმოთ იმისი იუბილეო.

ეს ასე უნდა იყოს, თუ ვისმესათვის საჭიროა 25-30 წლის იუბილე ეს უწინარეს ყოვლისა მწერლისათვის უნდა იყოს დადგენილი, რადგან ამ ასპარეზზე მოღვაწენი იშვიათ შემთხვევაში მიაღწევენ ამ ხანას.

ამ ოცი წლის განმავლობაში, მხოლოდ სამი მწერლის იუბილე იღდესასწაულეს ქართველებმა, რაფიელ ერისთავის, აკაკის, ეკ. გაბაშვილის. სამაგიეროთ დიდი ამბით დავმარხეთ ილია: ყაზბეგი, ნინოშვილი, გიორგი წერეთელი, ოსიკო ცაგარელი და ბევრი სხვა. დასაფლავებაში ჩვენ უფრო მდიდარ ერებსაც არ ჩამოვრჩებით.

მართლაც ჩვენ დროში, ოდესღაც უარესი ყოფილა, როგორც ჩვენში ისე დაწინაურებულ ქვეყნებში, მაგრამ დღეს მხოლოდ ჩვენში შეიძლება მოხდეს ეს, რომ ისეთი დიდი მგოსანი, როგორც ვაჟა ფშაველაა. არა თუ უზრუნველყოფილი არ არის, დიდ ნივთიერ ნაკლოვანებას განიცდის და ხმას არავინ იღებს.

ვაჟას შეეძლო უზრუნველყო თავისი თავი ცოლ-შვილით. ამისათვის ჯანიც შესწევდა და სწავლაც, მან კი, ქვეყნის სამსახურს ანაცვალა საკუთარი ბედნიერება. მიეკედლა მშობლიურ ერს. მას ამკობს, უმღერის, ისე ვით მიჯნური კეკლუც სატრფოს.

მე მივმართავ მგოსნის სატრფოს სამშობლოს, მივმართავ ვაჟას პატივცემელთ, მივმართავ წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდა საქართველოს დაუყოვნებლივ იმის მოგვარებას, თუ რა გვარად უზრუნველყოფონ ჩვენი საყვარელი მგოსანი. ბატონებო. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მწერალი, იმიტომ კი არ სწერს, რომ მადლობას და ქება-დიდებას ელოდება ვისგანმე, მაგრამ თუ მწერლის ცხოვრება ისე არის მოწყობილი, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე წინ ელობება ათასგვარი გაჭირვება იგი ვერ შექჰმნის ისეთ საგან-

ძურს რასმეს, რითაც არა მარტო მშობელი ერი, არამედ მთელი კაცობრიობაც ისარგებლებდა.

ვაჟამ ბევრი რამ დაუფასებელი განძი მიუძღვნა ჩვენ მწერლობას და აქ მას ხელი შეუწყო თავისმა უდიდესმა სულიერმა ძალამ. სხვა მის პირობებში ჩაჰკლავდა, დაახშობდა ცით ბოძებულ ნიქს.

ნათქვამია, შინ რომ ცოლ-შვილი შიმშილით გიწყდებოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მგოსანს ვინც უნდა იყვეს იგი აქვს თავის საკუთარი კერძო მოვალეობა, თავის საყოველღაობო ზრუნვით თავისი „მე“ — რომელსაც გულგრაღად ვერ აუვლის გვერდს. ესეც რომ არ იყოს, სულ სხვაა ოცი წლის ჭაბუკი და სხვაა ამდენი ხნის მოამაგე, რომლის სულს ნელ-ნელა ღრღნის ის უხილავი ძალა, რასაც ფიქრი და ზრუნვა ჰქვია.

მგოსანმა რომ უარჰკყოს თავის საკუთარი „მე“, ჩვენ ვერ აუვლით გვერდს ვაჟან საარსებო საკითხს, რადგან უზრუნველყოფა ვაჟისი, უზრუნველყოფა იქნება ჩვენი პოეზიისა.

ამიტომ ჩემი წერილით მოუწოდებ ქართველ შეგნებულ საზოგადოებას, რათა შეუშსუბუქონ მძიმე ტვირთი დიდ მგოსანს და საშუალება მისცენ, უფრო გულდასმით, გაშალოს მთის არწივმა თავისი ძლიერი ფრთა ჩვენდა საამაყოდ.

ვთხოვ. ყველა ჩვენ რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ პატივცემულ გამოცემებში „ეს ჩემი მოწოდება“*

ამ შესანიშნავი პუბლიცისტური წერილის შემდეგ არ შეიძლება ყოფილიყო ორი აზრი. ქართველი საზოგადოება არაჩვეულებრივი სისწრაფით ალაპარაკდა ქართველ პოეტის ვაჟ ფშაველას იუბილენ ჩასატარებლად.

ამრიგად, ვაჟას თავის სიცოცხლეშივე ეღირსა გამთბარიყო ქართველი ხალხის სიყვარულით.

ვინ იტყვის, რომ ეს საჭირო არ იყო ისეთი დიდი პოეტისათვის, როგორც ვაჟა იყო.

განდევილი იმდენად პატივს ცემდა და აფასებდა ვაჟა ფშაველას, იმდენად კარგად იცნობდა მის მაღალ სულს, მის მდი-

* გაზ. „თემი“, 1913 წ., № 111.

დარ ბუნებას, რომ მოთხრობაც კი მიუძღვნა — „გვირგვინი“.

ამ მოთხრობაში განდეგილმა დახატა ფუფუნებასა, ოქროსა და თვალმარგალიტში ჩამჭდარი ქალი, რომელიც თავის სილამაზით მზესაც კი ეჯიბრებოდა, მაგრამ ქალი უბედურია, მას არ აკმაყოფილებს სიმდიდრე და მარმარილოს კოშკი, არც ფუფუნება და განცხრომა, იგი ეძებს ბუნებრივობას. სიყვარულს, აი, როგორ მიმართავს იგი ჭაბუკს.

„სამეფო პალატა, რომლის მბრძანებლათაც მე ვიყავი. ჩემთვის იყო გაუქმებული ტაძარი, საიდანაც საღმრთო ღაღადის ნაცვლად სისინ-ყიყინი მესმოდა. გარს შემორტყმული ამაღლა მეჩვენებოდა მიცვალებულ მატურებათ, ამ უსულო მატურთა შორის დავეხეტებოდი მე და არ ვიცოდი, სად მიმეყრდნო ტანჯული თავი. ამ დროს უცებ შემომესმა სალამურის ხმა და ჩემმა გულმა ისე იწყო ცქრიალ-ფტქრიალი, თითქოს სალამურის დამკვრელი ჩემი გულის სიმებს შეეხო და ააჰკენსარა. გამოჩნდა კიდევ ახალგაზრდა მწყემსი... ჩემმა ობოლმა სულმა აქ იპოვა სამუდამოდ განსასვენებელი ბინა — თავი მივაყრდნე ახალგაზრდა მწყემსის მკერდს და როდესაც იმის ბაგე ჩემსას შეეხო, მეგონა ჩემთვის უხილავმა ციურმა ძალამ ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადამტყორცნა მეტქი და დღეს ჩემს სატრფოს ხელით დაწნულ უბრალო გვირგვინს, არც ერთ სამეფო გვირგვინზე არ გავცვლი.“

ჩამოხველა... მისწყდა ქვეყნიური ყრიაღული, ბუნებამ სწიღემლო ჩურჩული შეჰქნა, მაგრამ დაუდგარ სიოს, მაინც არა დაადგა რა ენაზე, ჭორიკანა დედაკაცივით გაძვრა-გამოძვრა და ვის რა არ მიუტანა ვინ იცის.

„რას ოხრავ მეფევ, ქვეყნის ღიდება ხომ შენ ხელთ არის, — ჩამომძახა ვილაცამ.“

— არარაობა — დე სხვამ იხაროს ამ ღიდებით, მე კი მხოლოდ ვაზის გვირგვინი მენატრება“.

ამით პოეტ ქალს უნდოდა ეთქვა, რომ ვაჟას არასოდეს არ უძებნია ფუფუნება და განცხრომა, ოქროს გვირგვინი და სხელი, რომ ვაჟა-ფხავეთივე სპეტაკი და სუფთა იყო, როგორც მისი მაღალიღეური შემოქმედება.

მართლაც, როგორ კარგად უნდა სცოდნოდა განდეგილს ვა-

უას ბუნება, რთგორ უნდა ჩასწვდომოდა მას სულიერ სიღრმეს, რომ ასე შესანიშნავად დაეხატა ვაჟას სულის დიდებული სარკე.

არც ვაჟა ფშაველა დარჩენილა განდევილის ვალში.

1915 წელს მან შესანიშნავი ლექსი გაუგზავნა განდევილს „პასუხად“ (განდევილსა და შიო მღვიმელს), რომელშიაც გულწრფელად გამოხატა ქართველ პატრიოტ ქალისადმი სიყვარული და პატივისცემა.

რატომ დაუკავშირა ვაჟამ განდევილის სახელს შიო მღვიმელი? ესეც სრულიად ბუნებრივად მოხდა. ეს სამი შესანიშნავი მოღვაწე ერთად იბრძოდა ჩვენი იმდროინდელი ჩამორჩენილი საბავშვო ლიტერატურის ფრონტზე.

მათი ნაწერები მრავალი წლის განმავლობაში ერთად იბეჭდებოდა საყმაწვილო ჟურნალებში და თავისი წვლილი შეჰქონდა საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

1915 წელს შიო მღვიმელი მთაში წერდა ვაჟას, ქალაქში ჩამოსულიყო და მისთვის გამართულ დილაში მონაწილეობა მიეღო.

შიო მღვიმელთან განდევილს აკავშირებდა აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები. შიო იმდენად აფასებდა ნიჭიერ პოეტ ქალს, რომ მას საკუთარი ლექსი, „მყინვარი“ მიუძღვნა.

მაგრამ, რასაკვირველია, ვაჟას ლექსი „პასუხად“ (განდევილსა და შიო მღვიმელს) არ შემოფარგლულა წმინდა ლიტერატურული საკითხებით, მას საფუძვლად დაედო დიდი იდეა, როგორიც იყო საქართველოს მომავალი, მასზე ფიქრი და ზრუნვა.

1915 წელს ვაჟას შესანიშნავმა ლექსმა „არწივი“ მართალი სურათი გადაშალა იმ დროინდელი საქართველოს ყოფისა:

არწივი ვნახე დაქრილი,
ყვავ-ყორნებს ეოჰებოდა
ეწადა ბეჩავს ადგონა,
მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალ მხარს მიწაზედ მითრევეს.
გულისპირს სისხლი სტბრებოდა:
ვაჟა დედათქვენსა ყორნებო,

ცუდ დროს ჩაგიგდავ ხელადა,
თორემ ვნახავდით თქვენს ბუმბულს
გაშლილს. გაფანტელს ველადა.

ამ გულის სიღრმემდე ჩამწვდომმა სტრიქონებმა და ჩვენი ცხოვრების მწარე სინამდვილემ უკარნახა შიო მღვიმელს გამოხმაურებოდა ვაჟას და ომახიანად შეეძახა „არწივის“ ავტორი-სათვის:

ვაჟავ, დაკრილი არწივის
წყლული დღითიდღე მრთელდება.
ყვავ-ყორნებს ისევ ფრთასა სცემს
და ბნელი ღამე თვინდება.
ლომის და ვეფხვის ნაშობი
განა მგლად გადაშინდება?
სალი კლდის მაგარ ნაპირზე
არწივის ბუდე შენდება.

შიო მღვიმელის პასუხით ანთებულმა ვაჟამ გადასწყვიტა ლექსით გამოლაპარაკებოდა ეროვნული საქმისათვის თავდადებულ განდევნილსა და შიო მღვიმელს.

ამიტომ განდევნილისა და შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი ვაჟას ლექსი „პასუხად“ შესანიშნავი ლიტერატურული დოკუმენტია. მათი ურთიერთ საზოგადოებრივი დამოკიდებულების გასაცნობად:

კარგებო, თქვენი ძახილი
ბარით შემესმა მთაშია,
ფეხის ფრჩხილებში გაჟონა,
ქრუოლამ დაკრულმა თავშია,
ძვირფას მათუწყებს ამბავსა,
ჩამოეარდნილსა ხალხშია,
გაუმრთელდაო წყლულები
არწივს, დაკოდილს მხარშია,
რომ დასეოდნენ უმსგავსნი
ღალატით დაკრილს გზაშია,
უჭირველივით ყაშყაშებს
ცხადათ ვცანიტო ხმაშია..
უკეთეს ვინ რას მახარებს,
თქვენ გენაცუალებო თქმაშია,

აგავსეთ ია ვარდითა,
 დაპბერდით იმათ თვალშია.
 სწუავდეთ და ვერ უდიოდეთ,
 ოფლი გდიოდეს წაქაშია,
 ისე სცურავდეთ კეთილად
 ვით კოვზის პირი ზღვაშია,
 ერთი ათასად გარდიქე
 მხედველობაში, ჟანშია,
 ყორნის ბრთა—ობლად ქცეულა
 თეთრი ნარევი თმაშია, —
 მოხუცი კაცი ჯეილად
 წაუწერივარ ცაშია,
 ან გლოვა აღარ ჰქირდება.
 აღარც დამალვა სახლშია.
 ერთი რამა მაქვს ს.თქმელი.
 იქნებ დაგიჯდეთ ჰქაშია.
 მკერდში არაეინ დაგვიკრას
 გმირი დაკრილი მხარშია.
 და დღეს კი გამოჩენილი
 ჰქვა მოვიგროვით თავშია,
 არ გადაშექცეს არამად
 სიცოცხლე მთა და ბარშია.

ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი სუნთქვითაა დაწერილი ეს შესანიშნავი ლექსი. იგი ვაჟას სულის დიდებული სარკეა. მასში მკვეთრად ისმის დიდი პატრიოტის ხმა.

ვაჟას ღრმად სწამდა საქართველოს მომავალი. მას არ შეეძლო არ დაენახა ის სოციალური ძვრები, რომელიც ხდებოდა ცხოვრებაში.

* * *

„ბატონ დომინიკა ერისთავს-მდივნისას პოეტსა განდევნილისას“ — ასე აწერია ჩემ მიერ მიკვლეულ ერთ პატარა კონვერტს, რომელშიც აღმოჩნდა შემდეგი ხასიათის წერილი.

„პატივცემულო ბატონო დომინიკა, ეხლა მე გიახლებით „ძმობის“ — სტამბაში, ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ მობრ-

ძანდებით და კორექტურის საქმეს აქვე გავჩარხავთ. მზადაა უკვე სამი ფორმა მესამე კორექტურისათვის, აქვეა საკორექტურო ფურცლები წინანდელი გამოცემისა.

თქვენი ი. გოგებაშვილი“.

დომინიკა ასწორებდა იაკობ გოგებაშვილის ნაწერებს.

დომინიკა ერისთავი იყო პირველი კორექტორი ქალი, რომელიც „ივერიაში“ მუშაობდა იმ დროს.

ამიტომ დომინიკა ერისთავის საზოგადოებრივი ურთიერთობა იაკობ გოგებაშვილთან სრულიად ბუნებრივი იყო.

მათ ესმოდათ ერთმანეთის.

იაკობ გოგებაშვილის სახით განდევილს ჰყავდა უახლოესი მეგობარი, მისი ნიჭის ერთ-ერთი დამფასებელი.

დაჩაგრული სამშობლოს ბედი იყო მათი დამაკავშირებელი. მათი საზრუნავი საგანი. ამასვე მეტყველებს დღემდე გამოუქვეყნებელი ერთი საინტერესო დოკუმენტი „ქართველი ქალის წერილი“, იაკობ გოგებაშვილისადმი, რომელიც ჩემი მოსაზრებით, განდევილის წერილად მივიჩნეე.

წერილი დათარიღებულია 1895 წლის 28 ნოემბრის რიცხვით. ნამდვილი გვარი ავტორისა არ ჩანს.

ვინაიდან განდევილის არა ერთი წერილი შეგვხვდა ასეთი თავისებური ხელისმოწერით, როგორიც არის „ქართველი ქალის წერილი“ და „უცნობი ქართველი ქალი“ მიწერილი ილია ჭავჭავაძისადმი.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს წერილიც დომინიკა ერისთავს ეკუთვნის, მით უმეტეს, რომ პოეტი ქალის ლექსიკა და წერილის შინაარსი ერთნაირად მეტყველებენ მაღალ პატრიოტულ გრძნობებზე.

„პატივცემულო იაკობ სვიმონის ძევ! — წერდა დომინიკა ერისთავი იაკობ გოგებაშვილს, — ათიათასჯერ მეტად და უფრო მეტად პატივს გცემთ. დიახ. თქვენ ჩაგიხედნიათ ჩვენი ქვეყნის გულის სიღრმეში, ჩვენ წარსულში და აწმყოში, სიმართლით აგვიხილეთ თვალი: „რანი ვიყავით გუშინ და რანი ვართ დღეს“.

აი, ეს არის ახლა დავათავე თქვენი წერილი. ამ წერილმა გა-

მალაღ, გამაკაჟა, ნინდოდა ყველაფერი მიმენგრ-მომენგრა და წამოვდექ, მივიხედ-მოვიხედე, ისე უღონოთ ვიგრძენი თავი, რომ ისევ სკამზე დავეშვი, მაგრამ სხვა ენერგია მომცა ამ წყაროლის წაქითხვამ.

თქვენი პატივმცემელი ქართველი ქალი”.

იაკობ გოგებაშვილის სტატიას აღუფრთოვანებია პოეტი ქალი. ცხადია, უბრალო მომაკვდავი ვერც ამ წერილის ეროვნულ მნიშვნელობას გაიგებდა და ვერც ასე გამოეხმაურებოდა დიდი ქართველი პედაგოგის მოღვაწეობას.

ეს შეეძლო მხოლოდ მაღალი სულის, ფართო დიაპაზონის მქონე პატრიოტს დომინიკა ერისთავ-განდეგილს.

* * *

დომინიკა ერისთავ-განდეგილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის დროს გვერდს ვერ აუვლით პოეტი ქალის მეგობრობასა და საზოგადოებრივ ურთიერთობას ისეთ ნათელ და სპეტაკ ადამიანთან, როგორც იყო ჩვენი უანგარო მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილი.

ქართველი ერის სიხარული და მწუხარება, ქართველი ხალხის გაჭირვება და დაღვინება იყო მათი საზრუნავი საგანი, მათი ფიქრი და ოცნება, მათი ცხოვრების აზრი და შინაარსი. აქ, ამ ფრონტზე დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს, აქ გამონახეს მათ საერთო ენა, და ამიტომ მათი სიახლოვე და მეგობრობა, ბუნებრივად გადაიქცა საზოგადოებრივ ურთიერთობის საუკეთესო მაგალითად.

განდეგილს ჰქონდა ადამიანთა შეცნობის იშვიათი ნიჭი, იშვიათი გაგება. მას არ შეეძლო არ დაეფასებინა ალ. ხახანაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი მაღალი მისწრაფებანი, მისი ფაქიზი სული. განდეგილი აფასებდა ალ. ხახანაშვილის უანგარო, თავდადებულ შრომას, იგი კარგად ხედავდა, თუ რა დაუშრეტელი ენერგიით, რა თავდადებით, რა მონდომებით ემსახურებოდა ქართველ ერს, ეს სუსტი ჯანმრთელობის მქონე, მაგრამ დიდი ერუდიციის ადამიანი.

განდგეილი იყო ხახანაშვილის უახლოესი მეგობარი, მისი ჭირისა და ვარამის გამზიარებელი. მისი შრომისა და ამაგის დამფასებელი. მისი ნიჭის თაყვანისმცემელი.

განდგეილი არაჩვეულებრივ მეგობრობას უწევდა ა. ხახანაშვილს ჩვიდმეტი წლის განმავლობაში. იგი სისტემატურ მიწერ-მოწერას აწარმოებდა მასთან და იქ შორეულ ჩრდილოეთში მყოფ ქართველ მოღვაწეს უგზავნიდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ახალ გამოცემულ წიგნებს. ხელს უწყობდა ალ. ხახანაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას და არ სწყვეტდა მას თავის მშობლიურ კუთხეს, ეროვნულ მაჯისცემას.

ჩვენ ვიცით, თუ როგორი სიხარულით და აღტაცებით შეხვდა დომინიკა ერისთავი 1900 წელს ა. ხახანაშვილის ქართული ენის კათედრაზე მიწვევას მოსკოვში. ქართველმა პატრიოტმა ქალმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს ქართული კულტურის საქმისათვის.

„მეტისმეტად ვხარობ, რომ მანდ ქართული ენის კათედრა დაარსდა, მადლობა ღმერთს ამ ჩვენ საცოდავ ენას სხვისებური პანდური არ უთავაზა მოსკოვმა და თავის ტაძრის ბჭე ამისთვისაც გაგზავნა. იმედია დროის განმავლობაში ღირსეულ ადგილს მიუჩნევენ ჩვენ ერსაც.“

დარწმუნებული ვარ შენ დიდი ღვაწლი მიგიძღვის ამ საქმეში და თუ არა შენ, სხვა ვერავინ განახორციელებდა ამ ყოველად პატიოსან და სასარგებლო აზრს. ამიტომ მიიღე ჩემი უგულთადღესი მადლობა. დიდ ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს. რომ ეს საშვილიშვილო საქმე შენ ითავე და შენს მშობლიურ ქვეყანას ღირსეული შვილობა გაუწიე“*

დომინიკა ერისთავი აფასებდა ხახანაშვილის ამ შესანიშნავ ინიციატივას. სჯეროდა მისი თავდადებული უნაგრო შრომის, რომ იგი ქართულ კულტურას არა მარტო რუსეთს, არამედ საზღვარგარეთსაც გააცნობდა.

წლობით დაშორებული იყო ეს ორი მოღვაწე ერთმანეთს. წლობით ვერ ხვდებოდნენ საბაასოდ და სალაპარაკოდ, მაგრამ სისტემატური მიწერ-მოწერით, ყოველთვის გრძნობდნენ ურთიერთის აზრს და ფიქრს, ყოველთვის ესმოდათ ერთმანეთის.

* საქართველოს მუზეუმი. ა. ხახანაშვილის ფონდი № 121.

დომინიკა ერისთავ-განდევლის უახლოესი მეგობარი ნინო რცხილაძე გვიამბობს:

„როდესაც ალ. ხახანაშვილი საქართველოში — თბილისში ჩამოდიოდა თავის ნაცნობებისა და მეგობრების სანახავად, პირველი ვიზიტი დომინიკას ეკუთვნოდა ხოლმე. ხშირად ნახავდით დომინიკას კარებთან სუსტი აგებულების, გამხდარ ჩიაკაცს, დიდი თაიგულით ხელში, ეს იყო ჩვენი საყვარელი ალ. ხახანაშვილი“.

განდევლისადმი მიწერილი ალ. ხახანაშვილის წერილები უფრო ნათლად მეტყველებდნენ მათ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და მეგობრობაზე. ალ. ხახანაშვილი წერს განდევლის:

„დარწმუნებული ვარ, ამ წერილის მიღება გაფიქრებინებს, რომ „სევდას“ — კვლავ იერიში მოუტანია ჩემზედ და მის გასაქარვებლად შენსკენ მოვჭრი — ნუთუ გგონია, რომ კაეშანია მხოლოდ მიზეზი ჩემის კალმის აღებისა?!.. ასე რომ იყოს აქამდის მთელ ზანღუკს გავავსებდი ჩემი დაბლაჯნილი ეპისტოლეებით... რაში გეკითხებოდათ მანდ დაბანაკებულთ, რასა ეგობნობდით და რა მწუხარებაში ვართ აქ რუსეთთან ჩრდილოეთში გადმოხვეწილნი?!. სამშობლოს მოეწყდით და მოსკოვს ვერ დაუშეგობრდით — აი, უბედურების სათავე.“

აღამიანნი დევალნენ, მოთხოვნილებანი გაორკეცდნენ და შე კი, ჩვეულებრივ მუშაობის გზას ვტყეპნი, გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ და არ ვიცი საჭიროა სამშობლოსათვის ის მოღვაწეობა, თუ შეიძლება ჩემს შრომას მოღვაწეობა დაერქვას, თუ სხვა სარბიელს უნდა შეუდგე. აი, საკითხავი, რომელზედაც პასუხს ველი.

ნიშანი ჩემი ჩამორჩენილობისა, დროების მოთხოვნილებასთან იმაში ვხედავ, რომ „კვალმა“ — ახალი მიმართულების უურნალმა არ დაბეჭდა ჩემი წერილი „რას ნიშნავს ეს“ და მომისპო თავის ნომრების გამოგზავნა. აქედან იმის დასკვნა შეიძლება, რომ ჩემი გამოკვლევანი უსარგებლონი არიან, მაშ, რაღა მიზანი ჩემი მწერლობისა?! ეს გახლავთ პირველი თავსატეხი, რომელიც მიწამლავს სიცოცხლის და ამას დაემატა კერძო ცხოვრებაში ათასნაირი უსიამოვნება და გაუტანლობა.

მე შენს წერილში ვერ ამოვიკითხე, რად დაანებე თავი „ივე-რიას“ და „კვალს“ დაუახლოვდი. აქაც მიმართულებაა სა-ბუთი ძველი მეგობრობის დათრგუნვისა?! ახალმა სიომ, რომ დაჰბერა საქართველოს ამაში ეჭვი არა მაქვს, შენ რა გაგიხდა მიზნად მოღვაწეობისა ეს არ ვიცი. თუ „კვალის“ მიმართულე-ბამ „ივერია“ დაგავიწყა. მაშინ უსარგებლო იქნება ერთი გარე-მოების მკურნალად აგიჩიო. საქმე ის გახლავთ, რომ შარაძემ და კარბელოვმა ჟორდანიას მეორე ტომი ქრონიკები გამომიგ-ზავენეს და შუა ნაწილიც კი დაავიწყდათ. ესე იგი 376—489 გეორგობის დამლევს, თუ მიიღებ შრომას და ძველებურად ამ დანაკლისს შემასრულებინებ დიდათ დამავალეზ. მომწერე მან-დაური ამბები, როცა დაიღალე შენი გარემოების აღწერით. ამ ზაფხულს საქართველოში გავატარებ. შენი პატივმცემელი ა. ხახანაშვილი*.

ასე უზიარებდა ალ. ხახანაშვილი თავის ნაფიქრსა და ნააზ-რევს პოეტ ქალს. უნდა ითქვას, რომ განდევილსაც თავისი ცოცხალი, ხალისიანი, შინაარსიანი წერილებით საკმაოდ დიდი სიხარული შექქონდა ჯათით გატეხილ ალ. ხახანაშვილის პირად ცხოვრებაში.

ერთ-ერთ თავის წერილში განდევილი გულწრფელად წერს: „მოხარული ვარ, რომ ცოტა ხნით მაინც გაგამხნევა ჩემმა წერილმა. ღმერთსა ვთხოვ იმდენი ღონე მოგცეს, რომ ასე შორს მყოფმა უფრო ხანგრძლივად გაგამხნევე. შენი წერილი იმ ღროს მივიღე, როცა ორგვარი უსიამოვნება მადგა, დიდი შრომა ჩემის ლექსის გამო და მასთან პირველთაგან იმის გა-გონება, რომ ალექსანდრეს წერილი მივიღე. ნესტიანი სადგოში გამოდგა და ავათა ვარ. წინა დღეს ბარათი მოგწერე, თუმცა არ ვიცი, რა დაწერე, რადგან მეტად შეშინებული ვიყავი.“

იქნებ ერთგვარ ბედის ჩარხის ტრიალმა შეგაგნებინოს ჩემი მდგომარეობაო მწერ: არ ვიცი რამ შემაგნებინა, ამაზე არასო-დეს არ დაფიქრებულვარ და კიდევ, რომ დაფიქრდე, მე მგონია ჩემი გონება ვერ შეასრულებს ამის ახსნას. ვინ იცის იქ-ნება ბედნიერი რომ ვყოფილიყავი, ვერც ერთს ვერ შეგვეგნო

* საქართველოს ლიტ. მუზეუმი. ა. ხახანაშვილის ფონდი № 2122.

ერთმანეთის მდგომარეობა. ბედნიერნი გულქვანი არიან, იმ ჩემს შავბედს, რომელსაც სიყრმიდანვე ვგმობდი, დღეს ვლოცავ, რადგან თუ არა ჩემებრ უბედური, ბედნიერი იქნებ ღირსიც არ გახდებოდა შენი მეგობრობისა.

მეკითხები რომელ ჯგუფს ეკუთვნი, ოჯახურ ბედნიერებით გაფუფუნებულს, უქმს, თუ უბედურ მოღვაწეს. აბა, რა გიპასუხო, მართალია დიდი ხნის ნაცნობები არა ვართ, სულ რამდენჯერმე გინახივართ, მაგრამ განა ასე ცოტად მიცნობ?! ქვეყნისათვის მოღვაწეობა დიდი საღმრთო მადლია, მაგრამ რა გინდ უხვად მომადლებული ჰქონდეს მოღვაწეს ეს მადლი, მაინც მიწის შვილია, იქნებ გამკიცხო, რომ შენი აზრის წინააღმდეგ გეტყვი, მაგრამ თუ ჩაფიქრდები და კერპობას არ გამოიჩენ დამეთანხმები, ადამიანის ყოველ ნაწილს ჭირია მოსვენება — ეს ხომ ბუნების კანონია — მაშასადამე სულსაც უნდა მოსვენება და სად უნდა იპოვოს თავშესაფარი, თუ არა ღირსეულ სულშივე... ჩემის აზრით ყოველივე ამაოა უამხანაგოდ*... აი, ასე ეხმატებილებოდა დომინიკა ერისთავის ბუნება, ალ. ხახანაშვილის მდიდარ სულს.

განდეგილი აფასებდა ალ. ხახანაშვილის დიდბუნოვნობას, მის ადამიანურ ღირსებებს, მის სულიერ სიფაქიზეს და ინტელექტს.

„მე შენ ჩემო ალექსანდრე კაცად კი არ გთვლიდი, ანგელოზი მეგონე, რომ ვისმეს გაებედნა და ეთქვა შენზე ისეთი რამ, რაც ჩვეულებრივ მამაკაცზე ითქმის — მე მგონი შევაკვდებოდი ამის მთქმელს და არა ერთი და ორი ნაცნობი მომიმდურებია შენი გულისათვის, მაგრამ სრულიად არ დამნანებია. შენში ვხედავდი სასიქადულო ქართველს, დაუღალავ მუშაქნ და მასთან ყოველთვის კარგის ღირსებით სავსე ადამიანს. ყველა ამეების პატრონი მტერიც კი მომწონს და მიყვარს, არა თუ ჩემი ქვეყნის შვილი, ჩემი მოძმე, ჩემი საყვარელი ქართველი“.

როგორც ვხედავთ განდეგილი ახლო იდგა ალ. ხახანაშვილის ცხოვრებანთან. ამიტომ იყო, რომ მან საშინლად განიცადა

* საქართველოს მუზეუმი ა. ხახანაშვილის ფონდი № 121.

მისი მძიმე ავადმყოფობა. თავის ერთ-ერთ წერილში განდევილი წერდა:

„ძმაო ალექსანდრე!

კარგათ იცი, ჩემო ალექსანდრე, რა თავზარი დაგვცა ყველას შენმა ავადმყოფობამ, გეფიცები ორ შვილს, რომ მთელი კვირის განმავლობაში გაშტერებული ვიყავი, რომ მკითხავდნენ რასმე არ ვიცოდი რა მეპასუხა. მე მგონი ყველა ქართველი, ვინც კი ცოტა. ღღნავ მაინც გიცნობს, ჩემს მდგომარეობაში იქნებოდა. მართლაც ეგ ერთად ერთი კაცი გვყევხარ, რომელიც მაგრე კენტად მივარდნილი სხვის ქვეყანაში დაუღალავად შრომობ და რომ ყველა ქართველის გულში ღრმად არ იყოს გაბნეული შენი სიყვარულის ფესვები, ეს ხომ უღმერთობა და უბედურება იქნებოდა. მე მაინც ისე დავალებული ვარ შენგან. რომ ვერაფრით ვერ გადაგიხდი ამ მეგობრულ, წრფელ თანაგრძნობას, რაც შენ ჩვენი გაცნობის პირველ წელიწადს გამიწიე, ციურ მანანასავით მოველოდი შენს წერილს, რომელიც სავსე იყო გონივრული სიტყვებით და მეგობრული გულახდილობით და ეს წერილები ისე მამხნევებდნენ ხოლმე, რომ უსაშინელესი წამებაც კი მიმსუბუქდებოდა... აკი მოგახსენეთ, ძალიან დიდი გავლენა იქონია ჩემს ტანჯულ ცხოვრებაზე შენმა მეგობრობამ... მოიწერე რითი იყავი ავად, ვინ გივლიდა. ხომ მოუშორებლად იყვნენ შენს გვერდით ქართველები. კიდევ შენებურად მუშაობ თუ არა? თუ ღმერთი გწამს ცოტა მოისვენე, ერთხელ მაინც იფიქრე, რომ დიდი მუშაობის ატანა დიდ დასვენებულ ძალას შეუძლია....

გუშინწინ შიო მეუბნებოდა, რომ ვაჟა ფშაველას და ბაჩანას ბიოგრაფიული ცნობები გვთხოვაო... ახლა კიდევ ამაზე იმტვრე თავი კარგი იქნება არა!!! მოისვენე გეთაყვა. მოისვენე. ყველაფერს მოესწრები!!!“.

ასე რომ უფრთხილდებოდა განდევილი ალ. ხახანაშვილის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, გასაკვირიც არაა, რადგან განდევილმა, როგორც პატრიოტმა ქალმა, კარგად იცოდა, თუ რაოდენ საჭირო იყო ამ უმწიკვლო, უანგარო ადამიანის მარჯვენა ქართული ეროვნული კულტურისათვის.

* საქართველოს მუზეუმი ა. ხახანაშვილის ფონდი № 121.

მიუხედავთ განდევილის და ალ. ხახანაშვილის ასეთი თბილი და მეგობრული დამოკიდებულებისა, ისინი სასტიკი და დაუნდობელი კრიტიკოსები იყვნენ ერთმანეთის მიმართ იქ, სადაც ეს ჩვენი ქვეყნის საზოგადო საქმესა და ჩვენ სამშობლოს შეეხებოდა.

ამის შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს ჩემს მიერ მიკვლეული უავტორო წერილი, რომელიც ამჟამად დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და რომელიც თავისი მსოფლმხედველობისა და შინაარსის მიხედვით ალ. ხახანაშვილის წერილად მივიჩნევ.

განდევილი უსაყვედურებს ალ. ხახანაშვილს „ვეფხის ტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილების გაყალბებასა და არა მართებულად თარგმნას რუსულ ენაზე. განდევილი წერს:

„უფრო მეტს მოველოდი შენგან, მაგრამ ამაზედ უფრო ვბრაზდები, რომ მე 15-ტე ხანის აზრი, სრულიად სხვანაირად აქვს გამოთქმული იმ ადგილას, საცა რუსთაველი ამბობს „დაევძღურდი მიჩნურთათვისო“ შენ ასე სთარგმნი „И заиная ит лионни“. გაგონილა თქვენი ჭირიმე ასე დამახინჩება?! ის კაცი ამბობს „მიჩნურთათვის დაევძღურდიო“ და შენ კი, მაინც და მაინც გინდა, რომ რუსთაველი ავად იყოს სიყვარულის გამო. სხვათა მიჩნურობა მაიძულებს, თორემ ხომ ხედავთ მე კარგათ ვარ და პოემასაც ვწერო. ვცადე შენ თარგმანს „ვეფხის ტყაოსანს“—ა არა დაეტყოს რა?! ნუ გეწყინება ჩემი შენიშვნა, დარწმუნდი ამით ის კი არ მინდა, რომ გაწყენინო, არამედ გაშორო უსამართლობა, რომელიც შენთვის არ ვარგა და შენც შეგაწუხებს ეს... სხვებს ძალიან მოსწონთ ეს ადგილი, არავის შეუშინებია, თუმცა ბევრმა წაიკითხა, იქნებ მე ვცდებოდე ღმერთმაც ასე ინებოს, იმედი მაქვს უფრო მეტსაც მაპატიებთ, ჩემო მეგობარო!!!“.

როგორც ვხედავთ დომინიკა ერისთავი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, რადგან ისეთ კრიტიკოსსაც კი, როგორც ალ. ხახანაშვილი იყო ოფიციალურად აკრიტიკებდა პრესის ფურცლებზე.

საინტერესოა ალ. ხახანაშვილის პასუხი ამ წერილზე, რო-

*საქ. მუზეუმი ა. ხახანაშვილის ფონდი № 121

მელსაც, როგორც წერილიდან ჩანს, უპრეტენზიოდ მიუღია მისი საყვედური.

„გილოცავ წმინდა აღდგომასა და გისურვებ შენს ღიდხანს სიცოცხლეს, იმავე ნიჭის სიძლიერით, რომელიც აცხოველებდა აქამდის შენ მიერ შექმნილ ნაწერებს. იმედი მაქვს ამ წმინდა პასექისლად დღესასწაულების გამო მომიტევებ დანაშაულს, მიხვდები, რასაც მოგახსენებ,—ხანგრძლივ ჩემს სიჩუმეს ბევრნაირ მიზეზის გამო. გმადლობთ იმ შენიშვნისათვის, რომელიც ჩემს წერილს შოთაზე უძღვენ. მეგობრისაგან მაინც მინდა ვიცოდე წრფელი და მიუდგომელი აზრი. რაც გასაკიცხია ვაკიცხო და რაც მოსაწონია, მომიწონონ — ამაზე მეტი სასიამოვნო ჩემთვის არა იქნება რა, ეხლანდელ დროში. მართლაც რა დასაფასებელია „ხალხის ქეშმარიტება“*.

ასე აკავშირებდა ალ. ხახანაშვილსა და განდევილს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ინტერესები, რომლის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს განდევილის შესანიშნავი წერილი ალ. ხახანაშვილისადმი.

„შენ რომ ლაზათიანად გამლანბნე“. „რუსკოე ვედომოსტ-ში“ -- ძალიან მაწყენინებ იმით, რომ არ იცოდი ჩემი თარგმანი და ისე უპრაგონოთ აპყევი „კვალის“ სისულელეებს!

„კვალში“ ის დაიბეჭდა. რაც ჩვენმა უმეცარმა არტისტებმა (?) წამოროშეს სცენაზე, ხოლო ნამდვილის გადასინჯვა ვეღარ მოიფიქრეს. შენც აიღე და ამით ისარგებლე. მე რასაკვირველია არც ერთი არ მიკვირს, რადგან ასეთი ბედი მაქვს, რომ ყველას უნდა ჩემი ნაშრომი არარაობად ჩაატაროს, მაგრამ ღვთის წყალობით იმდენს ვეცდები, რომ ყველას შევანანებ ჩემს მტრობას და ბოლოს მაინც ამ მხრივ ქედი მოიხაროს ჩემს წინაშე. ამისათვის მე ყველაფერი შემწვევს, სიყმაწვილე, სიმართლე, ჭკუა. შრომის მოყვარეობაც და ზნეობრივი სიწმინდეც. „Горе от ума“ „ისე ვერ გაუგია განდევილს, როგორც საჭირო იყო — შენ სწერ. — არა, მე კი, გავიგე, როგორც საჭირო იყო და კიდევ გადავთარგმნე ისე, რომ იქნებ ბევრი დიპლინგიც ვერ გადმოთარგმნიდა, მაგრამ უვიცებმა და მხე-

* ა. ხახანაშვილის ფონდი № 121.

ცებმა ვერ გაიგეს, თავისებურად გადაამახინჯეს და იმათ მაგიერ მე გავილანძღე, ისიც კიდევ რუსულ გაზეთებში. რა აზრი უნდა შეადგინოს ჩემზე რუსის ხალხმა. ეს თარგმანი ხომ დაიბეჭდა. ხომ ნახეს ყველამ როგორი ნათარგმნია და მაშინ რაღა მექნება სათქმელი. მე მარტო ის კი არ მწყინს, რომ უსამართლოდ მომიხსენიეს, არა, ის მწყინდა, რომ ნამდვილი გენახა და ისე დაგედო მსჯავრი. რაც შეეხება იმას, რომ სასკოლო გამოცემებიდან ნათარგმნია, აქაც შეცდომაა. მე მშვენივრად შევასწორე ნამდვილად, ან რატომ გგონია რომ ასეთ შრომას თითის წვერებზე მოვიგდებდი, არ შევადარებდი ფრცელ გამოცემას? ეს კი არ არის ის, რომ შენც შეგძულდი და მტრული თვლით დამიწყე ცქერა, თუმცა არ ვიცი რისთვის. ფიცს, რასაკვირველია არ ვიკადრებ დასიტყვით კი. გეუბნები, რომ ჩემს სიცოცხლეში კარგის მეტი სხვისთვის არა მდოჭია და მით უმეტეს შენთვის ყველა მემეტება, რომ შემჭამონ ის უნდათ, მაგრამ უჩემოდ ვერ სძლებენ ეს სულით გლახაკნი, ჩემი შურით კვდებიან და მაინც კიდევ მე შემომტირებენ, ეს დამიწერე, ეს გამისწორე, ეს გამიკეთე. ცენზორთან დამეხმარე და სხვა და სხვა. აი, სწორედ აქ არის ჩემი ძალა, რომ ჩემი მომღურავნი მევე მთხოვენ და მეხვეწებიან ყველაფერს“.

ასეთი საქმიანი მიწერ-მოწერა, ცოცხალი კრიტიკა, ერთხელ კიდევ ლაპარაკობს ალ. ხახანაშვილის და განდევილის საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებასა და მეგობრობაზე. ახლა მართლაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ უანგარო მოღვაწეებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი აკავშირებდათ, ეს იყო ბრძოლა საქართველოს უკეთესი მერმისისათვის.

1912 წელს, როცა ალ. ხახანაშვილი მოულოდნელად გამოეცალა ქართველ მოღვაწეთა რიგებს, გულდათუთქულმა პოეტმა ქალმა თავისი უახლოესი მეგობარი ასე დაიტირა.

„ძვირფასო მეგობარო!

იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლოს კუთხიდან გლოვა ისმის შენი უდროვოდ დაკარგვის გამო, შენი კეთილი მეგობარი სდუმს... ოცდაშვიდი ივლისი იმ წლისა, როდესაც შენი უდრო-

* საქართველოს მუზეუმი. ა. ხახანაშვილის ფონდი № 121.

ვოდ დაკარგვის ამბავი გაზეთით გავიგე, ისევ ღრმად, თუმცა სისხლის წვეთებით აღიბეჭდა ჩემს უბედურ გულში, როგორც 29 ივლისი 1895 წლის, როდესაც მე და შენ პირველად გავიცანით ერთმანეთი: ჩვენი საერთო საყვარელი მგოსნის სახლში — საგურამოში.

ჩვიდმეტი წელიწადია მას შემდეგ მეგობარო და ამ ხნის განმავლობაში, ვერც სიშორემ და ვერც დროთა უქუდმართობამ ვერ შეასუსტა ჩვენ შორის მტკიცე კავშირი მეგობრობისა.

წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ თუ ვნახავდით ერთმანეთს, ან მე რუსეთს მოსული ან შენ აქ, მაგრამ ყოველი აზრი, ყოველი საგანი ახალი შრომისა, სულის ყოველი მოძრაობა ჩვენი ცხადი იყო ერთმანეთისათვის.

ჩვიდმეტი წელიწადი შენ იყავი ჩემი გზის მაჩვენებელი, ჩემი ზეშთამაგონებელი ძალა, მეგობარი უანგარო — ერთგული და მუდამ იმის მოწადინე, რომ მტერი არ გამეხარებინა. ჩვიდმეტი წელიწადი გულით ვატარებდი იმ წმინდა გრძნობას, რომელსაც პატიოსანი ადამიანები მეგობრობას ეძახიან.

ნეტავ იმას, ვინც ვიცნობდა შენ, როგორც მხოლოდ მეცნიერს და მოღვაწეს და არ იცნობდა შენს სულს ნაზს, მგრძნობიარეს, პატიოსანს და სპეტაკს. მე ვიცნობდი შენს სულს და ამიტომ განუსაზღვრელი არის ჩემი შენდამი მეგობრული ღრმა გრძნობა, ვიცნობდი შენს სულს მშვენიერს, მოკრძალებულს და ამასთან ობოლს, მიუსაფარს, მწუხარეს...

...იქნებ ამ ერთგვარმა ბედის ჩარხის ტრიალმა შეგავნებინა ჩემი მოუსვენარი მდგომარეობა და თანაგრძნობით აგივსო გული ბედისაგან დაჩაგრულ კაცისადმი. სხვის მწუხარებას ის გაიგებს, რომელსაც თვითონ მოხვედრია მწარე შოლტები ცხოვრების მიმდინარეობისა. — მწერდი შენ ერთ წერილში.

შენ მეცნიერი იყავი და მე კი, მგოსანი, მაგრამ იმდენად ნაზი და მშვენიერი იყო შენი სული, რომ ადვილად გაიქცა ჩვენი მტკიცე მეგობრობის ჯაჭვი.

იქნებ ბევრი შენატროდა კიდევ შენს ბედს?! შენი სულის ობლობა კი, იცოდა, მხოლოდ შენმა მეგობარმა...

და ეს შენი მეგობარი დღეს სდუმს ვით მეხისაგან განად-
გურებული ტაძარი!...^{*}“

მაგრამ განდევილი მარტო ამ წერილით როდი დაკმაყოფილებულა, მას უნდოდა ქართველი ერის სამსახურში დაფერფლილი ალ. ხახანაშვილის დამსახურება ახალ თაობისათვისაც გაეცნო, ამიტომ იყო, რომ მან იმავე წელს საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულში“ მეორე შესანიშნავი წერილი დაბეჭდა ალ. ხახანაშვილის ღვაწლისა და ცხოვრების შესახებ.

„ჩერ თითქოს ახალგაზრდა კაცი იყო, ორმოცდაათი წლისაც არ იყო, მაგრამ აგერ ოცდახუთი წელიწადია, რაც იგი დაუღალავად ემსახურება თავის ქვეყანას. იმის მეცადინეობით იყო, რომ 1900 წელს ნება დართო მთავრობამ და მოსკოვის უნივერსიტეტში გახსნა ქართული სიტყვიერების კათედრა, რომლის პრივატ დოცენტად ალ. ხახანაშვილი აირჩიეს.

ადვილი არ იყო ამ კათედრის მიღება და ხელმძღვანელობა. მაგრამ იმდენად სასარგებლოდ მიაჩნდა ეს საქმე, იმდენად უყვარდა თავისი ერი, მისი მწერლობა და ენა, რომ სიამოვნებით იღო თავს ეს ახალი დიდი შრომა, მიიღო კათედრა, უსასყიდლოდ იკისრა ლექციების კითხვა.

ამ კათედრის დაარსება მისთვის ერთგვარ ზნეობრივ გამარჯვებას წარმოადგენდა. ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ხახანაშვილს დაუწერია და დაუბეჭდია სხვადასხვა გამოკვლევები, თუ მოსაზრებები, მაგრამ მისი საგანძურია ნაშრომი „ისტორია ქართული მწერლობისა მე-19 საუკუნემდე და „ქართული სიტყვიერების ისტორია“. ხახანაშვილს ბევრი ნაწერები აქვს საქართველოს შესახებ გერმანულსა და იტალიურ ენაზე, რაც საშუალებას აძლევს ევროპიელს ჩვენი ვინაობის გაცნობისას.

ალ. ხახანაშვილი ერთ წუთსაც არ გააცდენდა უსაქმოდ. მუდამ შრომობდა, იკვლევდა ძველ ხელთნაწერებს. დღე და ღამე ჩაპკირკიტებდა მათ, სწერდა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი ზაფხულობით უმეტეს ნაწილად ჩამოდიოდა თავის სამშობლოში, მიმოივლიდა ჩვენი ქვეყნის მი-

* „სახალხო გაზეთი“, 1912 წელი, № 666.

ვარდნილ კუთხესაც კი, იკვლევდა იმის წარსულს და მომავალს. ხან როცა საჭიროება მოითხოვდა, მიდიოდა საზღვარგარეთ, რომსა და სატრანკეთში. სადაც ჩხრეკდა და იკვლევდა იქაურ მუზეუმებს და წიგნთსაცავებში შენახულ ხელთნაწერებს საქართველოს შესახებ.

ბუნებით მშვიდობიანს და სათნო ხასიათის პატრონს ალ. ხახანაშვილს სიყრმიდანვე არ უყვარდა ფუქსავატი ცხოვრება. თუ არ იცოდი ვინ იყო, ვერ შეამჩნევდი, თუ ის მეცნიერი იყო. იმდენად სადა და მარტივი იყო მისი ქცევა და ლაპარაკი, ჩაცმადახურვა და მთელი მისი ცხოვრება.

მოკრძალებული იყო. ჩვილი გულისა და მხოლოდ იქ შეატყობდი ხოლმე ღრმა ცოდნას თავის საქმისას, სადაც საქმე იმის სამშობლოს შეეხებოდა. უამისოდ იგი ჩვეულებრივ ამხანაგებისაგან არ განსხვავდებოდა.

ხახანაშვილმა მთელი თავისი ახალგაზრდობა, პირადი ბედნიერება, მთელი თავისი ძალღონე შესწირა ერთხელვე სათაყვანებელ არჩეულ საგანს, სამშობლოსათვის მოღვაწეობას. მოშმეთა წარმატებას და გააკეთა ის, რის გაკეთებაც მხოლოდ ღვთისაგან რჩეულთ შეუძლიათ. შესწირა სამშობლოს სიცოცხლე და მასთან ერთად მთელი თავისი მონაგარი პატიოსანი შრომით დაზოგვილი შეძლება მოშმეთა განათლების საქმეს უანდერძა. მან წერა-კითხვის საზოგადოებას დაუტოვა ორმოცდაათიათასამდე და ამით უკედავი მაგალითი მოგვცა იმისა. თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს პატიოსანი შვილი თავის მშობელ ერს, თავის ქვეყანას...

ქალაქ სამარიდან გადმოსვენეს. თანამემამულენი ვერცხლისა და დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ იმის ცხედარს. იგი დასაფლავებულია დიდუბის ეკლესიის გალავანში, იაკობ გოგებაშვილის გვერდით.

უკედავია სახელი დიდებულ მამულიშვილისა, სულმალალ ქართველი მეცნიერის ალ. ხახანაშვილისა“.

და დღეს ყველამ არ იცის, რომ ამ დიდებულ ადამიანის დამფასებელმა დომინიკა ერწსთაე-განდეგილმა სიკვდილის მძიმე წუთების წინ მოითხოვა, რომ იგი დაკრძალული ყოფილიყო თავის უახლოეს მეგობარ ალ. ხახანაშვილისა და სამშობლოს სამსახურში გათეთრებულ იაკობ გოგებაშვილის გვერდით.

ქართველმა ხალხმა, ეს სურვილი აუსრულა განდეგილს.

მისი საფლავი ორ დიდ მოღვაწის სამარეთა შუა გაითხარა.

დომინიკა ერისთავის შემოქმედება

დომინიკა ერისთავი უპირველეს ყოვლისა პოეტი იყო და, უნდა ითქვას, საკმაოდ ცნობილი პოეტიც.

ახალგაზრდა ქალის ნიჭს, როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე ღირსეული შეფასება მისცა ჩვენმა საზოგადოებრიობამ.

თვითონ პოეტი ქალი 1911 წელს წერდა: „...მგოსანი ნამდვილი ნიჭით დაჯილდოვებული, ცოტა სამსახურს არ უწევს ქვეყანას. მისი სიმთა ეღერა ბგერა მისი სულისა, ეს არის გულიდან აღმომხდარი კენესა. იგი მესაიდუმლეთ თანამედროვე გულისა“¹.

განდეგილის პოეზია სწორედ ასეთი იყო. იგი ადამიანის სულის სიფაქიზეს ემსახურებოდა, მაღალ იდეებს ქადაგებდა.

მისი მწერლობა არ იყო შემთხვევითი. იგი თავისი შინაგანი მოწოდებით ნამდვილი პოეტი იყო, რომლის პოეზიაში არა მარტო ქალის ნაზი მგრძნობიარე სტრიქონები მოისმოდა, არამედ ვაჟკაცური ძლიერი ხმაც.

ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ განდეგილი შესანიშნავად ერკვეოდა სოციალურ საკითხებში. მის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია ის შინაგანი კიდილი, ის ახალი სოციალური ძვრები, რაც ახალ საუკუნეს მოჰყვა.

ნაციონალური ჩაგვრის, ექსპლოატაციის და ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკის ვითარებაში გაიზარდა და ჩამოყალიბდა განდეგილის მსოფლმხედველობა.

იგი თავის ეპოქის ღვიძლი შვილია, დროის ინტერესების გამომხატველია, მის ნაწერებში, როგორც სარკეში ისე მოჩანს იმდროინდელი ცხოვრების მაჩისცემა.

განდეგილმა თავის მწერლობის გზად რეალიზმი აირჩია და

¹ განდეგილი, ლექსები, 1896 წ., გვ. 1.

თავის დიდი მასწავლებლის ილია ჭავჭავაძის მსგავსად პოეზია ხალხის ცხოვრებას დაუახლოვა.

პოეტმა ქალმა კარგად იცოდა, რომ პოეზიას ქვეყნის საზღვრებზე დიდი საქმე არ ჰქონდა, ამიტომ იგი პოეტთან ერთად შესანიშნავი მოქალაქეც იყო, რომლის ჯანსაღი იდეალები ხელს უწყობდნენ ეროვნულ თვითშეგნების გაღვივებას.

განდეგილი ლირიკოსი პოეტია.

მისი ლექსების უმრავლესობა ხალხურია და სწორედ ამანია მისი ძალა.

მთავარი მოტივი მისი შემოქმედებისა პატრიოტიზმია.

პოეტი ქალი აღტაცებული უმღერის თავის სამშობლოს, მის თვალწარმტაც ბუნებას, მის ლაყვარლოვან ცას და ზურმუხტ ველებს. მისი ლექსების ძირითადი ჰანგი სამშობლო, სიყვარული და ბუნებაა.

ამასთანავე დომინიკა ერისთავის პოეზიაში საკმაოდ ადგილ უკავია სამოქალაქო ლირიკის მოტივს, მაგრამ თუ პოეტი თავის შემოქმედებაში კაცთა გაუტანლობას, ადამიანთა უმსგავსო მოქმედებას და ამით გამოწვეულ კაეშანს ხატავს — ეს უმრავლეს შემთხვევაში წუთიერ განწყობილების შედეგია. განდეგილის პოეზია ძირითადად სიცოცხლის და სიყვარულის მომღერალია.

პოეტი ქალი ოპტიმისტური თვალით უცქერის ცხოვრებას. მისი აზრით, სიცოცხლე თვალწარმტაცია, ლამაზია, მიმზიდველია, რადგან სიცოცხლე სხვა არაა, თუ არა ბრძოლა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად.

მისი ლირიკა არ არის გაცვეთილი და ყალბი, საკუთარ პოეტურ ქურაში გადამდნარი პოეტური სულის წვაა.

განდეგილი არ ყოფილა რიგითი პოეტი. იგი საკმაოდ დიდი დიაპაზონის მგოსანია. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ის რამდენიმე ლექსი, რომელშიაც გამოიხატა მისი გარკვეული შეზღუდულება პოეზიის როლისა და დანიშნულების შესახებ.

გავკვანძვე სიმსა გაწყვეტ-ლს
ავაქენესარებ ძალადა,
გავკრავ გამოვკრავ თითებსა
ჩაუხმატკბილებ წყნარადა.

გულს ტალად ვაქცევ, სულს კვესად
გრძნობას მწველ ნაერწყალადა,
აბედათ — მთელსა არსებას
გარდაქმნილს ყინულ სალადა,

ცეცხლს მოუკიდებ მის გუგუნს, —
ვიტყუით ტკბილ მოძახილადა,
ავატრთოვანებ ოცნებას
ასე მივარდნილს ძილადა.

გავანავარდებ ცისაკენ
შევაკამათებ მთვარესა,
კეკლუცად მონარნარესა.

მზე რომ ცის ისარს შესტუორცნის,
შეუთამაშებ სხივებსა
მეც ჩემს ფერფლს იმის ციმციმში
ჩავჭარგავ როგორც მძივებსა**.

როგორც ვხედავთ სიყვარულით აღგზნებულ პოეტ ქალს. დიდი იმედი აქვს თავის ნიჭისა და აღმაფრენისა. განდევგონს სჯერა, რომ რწმენისა და იმედის გარეშე არ არის პოეზია.

პოეტი თვითონ უნდა იყოს რაიმეს მიმართ დიდი რწმენათ გამსჭვალული, რათა შთამაგონებელი ძალა ჰქონდეს მის ლექსებსაც.

შეიძლება ბევრს მოეჩვენოს, რომ განდევილი ამ ლექსში ვიწრო თავმოყვარეობის და გაამპარტავებული ქედმაღლობის პრინციპიდან გამოდის, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნებოდა.

ასეთივეა მისი მეორე შესანიშნავი ლექსი: „პოეტის ფიქრი“**

მე შემიძლია თვით სამოთხე ტანჯვად ვაქციო
და ჯოჯოხეთსაც მივანიჭო ზეცის შვენება

მე შემიძლია გაზაფხული, ზამთრად შევცვალო.
და ზამთარი კი, ავაყვავო ვით გაზაფხული.
ზღვანი დაეშრო, ქართა ქროლვა შევეკრა შევბოქო,
ცა ავატირო, ქვესკნელმა სოქვენს ტკბილი მაყრული.

* გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1885

** გაზ. „ივერია“, 1896 წ., № 20, გვ. 8.

ამ ლექსში განდევილი პოეტს ძლიერ პიროვნებად წარმოგვიდგენს, რომელსაც შეუძლია ცხოვრების შეცვლა, ხალხთა თავისუფლების მოპოვება, მონობის ბორკილების დამსხვრევა.

განდევილის პოეტი ეს არის სიმბოლო, თავის დროსთან აჯანყებული იმ პროტესტანტისა, რომელიც თავის ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძვის.

მაშ, რად არ ძალშიდს მეფის ტახტი დავცე, დავამხო,
მისი სალარო დაურიგო ღარიბთ და გლახათ.
და ის პორფირი რომელიც მას მხარ-ბეჭს უმშვენებს
მისივე სკიპტრა ცად აღვმართო ხსნის ბაირალად?

ერი უძლური დაჩვეული კერპთა მონობას
ვიხსნა და ვამცნო ვით დაიცვან თავის მამული
მათ წინ წაუძღვე, ვით მოსე ებრაელთა ერსა
და მისებრ კვერთხით განვაპო მეც ზღვა მეწამული.

უკეთ გამოხატვა თავისი სულიერი განწყობილებისა არსებულ წყობილების მიმართ შეუძლებელია. აქ შესანიშნავად მოჩანს განდევილის მეტრძოლი სული, მისი დემოკრატიული ბუნება, მისი პროტესტი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პოეტს განდევილი ხალხის წინამძღვარად სახავს, რომელმაც უნდა დაიხსნას თავისი ერი ჩაგვრისაგან.

ამით აიხსნება პოეტი ქალის გატაცება თავისუფლების მოტრფიალე დეკაბრისტებით, რომელთა გავლენით თარგმნა რუს დეკაბრისტ რილევეის ერთ-ერთი ლექსი.

დაე, ხალხს მისწვდეს ჩემ სიმთ წკრიალი,
ბედით დამტკბარი ამხიარულოს
და დაამშვიდოს მკენესარ მტირალი

ოდეს ხმა ჩემი აღმა-მფრინავი
გრძნობით ჩასწვდება ადამიანთ გულს
მაშინ თამამად მივიღებ გვირგვინს
გვირგვინს დაუმკნარს, გვირგვინს ღირსეულს*.

სამშობლოს-სიყვარული, თავის ქვეყნის ერთგული სამსახურია — აი, ის საგანი, რომელსაც მუდამ გარშემო უტრიალებს და

* გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1885.

ეაღერსება პოეტი ქალი. ყოველ ლექსში, სადაც კი იგი ეხება სამშობლოს, მართლაც არის გატანჯული ქვეყნის უბედურებით გამოწვეული გულის გოდება. განდევილი თავის სამშობლოს სვე-ბედით გულდათუთქული პოეტია, ყოველი მისი სტრიქონი გულის სიღრმიდან აღმომსკდარი წრფელი ლოცვაა. ამასთან განდევილი ყოველთვის როდი ცდილობს თავის ლექსს მისცეს ლამაზი, მომხიბვლელი ფორმა. იგი მხოლოდ ესწრაფვის რაც შეიძლება სრულად გამოხატოს სანუკვარი გრძნობა-სამშობლოს სიყვარული და ამიტომ მისი სტრიქონები ასე ხორკლიანი და გაუშალაშინებელია. მაგრამ დომინიკა ერისთავის პრეზიის მოქალაქეობრივი ლეიტმოტივი ისეთი ძლიერია, რომ მკითხველს ხანდახან ავიწყდება მისი გარეგნული ფორმა.

მიყვარს მე ჩემი ქვეყნისა
სისხლით ნაღები მთა-ბარი
მიყვარს მე კალთა დედისა
ჩემი გამზრდელი აკვანი,

მიყვარს და გულს ვერ შემეცვლის
მტრის რისხვა, მწარე ტანჯვები:
იმედს დამძახის ამირან
კლდეს მიკრულ-მინაჯაქვები*.

დიახ. განდევილს უყვარს თავის წინაპართა სისხლით მორწყული მშობელი ქვეყნის მთა-ბარი. უყვარს სამშობლო დიდი რუსთაველისა და თამარისა. აკვანი მეფე ერეკლესი და გმირი კახაბერისა, რომელთაც დღემდე მოითანეს ჩვენი ხალხის ეროვნული კულტურა და გმირული სული:

მიყვარს სამშობლო რუსთაველის
და თამარ ქვეყნის მნათისა,
ღვთის მშობლის წილად ხვედრილი
სავანე ქრისტეს კვართისა,
აკვანთა მეფე ერეკლეს.
და გმირი კახაბერისა,

დედა თორნიკე ერისთვის
და იოვანე ბერისა.*

* განდევილი, „ლექსები“, 1896 წ., გვ. 8.

ასე აფასებს განდევილი მამა-პაპათა წარსულს, მათ თავდა-
დებულ შრომას ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების
საქმეში.

განდევილს არც თავის სიცოცხლე ენანება თავის ერისა და
წალხისათვის.

პა. შენთვის გული
ტახტად დადგმული
შენ სატრფიალოდ აძგერებული
პა. შენთვის სული
მრავალტანჯული
და თვალნიც შენთვის აცრემლებული.

სამაგიეროდ განდევილი დაუნდობელია იმ უღირს მამული-
შვილთა მიმართ, რომელთაც თავი დანანებიათ სამშობლოსა-
თვის:

და ვისაც. ჩემებრ არ უყვარს
სავეანე გმირთა ძელებისა
ის დამგმობია რჯულისა
და წინაპართჳ. მცნებისა.

ასეთია სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით აღგზნებული
პოეტი ქალი.

ერთხელ კიდეე, რომ ვნახავდე
ჩემს მზესა და ჩემსა მთვარეს
არ შეეკრთები, თუ იმ წამსვე
მოველოდე შავ სამარეს.

✱

დაახ, განდევილი საქართველოს ხან სატრფოს სახით წარ-
მოგვიდგენს, ხან აკაკის მსგავსად თავის სამშობლოს მზესა და
მთვარეს ადარებს.

მისი ზელი რომ შემეხოს
შეეებმები თვით ლეგიონს
ამირანებრ გავკაჟდები
მიეეჭაკვი კავკასიონს...
და იქიდან გადმოვძახებ
ყორანთაგან დაფლეთილ გულს

რომ სამყარო ტუბილის პანგით
მას უმღერდეს ციურ ნანას
თვით ზესკნელსა ქედს უხრიდეს
სიყვარულის გამოცანას.

ამ მხრივ ჩვენ ყურადღებას იპყრობს განდევნილის ორი გა-
მოუქვეყნებელი ლექსი, რომელიც ჩემ მიერ მიკვლეულ იქნა
სამეგრელოში, იონა მეუნარგიას არქივში.

საცოდავო დედაჩემო
ვინ გაგიღებს ციხის კარებს
უსამართლოდ დაჩაგრული
შენ გულს რაღა გაახარებს.

აქაც განდევნილს საქართველოს სიმბოლოდ დედა ჰყავს
წარმოდგენილი. მეორე ლექსი უსათაუროა. მერანის ქროლვაში
პოეტი ხედავს ცხოვრების სარბიელს. წინააღმდეგობათა გა-
დალაზვას და ამიტომ შექხარის მის თავისუფლებას.

ვხლაც მიშველე მოხუცსა
ობრად არ ჩამჩჩეს შვილები
არ ანაეარდო ჩემს ტყაუზე
მგლები პირ დალესილები.
გასწი გადაელე სქელი ტყე
გზას ვერ გავარჩევთ ბნელია
შენი გამჩენის ქირიმე
ვამოკლოთ შარა გრძელია.

განდევნილის პოეზია დაუდევარია, მშფოთვარეა. იგი მებრ-
ძოლის ყიჟინასა ჰგავს, რომელიც სიცოცხლეს მატებს ადამიან-
ის სულს და მომავლის რწმენით აღავსებს.

ისე მეც უშფოთავ, ებობოქრობ
ვალელებ გრძნობით ზეირთებსა,
ხან ცას ავხედავ, ხან ქვესკნელს
ხან ბარს შეექახი, ხან მთებსა,
ხან მძაფრ გრიგალად ეიქცევი,
ვეკვეთი კლდეთა ნაპრალსა,
ხან ცისარტყელებ მოვიბევე

ცის შვიდფეროვან საფარსა
მსურს ლეთის კურთხევა მიუძღვნა
კაცთ ნაშრომ-ნაამაგარსა.

განდგეილს უყვარს სიცოცხლე, მაგრამ თუ ზოგჯერ პოეტს
„უამთა სიავით“ და ადამიანთა უმსგავსო მოქმედებით გულს
სევდა შემოაწვება, ეს შემთხვევითი და წუთიერია.

როდის დასცხრება წყეული
ქრცხვი და დაუღეგარი
სად არის საქმე კეთილი
კაცთ სისხლით შეუბღალავი.

განდგეილი დიდი ჰუმანისტია. იგი მაღალ, სპეტაკ გრძნობებზე მიგვითითებს. ჰკიცხავს სამშობლოს მოღალატეს. ილაშქრებს ყოველგვარი ანგარებისა და ბოროტების წინააღმდეგ.

გაცივდა გული მგზნებარე
გადიქცა ყინულ სალადა
თუნდა გენიაც შეუთხო
აღარ მწამს იგი აღარ მწამს
რაც მწამს, უარყოფ მასაცა
სისხლის მსმელ მხეცად მივიღებ
თვით ღვიძლს ნადებ ძმასაცა...

არ არის ლექსი განდგეილის შემოქმედებაში, რომელიც პოეტის უნებისყოფობას და ბედის მორჩილებას გვიჩვენებდეს. განდგეილი ყველგან ბრძოლის იდეას ქადაგებს. თავის ლექსში „მტარვალი“ — მან დასცინა ადამიანის ხელითვე შექმნილ თავისუფლების ამკვეთელ ბორკილებს, რომელსაც ბნელ საკანში ჩაუხშვია ახალგაზრდა პატიმარის თავისუფლების მოტრფიალე სული.

გული მთელად მაქვს, ვერ შეიძლება შეეხო იმას
სად ჩემი სატრფოს ტრფობის სახე მაქვს ჩამარხული.

განდგეილს სურს გვიჩვენოს, რომ შეფის საპყრობილე და-თრგუნვის და მორალური გათელვის ნაცვლად, ამტკიცებს ადა-

მიანის ნებას და ხასიათს, უფრო გარკვევით და მწვავედ აგრძნობინებს ადამიანს აუტანელ მდგომარეობას, რაც ფრთებს ასხამს მას შემდეგი ბრძოლისათვის.

არა, მტარვალო არ მეშინია, არა და არა,
შენი ბორკილი სუსტი არის ჩემ დასაქერად,
შენ რომ გგონია დამიმონო, მატირ-მატერემლო
მაშინ ეს გული სხვაგვარად სძგერს სალხენ-სამღერად.

აქ დახატულია დიდი რწმენისა და მაღალი მორალის ადამიანის ფსიქოლოგია; ვერც ბორკილებმა შესძლეს მისი გულიდან სამშობლოს წრფელი გრძნობის ამოგლეჯა. პატიმარი არ გაყიდის თავის რწმენას, თავის სინდისს, თუნდ ქალათმაც აღმართოს სასიკვდილო მახვილი.

დაე, ქალათთა მომკრან თავი ვითა ავაზაკს
ვით ლეთისა მგობი, ისე დამწვან და დამანაცრონ,
ფერფლიც ჩემი ცათამღე აღელს, რომ ღრუბელთ ამცნოს.
აზრთა და ფიქრთა დამონება ჯაქვთა ვერ შესძლეს.

განდევილის ოპტიმისტური განწყობილების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს მისი ლექსი „არა, არ ვტირი“.

არა, არ ვტირი — ცრემლები
სულით მდაბალთა წესია.
არ ვსტირი, თუმცა მწარე ხვედრს
საჩემოდ დაუკენესია.
ქედს არ მოუდრეკ შეებედსა
ზაკი მტრად შემომესია
მებრძოლსა, რადგან საჩემოდ
მახვილი გაულესია.

განდევილის ლექსები ჯანსაღი ფსიქოლოგიის და აზრების გამომხატველია. იგი ასწავლის ადამიანს ბედთან შეურიგებლობას, წინააღმდეგობის გადალახვას, განდევილი დასცინის სუსტსა და უნებისყოფო ადამიანს, რომელსაც სიცოცხლეზე ხელი აუღია და უპერსპექტივობის ბურუსში გახვეულა:

არ ვარგა სული ობოლი
შემკრთალი, შეშინებული

დაჩლუნგებული გონება
ძალ-ლონე დადუნებული...
ირემი — ჯდა მომტყრეული
და სპილო — ხორთუმ-ვნებული
კაცი, მეკორე, ტრაბახი,
ღიატა შედარებული
ოქრო და ვერცხლი-უხმარი
მიწაში უქმად დებული.

სად არის აქ, ან მის სხვა დანარჩენ ლექსებში პესიმიზმი, რომელსაც ასე უკიყინებდა „ივერიის“ ფურცლებზე განდევნილის თანამედროვე კრიტიკოსი ნასიძე?

განდევილი ფაქიზად ატარებს სამშობლოს წმინდა გრძობას. იგი ცდილობს შორს იდგეს ცხოვრების ქუჩყისა და ბოროტებისაგან. ცდილობს დაივიწყოს თავის ქვეყნის გულში დაგუბებული ოხვრა და სინამდვილიდან ოცნებაში გადაეშვას.

ფრთა შემასხა ტკბილ ოცნებამ
ცის სივრცეში ამაფრინა,
მზეს და მთვარეს შემაერთა
ვარსკვლავებთან მომცა ბინა.

განდევილი აქ დიდ ვაჟას გვაგონებს:

რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოველ წებმადა.
რომ ვყოფილიყავ მუღამა
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა.

განდევილი არასოდეს არ არის დამშვიდებული, იგი ყოველთვის მშფოთვარე და დაუდევარია. მას არ შეუძლია გულგრილად უყუროს თავის ქვეყნის ტანჯვას. ქვეყნის ტკივილები მან თავის საკუთარ ტკივილად მიაჩნია.

გულო ნუ ჰკვნესი, ნუ შფოთავ,
ნუ დამამსგავსებ სნეულსა,
ნუ მრმიშხამავ სიცოცხლეს,
— მღერას და სიცილს ჩვეულსა,
ნუ გამიწყვეტავ იმედსა
ნუ მომიჩქარებ სიკვდილსა

ნუ შეყვარდები ჩემსა საყვარელს
სულთ-მობრძავს ღონე მიხდილსა,

როგორც ვხედავთ, განდევნილის სულიერი სიმწვედი უშუალოდ თავის სამშობლოს ბედნიერებასთან არის დაკავშირებული.

დამწვედი შენსა სატრფოსა
გაუბრწყინდება გონება
და უიმედო მძვინკარსა
ისევ ის ჩაეკონება.

და განა აკაკი წერეთელმა ასე არ დახატა იმდროინდელი ჩვენი სინამდვილე, როცა საქართველო სნეულის მდგომარეობაში გამოიყვანა? „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და როდესაც გაიღვიძებს, ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს“.

განდევნილსაც ისე, როგორც აკაკის, ღრმად სწამს, რომ საქართველო კვლავ აღდგება, კვლავ გაიღვიძებს ეროვნული თვითშეგნება და სამუდამოდ განიკურნება მძიმე ჭრილობა. ამიტომ განდევნილი სასტიკად ილაშქრებს უიმედობისა და პესიმიზმის წინააღმდეგ. ერთ-ერთ თავის ლექსში „ახალგაზრდა პესიმისტს“ — ჰკიცხავს იმ ახალგაზრდას, რომელსაც ხელი ჩაუქნევია ცხოვრებაზე და სრულ სასოწარკვეთილებას მისცემია. პოეტს უკვირს, როგორ უნდა ჩიოდეს და წუწუნებდეს ახალგაზრდა ადამიანი, როგორ შეუძლია არ დაინახოს ამ ქვეყნიური სილამაზე. დადვიტად ძნელია, რა სიუხვით გიძღვნა ბუნებამ ენა მეტყველი, ჰკუა, გონება, ღვთისა ხატება. განა ეს ქვეყანა, ესოდენ ლამაზი და მომხიბლავი, ბუნებამ, ადამიანის ბედნიერებისათვის არ შექმნა, — ეუბნება მას პოეტი.

თუ არ კაცისთვის რისთვის არის ეს გაჩენილი
რას აქვს მსოფლიო ხელმწიფება, თუ არა შენა,
რას შეუძლია თავისი ფიქრი სიტყვად აქციოს
ტბილი ჰანგებით, ამეტყველოს გული და ენა.

განდევნილი იცნობს ცხოვრების განვითარების დიალექტიკის

კანონებს, იგი აღფრთოვანებს სულით დაცემულ ადამიანს, აღვიძებს მასში სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილს:

ნუ სტირ ძაშიავ, არ შეგშენის ასე ლაჩრობა
უჟკაცის ცრემლი ტყვია არის აღუღებული
აღსდევ, გამხნედი, მოიხმარე შენი უფლება
ღიაციც გჰავდეს, მაგრე მხდალი, აცრემლებული.

რა ძლიერი შთამაგონებელი ძალა აქვს პოეტი ქალის ამ უკანასკნელ სიტყვებს. ასე თქმა, მართლაც, მხოლოდ მხატვრული სიტყვის ოსტატს შეეძლო. ვფიქრობთ, ეს ლექსი განდევილმა თავის უახლოეს მეგობარს ცნობილ კრიტიკოსს ალ. ხანანაშვილს მიუძღვნა, რომელიც ამ დროს შორეულ ჩრდილოეთში იმყოფებოდა და სამშობლოს კერას მოწყვეტილი, სულიერ ობლობასა და უიმედობას განიცდიდა. განდევილი ხანანაშვილს წერდა: „მოხარული ვარ, რომ ცოტა ხნით მაინც გაგამხნევა ჩემმა წერილებმაო“. ცხადია განდევილი ამ ლექსშიც სწორედ ამ ნიჭიერ და ფუტკარივით მშრომელ ადამიანს გულისხმობდა, რომლის მარჯვენა ასე სჭირდებოდა თავის სამშობლოს.

განდევილი თავის ლექსში „პატიმარი“ — ასევე შესანიშნავად ხატავს თავის სამშობლოს დაბეჩავებულ მდგომარეობას, ქართველი ხალხის სულიერ ტრაგედიას.

ვაი, რა ძნელი ყოფილა
ნამუს-ახდილი მტერია...
ალარ დაგზოგავს პირშავი
ერთხელვე თუ მოგერია.

მაგრამ პატიმარი მაინც არ ჰკარგავს იმედს, არ ემორჩილება ბედის მწარე განაჩენს, რადგან იცის, რომ:

ვიცი მომივლენ შვილები
მკვდარს მაინც მიპატრონებენ,
არ დამფარავენ მტრის მიწით,
თავს არვის დაუმონებენ...
ოღეს დახედვენ ამ თეთრ წვერს,
ბევრ რამეს მოიგონებენ,
მამის მკვლელს პასუხს მოსთხოვენ
სიცოცხლეს დაუღონებენ.

სამშობლოს სიყვარულს მიუძღვნა განდევილმა თავისი შესანიშნავი პოემა — „შეჩვენებული“ (ჩერქეზების ცხოვრებიდან).

თავადის ქალი ჩერქეზი როშა განთქმულია თავისი სილამაზით, ბევრ ვაჟკაცისათვის აუძგერებია მას გული, მაგრამ ჯერ არავინ გამხდარა მისი ყურადღების ღირსი.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როშა დაიბარებს ჩერქეზ ვაჟკაცებს, აცნობს მათ თავის პირობას—რომ მისი ქმრობის ღირსი გახდება მხოლოდ ის, ვინც სამშობლოს დაიხსნის მტრისაგან და ვინც მას მოუტანს მტრის სისხლით შეღებილ მანდილს.

ჩერქეზები გაწყდნენ ბრძოლაში. ორმოცი ერთმანეთზე უკეთესი დააწვინა მტრის ტყვიამ, მათ შორის მხოლოდ ერთი გადარჩა, რომელმაც აიღო დაღუპულ ძმათა სისხლი.

გამარჯვებული ჭაბუკი ბრძოლის ველზე ეძებს როშას მანდილს, და ერთი ამხანაგის გულზე აღმოაჩენს. მძიმედ განიცდის გმირი ჭაბუკი. იგი უსიტყვოდ შესცქერის მიწაზე გართხმულ ჩერქეზ ვაჟკაცებს, თვალბზე ცრემლი ერევა, უხმოდ სტოვებს ბრძოლის ველს.

კოშკიდან ბალში ჩამორბის როშა. კარზე მომდგარ გამარჯვებულ ვაჟკაცს სიხარულით მიმართავს:

და უთხრა: ახლა სწორედ ღირსი ხარ
ჩემი სიტურფე ჯილდოდ გერგება.

მაგრამ დახეთ საკვირველებან, ნაცვლად ტკბილ მისალმებისა და ამბორისა, ჭაბუკი ხელს ჰკრავს დედოფალს:

—ღმერთმა მაშოროს! მიუგო გმირმა
შენ სიახლოვეს რომ მივეყარო
შორს ჩემგან ღეთისგან შეჩვენებულო,
გამცილდი თვალით არ დამენახო:
როგორ გაბედე ჩემი ძმის სისხლით
გასერილი ხელი ჩემს ხელს შეახო?!
სამშობლოს ხსნა და ბედნიერება
შენ არასოდეს არ გლომებია“*,

* „ივერია, 1894 წ., № 56.

ამრიგად ჭაბუკი ჰკიცხავს ცბიერ, პატივმოყვარე ქალს,
რომელმაც გაწირა საუკეთესო ჩერქეზი ვაჟკაცები.

რად მინდა შენი მშვენიერება
მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული,
თუ ეგ სიტურფე ყოველი მხრიდან
ცოდვით და სისხლით არის მოცილი.
გულით ბოროტმა შეუბრალებლად
ამდენი გმირი შეაკალ მტერსა
მაგრამ იცოდე, იმათი სისხლი
მოგეკითხება განკითხვის დღესა.

ამ სიტყვებით ჭაბუკი სტოვებს ჩერქეზთ დედოფალს!..

შესანიშნავია პოემის ფინალი. გავიდა წლები. დედოფლის
კოშკი ჩამოიქცა და ნადირთა და მხეცთა ბუნაგი გახდა... როშა
დაძრწის, ძვლებზე გადაკრული გამხმარი კანით. ერთ დროს
ცეცხლისმფრქვეველი თვალები ძლივსდა ბეუტავენ, ლოყე-
ბი შელეწილ ორმოს მიუგავს. ღამდამობით ესტუმრება ხოლმე
კოშკის ნანგრევებს, ხელში რაღაც უჭირავს და კითხულობს:
კაცთა სახელებს...

ასე დაგვიხატა განდგეილმა ცბიერი, პატივმოყვარე ქალი,
რომელმაც ხალხი ანაცვალა პირად ბედნიერებას.

განდგეილი დასცინის როშას დამსხვრეულ იმედებს.

ვიშ, ნეტარებაე,
სამეფო ტახტზე ჩერქეზი ქალი...
დღეს კერპი, მხოლოდ მშვენიერების
ხვალ, თვითმპყრობელი და დედოფალი.

განდგეილის პატრიოტულ ლექსებს უნდა მივაკუთვნოთ
ის ლექსებიც, რომელიც პოეტ ქალს მიძღვნილი აქვს ჩვენი გა-
მოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლებისადმი.

განდგეილი კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების გამ-
გრძელებელია და ამიტომ დიდი მოკრძალებითა და პატივის-
ცემით ეკიდება ამ ადამიანთა ღვაწლს.

ყველა ამ ლექსებში: ნ. ბარათაშვილს, ალ. ყაზბეგს,
რ. ერისთავს, გ. წერეთელს და სხვ. განდგეილი არაჩვეულებრი-

ვი გულწრფელობით მადლობას სწირავს თავის საამაყო წინაპრებს იმ პატრიოტულ გრძნობის გაღვიძებისათვის, რომელიც მათ ჩაუქრობელ ცეცხლივით დაანთეს ახალგაზრდა პოეტის გულში.

განდეგილი ფაქიზი პოეტია. მას ჰქონდა იშვიათი ინტუიციის უნარი ბუნების შეცნობისა და გაგებისა. ილიას, აკაკის და ვაჟას პოეზიაზე აღზრდილი პოეტი დიდი გემოვნებით და დიდი გრძნობით გადმოგვეცემს ბუნების ლამაზ სურათებს. იგი შეხარის დილას, ბუნების გაღვიძებას, რომელსაც მოაქვს სინათლე, სიხარული, სიცოცხლე!

დილა არის ცა ლაევარდი
მზის სხივებით იფერება
და ქურდულად მიმალულა
თვით მთვარე და ვარსკვლავთ კრება.
მობიბინე ვარდ-ყვავილი
გულ-მკერდს იშლის, იფურჩქნება,
გაიღვიძა მთა და ბარმაც
სამეჭლისოდ ეშხადება.
ველს გააკვივის იადონი,
ია კრთება, მორცხვობს, ნაზობს,
მას ნამს აფრქვევს კლდის ჩანჩქერი
მოცელქობს და მოკისკისობს,
მიჯნურივით გაუღიმა
ქვეყანამ ცას, ცამ ქვეყანას
და ორივე მწყობრად ჰგალობს
საამქვეყნო ამოცანას.
დღე მზე ნათობს, ღამე მთვარე
დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო,
თუ წყვილია არ გინახავს,
ფასს ვერ დასდებ სინათლესო.
ვინც წარსულ დროს სტირს და მოსთქვამს
ის აწმყოსაც ინანებსო,
მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს
მოელა უნდა საღს და მთელსო
მშვიდობის გზა — მთვარე-ვარსკვლავთ
ქებათ-ქება — მნათობ მზესო;
ვაშა, ვაშა, ბუნების წესს
რომ ნათელი მოსდევს ბნელსო*.

* განდეგილი, „ლექსები“, 1896 წ.

აქ განდევილი ბუნების შესანიშნავ სურათის აღწერასთან ერთად გვაძლევს სიცოცხლის დანიშნულების იდეასაც. პოეტს სჯერა, რომ ბუნება მართო საჭვრეტად კი არ არის შექმნილი, არამედ ადამიანისათვის არსებობის, მისი სიცოცხლისა და მოქმედების ერთგვარი საზომიც და განმსაზღვრელიც არის.

ასეთია განდევილის მსოფლმხედველობა, ასე ესმის მას ბუნების სიმშვენიერე, ამიტომ არის, რომ ზოგჯერ პოეტს ეწვევა სურვილი ბუნების წიაღში განავარდებისა, ცაში ფრენისა. იგი ნატრობს ლალი ფრთების შესხმას, რათა თავის გულისთქმა შეუერთოს ბუნების უკედავ სილამაზეს.

ამრიგად, დომინიკა ერისთავის ლექსები თავიდანვე მიმართული იყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ.

მაგრამ არა ნაკლებ ძლიერია განდევილი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ქართველი ხალხის ამოდებულ ხმალს იგი ვაჟკაცური, ომახიანი ლექსებით მიეგება და ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

განდევილს მთელი თავის არსებით სძულდა კაპიტალისტური სამყარო. სამშობლოს უმწეო მდგომარეობით გულდათუთქული პოეტი სასტიკად ილაშქრებდა მემამულურ-ბურჟუაზიული გავლენისაგან თავის დასახსნელად, რომელსაც პოეზიაში შემოპქონდა უიმედობა, უბერსპექტივობა, პასიურობა და ხობას ასხამდა ინდივიდს.

განდევილი არ დაცემულა სულიერად, არ მოქცეულა რეაქციული ჯგუფების გავლენის ქვეშ. იგი თანაუგრძნობდა თავისუფლების მგზნებარე მომღერალს, ირ. ევლოშვილს, რომლის ლექსები ბრძოლის ყიჟინას სცემდა. აი, როგორ მიმართავდა მას:

მოგესალმებით მგოსანო
სნეულს, სნეულის გულითა,
მეც უძლური ვარ, უარეს
უკურნებელის წყლულითა,
არ გავვიღიმა ყისმათმა,
გვიღედინაცვლა ღელამა,
უტები ჩანი ვასტება

სამშობლოს ბედის კედამა,
მაგრამ ეს სული ძლიერი
დასძლევს ბევრს სნეულებასა...
მოვსულვარ შენდა ნახვადა
თუ დამრთავ ამის ნებასა,

განდევილის ამ დროინდელ ლექსებზე უდაოდ დიდი გავლენა მოახდინა ახალი რუსული ლიტერატურის კორიფემ გორკიმ.

გორკის სახელი იმ დროს იმდენად პოპულარული იყო, რომ მას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაემჩნია თავისუფლების მოტრფიალე ქალის პოეზიაზე. მით უმეტეს მე-19 საუკ. 90-იან წლებში, როცა ქართველი ხალხი არაჩვეულებრივი ინტერესით ეწაფებოდა გორკის ნაწარმოებების თარგმანს ქართულ ენაზე.

იქ სადაც იხსენიება მაქსიმ გორკის საუკეთესო მთარგმნელები: ჭ. ლომთათიძე, ია ეკალაძე, ვანო გიუნაშვილი, ილია აგლაძე, და სხვ. მათ სახელებთან ყოველთვის მოიხსენიება გორკის თხზულებათა შესანიშნავი მთარგმნელი დომინიკა ერისთავი.

როგორც ყოველივე ზემო თქმულიდან ჩანს, დომინიკა ერისთავის პოეზია იყო თავის დროს ერთგვარი სულიერი სარკე. მასში აისახა თითქმის ყველა ის სოციალური ძვრები, რითაც ასე ჭარბად იყო დამუხტული XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის დამდეგი.

* * *

განდევილზე, როგორც ბელეტრისტზე, ჯერ კიდევ მისი თანამედროვე კრიტიკოსი მიხეილ ნასიძე წერდა:

„განდევილმა საკმაო ნიჭი გამოიჩინა მოთხრობების წერაში და რომ დასჯერდეს ამ სახელს ბევრად უკეთესი იქნება“. ე. ი. მიხეილ ნასიძის აზრით, განდევილი შემოქმედებით ნიჭიერებას უფრო ბელეტრისტიკაში იჩენდა, ვიდრე პოეზიაში.

ამ შეხედულებას ნაკლებად იზიარებდა მისი მეორე თანამედროვე კრიტიკოსი რომანოზ ფანცხავა, რომელიც თავის საკმაო ვრცელ წერილში აცხადებდა, რომ განდევილი უფრო ნიჭიერია პოეზიაში.

ხოლო თავის დროისათვის საკმაოდ პოპულარული კრიტიკოსი ილია ნაკაშიძე განსაკუთრებულ აღტაცებას გამოთქვამდა განდევილის პროზაულ ნაწარმოებებისადმი და მის პროზაში აქებდა ფორმას, ვიდრე შინაარსს. ილია ნაკაშიძე წერდა: „ფორმა და შინაარსი განუყრელი, განუშორებელი და-ძმანი არიან, რაც უფრო ბევრს ფიქრობს თავის თავზე რომელიმე მათგანი და მეორესთვის ის არ ზრუნავს, მით უფრო მეტი აკლდება მეორეს და მით მხატვრობასაც და მის ლირიკასაც.“

ქ.ბ. ნ. განდევილის ეტიუდებში კი, ჩვენ ვკვრეტთ, მხოლოდ ფორმას და ვერ ვკვრეტთ შინაარსს — სამწუხაროა“.

ასევე ილია ნაკაშიძე უსაყვედურებდა განდევილს ზედმეტ გრძნობიერებას, რომ იგი დიდ გავლენას განიცდიდა ფრანგ სენტიმენტალისტ მწერლებისას და ურჩევდა მას, მარგალიტების ფანტეისათვის თავი დაენებებინა და ისევე მარგალიტთა წყობისათვის მოეკიდა ხელი. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, პოეზიას გულისხმობდა, რომელიც მისი აზრით უფრო ემარჯვებოდა პოეტ ქალს.

როგორც ვხედავთ, ქართული კრიტიკა საკმაოდ ფართოდ ალაპარაკებულა მისი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის შესახებ, რაც თავისთავად განდევილის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

მართალია, განდევილი არ გამოსულა სამწერლო ასპარეზზე დიდი ბელეტრისტის პრეტენზიით, მაგრამ ამ მიმართულებითაც მან არა ნაკლები წვლილი შეიტანა ქართული პროზის განვითარების საქმეში.

თუ განდევილმა თავისი პირველი ლექსი 1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდა და უმაღლესი მიიქცია ჩვენი ქართველი საზოგადოების ყურადღება, დიდ დროს არ გაუვლია, რომ ამავე გაზეთში 1894 წელს მან გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი მოთხრობა „მუნჯი“. მის პირველ მოთხრობას მოჰყვა მთელი რიგი მოთხრობებისა, როგორცაა: „გოგია“, „მარინე“, „ფოთოლი“, „იოს კონა“, „ფერია“, „თვალეზი“, „კბილები“, „გვირგვინი“, „ფატმა“, „საშინელი ღიმილი“, „ურწმუნო ბოშა“, „მუშა“ და სხვა.

განდეგილის ყველა პროზაული ნაწარმოებები რეალისტურ-ხასიათისაა. მას აქვს იშვიათი მხატვრული თვალთვალის წერს ლამაზი ლიტერატურული ქართული ენით. ამავე დროს შესანიშნავად ეხერხება სიუჟეტის გაშლა, სრულყოფილი გმირების, ცოცხალი პერსონაჟების გამოძერწვა.

მრავალფეროვანია განდეგილი თემისა და იდეის შერჩევაში. მისი მოთხრობების კითხვის დროს განცვიფრებთ მწერლის შინაგანი კულტურა, ცხოვრების ღრმა ცოდნა.

განდეგილი კარგი ფსიქოლოგია. ამ ქარგაზე შექმნილი მისი ეტიუდები და ესკიზები დღესაც მაღალმხატვრული მნიშვნელობისაა.

განდეგილი ჰუმანისტი მწერალია, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ბელეტრისტი.

მისი ნაწარმოებები თუ ერთი მხრივ პატრიოტულ, სოციალურ საკითხებს გვიშუქებს, მეორე მხრივ არა ნაკლებ ადგილს უთმობს თავის შემოქმედებაში სიყვარულს, ოჯახს, მეგობარს. ადამიანის მიერ ადამიანის დაფასებასა და სხვა.

1897 წელს, როცა გამოქვეყნდა მისი პატრიოტული ხასიათის მოთხრობა „მარინე“, რომელშიაც მწერალმა ქალმა შესანიშნავად გვაჩვენა ქართველი ქალის გმირობა და მამაცობა, ორი აზრი არ ყოფილა იმის შესახებ, რომ დომინიკას სახით მწერლობაში მოვიდა ნიჭიერი ბელეტრისტი ქალი.

განდეგილი იცნობს სოფელს, გლეხის ფსიქოლოგიას. ამიტომ მის მიერ დახატული გლეხის — გოგია მართალადის სახე არის შესანიშნავი სურათი იმ დროინდელი გლეხკაცობის დუხჭირი ცხოვრების.

გოგია მართალაძე — ეს არის ბატონ ქაიხოსროს ერთგული მოჯამაგირე, რომელსაც თავისი სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია ბატონის გარეშე.

„როდესაც გლახ კაცთა განთავისუფლების სიომ დაჰკრა და ყველანი დიდის სიხარულით მიეგებენ ამ ბედნიერების საათს, გოგიას არამც თუ უხაროდა ეს ცვლილებები, პირიქით თავის თანამოძმეებს ეტყოდა ხოლმე, მოიცადენით ძმებო, აგრე ნუ ჩქარობთ, ვინ იცის რა მოჰყვება ამ ცვლილებებსო.

მე ღმერთმა ნუ მომიშალოს ჩემი მწყალობელი ბატონი,

ზანამდის ცოცხალი ვარ, როგორ მოეშორდები; რას ამბობ
ძმაო, მეფე სოლომონი ვარ, მეფე. აბა, იმას რა სჯობია, როცა
შუა ჭამაზე ჩემს ბატონის ცოლს ვახშამს მივართმევ და ისიც
მამაშვილური აღერსით მადლობას მეტყვის“.

განდეგილი დასცინის გლეხის უსუსურ მსჯელობას. დასცი-
ნის მის უმოქმედობას და სისუსტეს, აკრიტიკებს მის გონება-
შეზღუდულობას, რომელიც ჯერ კიდევ ბატონის მზეს ლოცუ-
ლობს და მის იქით ვერ ხედავს ახალი ცხოვრების გზას.

გოგია შეგუებულია თავის მდგომარეობას, დაუკარგავს ცხოვ-
რების უნარი, არ ეძებს თავის საკუთარ ბედნიერებას. განდეგი-
ლმა რომ უფრო მკვეთრად დაგვიხატოს იმდროინდელი გლე-
ხის ყოფა, გოგიასთან ერთად იგი სხვა გლეხებსაც გვიხასია-
თებს, რომელნიც შეჰხარიან გოგიას ცხოვრებას ნაბატონარის
კარზე და შურით შეპყურებენ მის უზრუნველყოფილ ცხოვ-
რებას და არც ერთი მათგანი არ ფიქრობს იმაზე, რომ გოგია
იტყუებს თავს, რომ ორ სხვადასხვა სოციალურ კლასს შორის
არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მეგობრობა და სიყვარული.

როცა ვლაპარაკობთ განდეგილის ბელეტრისტულ ნიჭზე
და მასზე როგორც მხატვარზე, არ შეგვიძლია არ შევეხებოთ
მის ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობას „ფერია“, რომელიც
ჩვენ ყურადღებას იპყრობს თავის ფილოსოფიურ-ფსიქოლო-
გიურ ხასიათით.

მოთხრობა ეხება სიყვარულის საკითხს.

◀ თვალწარმტაც სივრცეში მონავარდე ფერიას მოსწყინდე-
ბა უზრუნველყოფილი ლალი სიცოცხლე, ეშვება დედამიწაზე,
რომ სიყვარულით გაითბოს გული.

სიყვარულის მძებნელი მალე პოულობს თავისი სულის მე-
საიდუმლეს, სიყვარულის გამჩენი პოეტი ყოფილა, რომელსაც
შეძლება მისთვის სრული ბედნიერების მინიჭება.

მაგრამ გადის დრო და იწყება ქალის საშინელი ტანჯვა:
ცივდება პოეტის გული.

მარცხდება სილამაზისა და მშვენიერების ასული. სასოწარ-
კვეთილი ისევ ზეცას მიაშურებს.

„ყველა, ყველა ტყუის, მაგრამ ყველაზედ მეტად სტყუის

პოეტი, რომელიც მუდამ სიყვარულს ქადაგებს“. ასეთია აზნაწარმოების იდეა.

მოთხრობა აყვანილია უდიდეს მხატვრულ სიმალლემდე. იგი განდგეილის ბელეტრისტული ოსტატობის შესანიშნავი ნიმუშია.

განდგეილს აქვს მთელი რიგი ისეთი ხასიათის მოთხრობები რომელშიაც სასტიკად ილაშქრებს ქალის დაჩაგვრისა და მისი გრძნობების დაუფასებლობის წინააღმდეგ.

ასეთია „იის კონა“, „ფოთოლი“, „საშინელი ღიმილი“, „ფატმა“ და სხვ.

„შენ ვერ დააფასე ის წრფელი გული, რომელიც პირველად და უკანასკნელად მხოლოდ შენთვის ძგერდა... და ყველა ეს ჩაიღინე იმიტომ, რომ მამაკაცი იყავი, ცბიერი, გაუტანელი... თქვენ მამაკაცები აღელვებულ ზღვას ჰგევხართ, ზღვა მანამ ბობოქრობს, ყველაფერს თავის მღელვარე მკერდში იკრავს, მაგრამ გაივლის თუ არა ტალღა ისიც წყნარდება და ყველაფერს შორს ნაპირისაკენ სტყორცნის“ — ასე წერს სატრფომა ღალატით გულმოკლული ფატმა.

განდგეილი ჰკმობს ზნეობრივ სულმდაბლობას. დაღაღებს გრძნობის სიმტკიცეს, სპეტაკ სიყვარულს, რომელიც მას აუცილებელ პირობად მიაჩნია ჯანსაღი ოჯახის შესაქმნელად.

თავისებურად, ორიგინალურად გადაჭრილია მობერებულისი სიყვარულის თემა მოთხრობაში: „კბილები“.

სამოცი წლის გენერლის ქვრავს მარია ივანოვნას ქმრის დარჩენილ ქონებას ხელიდან აკლის ახალგაზრდა ოფიცერი.

მოხუცი ქალი ადვილად იჭერებს ახალგაზრდას ფიცს. მისი გულის მოგებისათვის და ყურადღების დამსახურებისათვის იგი ცდილობს თავის გალამაზებას და იწყებს კბილების გაკეთებას. მაგრამ ცხოვრება დასცინის მას. მარია ივანოვნა მსხვერპლად ხდება ახალგაზრდა ოფიცერის მოსახიბლავად გაკეთებულ კბილებისა.

„ჰო, კბილები, კბილები დიდი რამ ყოფილა კბილები. შემცდარია ვინც თქვა: თვალებია დამამშვენებელი ადამიანის სახისაო... თვალები კი არა, კბილები ყოფილა დამამშვენებელი და დამაბრმავებელიც. კბილებს ბევრი რამ შესძლებია, ბევრი

ქალიან ბევრი“, — წერდა დ. ერისთავი. და აი, როდესაც მიცვალებული ქვრივის კარებთან გაკვირვებული ხალხი კითხულობს, რანაირად და რა უფლებით ჩაიგდო ხელში ამ ქვრივის ქონება ოფიცერმა, მას ხომ ჯვარი არ ქონდა დაწერილიო, „იმ უფლებით, რომ კანონიერი ქალაღდი ხელში ჰქონდაო“ პასუხობს ხალხი.

განდევილი დიდი რეალისტური დამაჯერებლობით გვიხატავს მოთხრობაში „ურწმუნო ბოშა“ — იდეებისა და რწმენის აპოლოგიას.

განდევილი ამ მოთხრობაში ამარჯვებინებს დიდი რწმენის მატარებელ ადამიანს, რომელსაც სჯერა საზოგადოებრივი განვითარების კანონები...

ნაზარაღევის პიროვნების დახატვით — მწერალმა გვიჩვენა დიდი რწმენისა და ნებისყოფის ადამიანი. ხალხი ყოველთვის მასთან არის, ვინც პროგრესულ იდეებს ქაღაგებს.

დიღია ამ მოთხრობის მხატვრული ძალა. არასოდეს არ მარცხდება მეტრძოლი ადამიანი, მისი რწმენა და იღეა.

დომინიკა ერისთავი ავტორია შესანიშნავი საბავშვო მოთხრობებისა. მწერალი ქალი კარგად იცნობს ბავშვთა სამყაროს, წერს საღა და მათთვის გასაგები ენით. განდევილი თავის საბავშვო მოთხრობებში აქსოვს დიდ ჰუმანურ იდეებს. ასწავლის ბავშვებს მეგობრობას, ურთიერთ სიყვარულსა და პატივისცემას, უფროსების დაფასებას, სიკეთის დანერგვას.

„ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“ ხშირად შეხვდებოდით განდევილის საღა და თბილ მოთხრობებს. თავის ერთ საბავშვო მოთხრობაში, რომლის სათაურია „ბეკეკა“, განდევილმა სასტიკად გაილაშქრა განებივრებული თავადების წინააღმდეგ, მთელი ცხოვრება მხოლოდ თავის სიამოვნებისათვის რომ უნდათ.

ბატონს სააღდგომოდ ბატკანს მიართმევენ. ბავშვი არაჩვეულებრივი აღერსით თავს დაჰკანკალებს პატარა ბატკანს. ბატონს და ქალბატონს კი გადაწყვეტილი აქვს სააღდგომოდ სწორედ ეს ყველაზე პატარა ბატკანი დაჰკლან.

მწერალი გვიამბობს ამით გამოწვეულ ბავშვის სინანულს პატარა ცხოველისადმი.

„— დედა, რატომ უთუოდ პატარა ბატკნებს ჰკლავენ და დიდ ცხვრებს არა?!

— იმიტომ, რომ პატარა უფრო გემრიელია, დიდებსაც ჰკლავენ განა არა, — მიუგო დედამ.

ბავშვი კარგა ხანი იყო გაჩუმებული.

— მერე მე რომ მომკლას ღმერთმა, პატარაა და გემრიელიაო!

— დაჩუმდი შე საძაგელო, შენა...— გაშფოთებით წამოიძახა ნიკას დედამ და მთელ ტანში ყრუანტელმა დაუარა. .

ამ პატარა ბავშვის სიტყვებით მწერალმა ბევრი რამ თქვა. პატარები როდი გრძნობდნენ დაბეჩავებული გლეხკაცების ცხოვრებას, ფუფუნებასა და განცხრომაში გაუგებარი იყო გლეხის ტკივილები.

განდეგილმა შესანიშნავად გვიჩვენა, თუ როგორ აღელდა ბავშვის დედა, როცა მან წარმოიდგინა, რომ სიკვდილს შეუძლია მოსტაცოს შვილი.

ასევე კარგია მისი მოთხრობა „ორი მეგობარი“, რომელიც გვიჩვენებს ღარიბი გლეხის შვილის სიღუბნეობას.

პატარა თომა ობოლია. დედა სარეცხის რეცხვით ინახავს შვილს. თომას სკოლაში პურის ნაჭერი მიაქვს. ცუდლუტი ამხანაგი ნიკო ხუმრობით პურს პარავს მას, მაგრამ როცა გაიგებს, რომ თომას მეტი პური აღარა აქვს და დედაც პურს ვედარ დაახვედრებს შინ, შეწუხდება და მეორე დღესვე გამოუტყდება ამხანაგს თავის დანაშაულში.

განდეგილი ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო მოთხრობების და ზღაპრების თარგმანებზე. მის მიერ თარგმნილია კუპრინის მრავალი მოთხრობა, მარკიზ სონიესის „ესკიმოსის დედაკაცი“, ნ. ტელეშოვის „თეთრი ყანჩა“ და სხვ.

ამრიგად, განდეგილმა საბავშვო ლიტერატურაშიც თავისი სიტყვა თქვა და მრავალი კარგი მოთხრობა შესძინა ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურას.

განდეგილი საინტერესო ბელეტრისტია. მისი შემოქმედება ატარებს თავისი დროის, თავისი ეპოქის უტყუარ ბეჭედს და ამაშია სწორედ მისი დიდი დამსახურება.

განდეგილი ფართო განათლების და დიდი ერუდიციის ადამიანი იყო. ბუნებით თანდაყოლილ ნიჭს ხელს უწყობდა მისი შრომის უნარი და კოლოსალური ენერჯია.

მრავალფეროვანსა და საინტერესო მოღვაწეს შესანიშნავი მთარგმნელის სახელიცა ჰქონდა.

განდეგილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხო ენებიდან ნაწარმოებთა თარგმნას და ასევე დაინტერესებული იყო თავის მშობლიური ეროვნული ლიტერატურის თარგმნით სხვა ენებზე. ამის ჭეშმარიტ მაგალითს წარმოადგენს მისი ერთ-ერთი წერილი, სადაც შესანიშნავად არის გამოხატული მხატვრული თარგმანის მნიშვნელობა ხალხების ურთიერთ გაცნობისა და დაახლოვების საქმეში.

„სახალხო ფურცელში“ განდეგილი წერდა: „საუბედუროდ სხვები ძალიან ცოტად იცნობენ ჩვენ მწერლობას. ვისი ბრალია ეს?! ეჭვგარეშეა ჩვენი. სხვებს არავითარი საშუალება არა აქვთ გაეცნონ ჩვენ მწერლობას, რადგან არ იციან ჩვენი ენა, იქნებ გვიკიჟინონ, თუ სურთ კიდევაც შეისწავლიან ქართულსა, მართლაც თუ მოისურვებენ, რასაკვირველია შეისწავლიან, მაგრამ საქმე ისაა, ასეთი სურვილი რაიმე აღუძრათ სხვებს...“

მერე ვცდილობთ ჩვენ ამას?! არასოდეს... თამამად ვიტყვი, რომ არც ერთ ქართველს არ შეუწყუხებია თავი და მამამშვილურ წმინდა მოვალეობად არ მიუჩნევია ჩვენი მწერლობის ჩაღრის ჩამოხდა და საქვეყნოდ გამომზეურება.“

ამრიგად, განდეგილი დიდათ დაინტერესებული იყო უცხო ლიტერატურის მშობლიურ ენაზე თარგმნით და ჩვენი ეროვნული კულტურის აყვავებით.

განდეგილი გულისტიკივით აღნიშნავს ამ მხრივ ჩვენს სისუსტესა და ჩამორჩენილობას, კატეგორიულად მოითხოვს მშობლიურ ლიტერატურის თარგმნას უცხო ენებზე.

განდეგილი არასოდეს არ ყოფილა ნაციონალისტი. იგი ყოველთვის პატივს სცემდა და აფასებდა სხვა ერების კულტურას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ასე ნაყოფიერად მუ-

შაობდა მთარგმნელობით დარგში. მან ბევრი კარგი თარგმანი შესძინა ჩვენ კლასიკურ ლიტერატურას.

განდეგილი თარგმნიდა ჰეინესს, რილენესს, პოზდნიაკოვს, გრიბოედოვს, გორკის, ტოლსტოის, კუპრინს, მარკიზ სონიეს, ნ. ტელეშოვს და სხვებს.

მაგრამ მთავარი რითაც განდეგილმა ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, ეს იყო ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ ლექსად თარგმნა.

ა. გრიბოედოვის ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა არა ნაკლები მყარი ნიადაგი ჰპოვა ჩვენში.

განდეგილი გაიტაცა ამ კომედიის მოწინავე იდეებმა. ჩაცკის სახით მან ახალი ადამიანი დაინახა, რომელიც ებრძოდა მეშხანობის ჭაობში ჩაფლულ მეფის ბიუროკრატიზმს.

პირველად გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ თარგმნა ქართული თეატრის ფუძემდებელმა გიორგი ერისთავმა დაიწყო.

1863 წელს „საქართველოს მოამბის“ ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებში დაიბეჭდა მისი ნათარგმნი. „უბედური ჭკუისაგან“ — ასეთი სათაურით. ისიც მხოლოდ პირველი და მეორე აქტი.

დანარჩენი გიორგი ერისთავს აღარ უთარგმნია. უფრო ადრე „ვაი ჭკუისაგან“ ქართულ ენაზე პროზად თარგმნა გრიგოლ წინამძღვრიშვილმა. ეს თარგმანი ცალკე წიგნად გამოვიდა 1853 წელს.

წაბოლოოდ კი, ეს ნაწარმოები მთლიანად სრულყოფილად თარგმნა დ. ერისთავმა.

პირველი კრიტიკოსი, რომელიც გამოეხმაურა განდეგილის თარგმანს იყო ხახანაშვილი. მისი წერილი განდეგილის თარგმანზე დაიბეჭდა „რუსკიე ვედომოსტში“, სადაც ხახანაშვილი უსაყვედურებს ახალგაზრდა ქალს ამ ნაწარმოების თარგმნას სასკოლო გამოცემიდან.

განდეგილი აღუშფოთებია ხახანაშვილის უმართებულო პრალდებას და ახსნა-განმარტებისათვის წერილით მიუმართავს.

„შენ რომ ლაზათიანად გამლანძღე „რუსკიე ვედომოსტში“ ძალიან მაწყენინე ამით, რომ არ იცოდი ჩემი თარგმანი და ისე უბრალოდ აპყევი „კვალის“ სისულელეს, — წერს ის.

„კვალში“ ის დაიბეჭდა, რაც ჩვენმა უმეცარმა არტისტებმა წამოროშეს სცენაზე, ხოლო ნამდვილის გადასინჯვა ველარ მოიფიქრეს. შენ აიღე და ამით ისარგებლე. მე რასაკვირველია, არც ერთი არ მიკვირს; რადგან ასეთი ბედი მაქვს, რომ ყველას უნდა ჩემი ნაშრომი არაზაობად ჩაატაროს, მაგრამ ღვთის წყალობით იმდენს ვეცდები, რომ ყველას შევანანებ ჩემს მტრობას და ბოლოს მაინც ამ მხრივ ქედი მოიხაროს ჩემს წინაშე. ამისათვის მე ყველაფერი შემწევს სიყმაწვილე. სიმართლე, ჭკუა, შრომისმოყვარეობა და ზნეობრივი სიწმინდე „Горе от Ума“ — ისე ვერ გაუგია განდევნილს, როგორც საჭირო იყო, — შენ სწერ. არა, მე კი გავიგე როგორც საჭირო იყო და კიდევ გადავთარგმნე ისე, რომ იქნებ ბევრი კიპლინგიც ვერ გადათარგმნიდნენ, მაგრამ უვიცმა და მხეცებმა ვერ გაიგეს, თავისი ჩემად გადაამახინჯეს და იმათ მაგიერ მე გავილანძლე, ისიც კიდევ რუსულ გაზეთში.

რა აზრი უნდა შეადგინოს ჩემზე რუსის ხალხმა. ეს თარგმანი, ხომ დაიბეჭდა, ხომ ნახეს ყველამ როგორი ნათარგმნია და მაშინ რაღა მექნება სათქმელი.

მე მარტო ის კი არ მწყინს, რომ უსამართლოდ მომიხსენიეს, არა, ის მწყინდა, რომ ნამდვილი თარგმანი გენახა და ისე დაგედო მსჯავრი. რაც შეეხება იმას, რომ სასკოლო გამოცემიდან არის ნათარგმნი, აქაც შეცდომაა. მე მშვენივრად შეეასწორე, ნამდვილად, ან რატომ გგონია, რომ ასეთ შრომას თითის წვერებზე მოვიგდებდი, არ შევადარებდი ვრცელ გამოცემას“.

განდევნილი ხახანაშვილისადმი მიწერილ წერილით არ დაკმაყოფილებულა. იგი სთხოვს „კვალის“ რედაქციას დაბეჭდოს მისი განცხადება და სინამდვილის წინაშე დააყენოს შეცდომაში შეყვანილი ქართველი საზოგადოება.

ყოველივე ამას გაცხოველებული ინტერესი გამოუწვევია განდევნილის თარგმანისადმი. რასაც კიდევ უფრო შეუწყვია ხელი მისი ცალკე წიგნად გამოცემისათვის.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ დღემდე ლიტერატურულ კრიტიკაში განდევნილის „ვაი ჭკუისაგან“ თარგმნის თარიღად მიღებულია 1902 წელი. ეს არ არის სწორი. 1902 წელს იგი ცალკე

წიგნათ გამოვიდა. გრიბოდროვის კომედია კი განდევილმა თარგმანა 1898-1899 წლებში, რომელიც ნაწყვეტებად სისტემატიურად იბეჭდებოდა „კვალში“.

აქაც გვინდა მოვავაგონოთ მკითხველს, რომ 1902 წელს განდევილის ცალკე წიგნათ გამოცემულ თარგმანს რედაქტორობს ი. ქავჭავაძე.

განდევილმა გააპართლა ილიას ნდობა. ახალგაზრდა ქალის ეს სერიოზული შრომა დიდი სიყვარულით მიიღო ქართველმა ხალხმა და აქ იყო სწორედ მისი გამარჯვება.

„ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს თბილისის ქართულ თეატრში დაიწყო ქართული წარმოდგენის წლებგანდელი სეზონი. წარმოდგენილი იქნა გრიბოდროვის საბოლოო კომედია „ვაი ჭკუისა“. პირველათ ლექსით ნათარგმნი ქ-ნ განდევილისაგან, წინათაც გაგვეგონა კარგი ენით და კარგი ლექსთ წყობით არის ნათარგმნიო და ახლა შეძლება მოგვეცა შეგვემოწმებინა ეს ხმებიო...“

საზოგადოება ბლომად დაესწრო. ქალბატონი მთარგმნელი განდევილი რამდენჯერმე გამოიწვიეს და ტაშის ცემით დააჯილდოვეს“.

და დღეს, როდესაც ამ თარგმნის ღირსებაზე გვიხდება ლაპარაკი, უნდა ავღნიშნოთ, რომ განდევილმა ბრწყინვალედ დაიცვა ქართულ თარგმანში კომედიის მთავარ მომქმედ პირთა სალაპარაკო ენა. ყოველ მის მოქმედ პირს ახასიათებს ენის თავისებურება, ყოველი მოქმედი პირი ლაპარაკობს თავისი დამახასიათებელი ენით, რომელშიაც შესანიშნავად მოჩანს მისი პროფესია, ხასიათი, გამოვნება, ჩვევები.

მაგალითად, ჩაცკის ენა—ეს არის მაღალი კულტურის მატარებელი ადამიანის ენა, ის გამოირჩევა თავის მოსწრებული სიტყვა-პასუხით, აზრების სიძლიერით, მახვილი კრიტიკით.

მოლჩალინის ენა კი ეს არის ვიწრო მეშჩანურ-ჩინოვნიკური, ნამდვილი მლიქვნელის ენა, რომლის მიზანია, სხვისი სიამოვნება და მშვიდი, აუღელვებელი ცხოვრება.

სკალაზუბის ენა — ეს ოფიციალური სამხედრო ადამიანის

* „კვალი“, 1900 წელი, № 43., გვ. 683.

ღამახასიათებელი ენაა, რომელიც სავსებით განსხვავდება ყველასაგან.

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ თუ ა. გრიბოედოვის ამ კომედიის მთელ ღირსებას ხედავდნენ მის ხალხურობაში, განდგომილად მტკიცედ დაიცვა კომედიის ეს დადებითი მხარე.

განდგომილის ენა მსუბუქი, გასაგები და ხალხურია. რითმის ელერადობა მუსიკალური და ისევე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად იკითხება, როგორც დედანში.

მაგალითისათვის მოგვყავს ზოგი ადგილები განდგომილის თარგმანიდან.

ფაშუსოვი

„საქმეც ეგ არის, რომ კუდაბზიკობთ
და უფროსთაგან არაფერს სწავლობთ:
რას აკეთებდნენ თქვენი მამები,
როდი დაეძებთ, არც კი ჰკითხვობთ!
ჩვენ, მაგალითად ან და ბიძია
მაქსიმ პეტროვიჩს, სულგანათლებულს,
ოქროს ჭურჭლებით აქმევდნენ საქმელს
ვინ შეჰკადრებდა იმას ეერცხლეულს!
მუდამ თავს ადგა ასი მსახური,
სულ ჭილდოებში იგი ჩამჭდარი
მიჰქრი-მოჰქროდა და იმისათვის.
სულ ღია იყო სასახლის კარი;
წინანდელი დრო ახლანდელს არ ჰგავს!
ეკატერინე ხელმწიფეს ახლდა
და სუყველანი მას სცემდნენ თაყვანს*“.

ჩაცკი

თითქო ჭეყანა გასულელდაო,
გულის ტკივილით უნდა აღნიშნოთ,
რა სათქმელია, რომ უწინდელ დროს
ეს ეხლანდელი დრო შეადაროთ?
როცა განსჭვრიტავთ ძველ და ახალ დროს
და ერთმანეთსა მათ შეადარებთ, —

* „ვთი კუისაგან“, 1929 წ., სახელგამი, გვ. 36—38.

სულ ახალია ეს გადმოცემა
 ცხადია, მაგრამ ვერ კი იჭერებთ.
 მას აღიღებდნენ!, რომლისაც ქუდი
 უფრო ხშირ-ხშირად ძირს იხრებოდა,
 ვისაც უომროდ მოსვენების დროს,
 ცხოვრების ბურთი შუბლით გაჰქონდა...
 იატაკზედაც თავს დაარტყამდნენ,
 თუ კი საჭირო შეიქნებოდა
 თუ კი უქირდა თვით ლატაკიც კი
 თავს იწონებდა ტოლი არ ჰყავდა,
 მაგრამ თავისთან უფრო მაღალთან
 ქება-დიდებას ხლართავ-ქსელავდა.
 მონობისა და შიშის დრო იყო,
 ამით იჩენდნენ მეფის სამსახურს...
 მე ბიძა თქვენზე არ მოგახსენებთ,
 ნუ შევაწუხებთ გარდაცვალებულს!
 მაგრამ ჩვენს დროში ვინ მოისურვებს
 თუნდაც სხვისი ყმა, ან მონა იყოს,
 რომ ხალხის სიცილს დაუნანებლად
 თავისი შუბლი მსხვერპლად შესწიროს?!
 მათი ტოლნი კი, მოხუცებულნი,
 სხვის ამალგებას, როცა ხედავდნენ,
 „ნეტავ მე მქნანო“—ამბობდნენ ოხერით.
 და თავის ქერქში შურით დნებოდნენ.
 თუმცა სულმდაბალთ ახლაც ბევრს ნახავთ,
 მაგრამ ამ გვარებს ყველა დასცინის
 და ღირსიც არის, თუ უფრო უხვად
 არ ებოძებათ მათ ჯილდო მეფის...“

ჩაუცის და ფამუსოვის ეს დიალოგი შესანიშნავად გვიჩვენებს
 ორი სხვადასხვა შეხედულებების მატარებელ ადამიანებს.
 ჩაუცი დასცინის ფამუსოვს, მის წრეს და იმ საზოგადოებას.
 რომლებიც ჩინ-მედლებსა და წოდების გულისათვის ჰკარგა-
 ვენ თავის ღირსებას და მზად არიან მეფეს მასწარადაც კი გაუ-
 ხდნენ, ოღონდაც განცხრომასა და ფუფუნებაში იცხოვრონ.

ჩაუცისათვის უცხოა ფამუსოვის იდეალები, რომელიც
 მხოლოდ მეფის სამსახურში ხედავს სრულ ბედნიერებას, და
 ახალგაზრდა ჩაუცის ურჩევს სახელისა და წოდების მოპოვები-
 სათვის მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდნენ მისი წინაპარნი.

ახლა ვნახოთ, თუ როგორი სიძლიერითაა ნათარგმნი ჩაცკის ბრწყინვალე მონოლოგი IV მოქმედებიდან, როდესაც ჩაცკო პროტესტს უცხადებს მის თანამედროვე საზოგადოებას და სამუდამოდ სტოვებს მოსკოვს.

ჩაცკი

„ნუ გეშინიათ, ქალს აღარა გთხოვთ,
სხვას გამოსძებნით ჩემზე უკეთესს,
მდაბლად ქედს მოხდილს, უფრო ღირსეულს,
რომ სუყველაფრით სიმამრსა ჰგავდეს.
ჰა, გამოფხვნილდი, თვალთ ამეხილა,
გაჰქრა ოცნება და შავი ნისლი,
აწ დაჰქრა ჟამმა, გადმოვანთხიო
შეგუბებული ნაღველ-შხამ-გესლი?
ეტყორცნო ისარი მამას, ქალიშვილს,
და ბრიყვ სიყვარულს, ვისზეც გამცვალა,
დავგმო სიმუხლთე წუთი სოფლისა
და სიმართლის წილ, მოეცხო სამსალა.
ვისთან ვიყავი? სად ჩამოვედი?
სულ-ყველა მღვენის, ყველა მაგინებს!
მთელი ბრბო მტანჯავს და სიყვარულშიც
ვხედავ გამცემელს და მოღალატეს!...
სიცრუე, შური, გესლიანობა
ძვალ-რბილში უზის აქ ბერიკაცებს
და ბებრუხუნაც, ლაშ-ახეული,
ერთ ჭორის გუდას ათასად აქცევს...
გოჟი მიწოდეთ? მართალიცა სთქვით
თქვენთან რომ ერთ დღეს კაცმა იცხოვროს
თუ არ გაგოდა, იმასაც შესძლებს,
რომ ცეცხლის ალში უვნებლად განელოს...
შორს მოსკოვიდან! ნუთუ ცის ქვეშე
ერთს კუნჭულს ვერსად ვიპოვი ნეტა,
სად დევნილ გრძნობას შევაფარებდე,
კარეტა ჩქარაი ჩემი კარეტა!“

იძლევა თუ არა თარგმანის ეს ადგილი შთაბეჭდილებას ჩაცკის სრულყოფილ პიროვნებაზე, ქართველი მკითხველი დაინახავს თუ არა მასში ახალი დროის, ახალი კლასის გმირს, რო-

შელიც გაცილებით უფრო შორს იყურება, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდათ მის თანამედროვეთ. ჩაკვი ხომ გულისტკივილით განიცდის თავის ქვეყნის ეროვნული მაჯისცემის მოდუნებას, რუსეთის საზოგადოების უსუსურობასა და არარაობას. ცხადია, შთაბეჭდილება ისეთივეა, როგორც ეს აქვს გრიბოედოვს თავის კომედიაში.

ამ თარგმანს დღესაც არ დაუჯარგავს თავისი მნიშვნელობა. საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი ორჯერ იქნა გამოცემული. უკანასკნელად 1945 წელს.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგაც, როცა მოდუნდა ჩვენი საზოგადოებრივი მაჯისცემა, როცა ლიტერატურაში თავი იჩინა დეკადენტურმა განწყობილებამ და არა ერთი და ორი მწერლის კალამი ჩამოაშორა ცხოვრებას, განდევნილი შემოქმედებას და თარგმნებს მაშინაც კი არ მოჰკლებია ბრძოლის ყიყინა.

სწორედ ამ პერიოდში თარგმნა მან რუსეთის დიდი რეალისტი მწერლის ტურგენევის ნაწარმოები „ბჰესთან“.

ამ პატარა მოთხრობაში ნაჩვენებია რუსი ქალიშვილის მტკიცე ნებისყოფა, მისი უდრეკი ხასიათი, მისი პრინციპულობა. რომლისთვისაც თვით სიკვდილიც არაფერია.

ახალგაზრდა ქალი დგას კარის ბჰესთან, რომლის იქით სიკვდილია.

იდუმალი ხმა ეუბნება მას:

„იქნებ არ იცი — შეეკითხა კვლავ ხმა, რომ შეიძლება რწმენა შეიცვალო იმაზე, რაც ეხლა გწამს, შეიძლება დარწმუნდე, რომ მოსტყუვდი და ტყუილად დაღუპე შენი ნორჩი სიცოცხლე?“

— ეგეც ვიცი!

— შემოდი!

ქალწულმა გადააბიჯა ბჰეს.

მძიმე ფარდა დაეშვა...

— სულელი! — კბილთა ღრქენით წაილაპარაკა ვილატამ.

— წმინდანი! — საიდანლაც გაისმა საპასუხოდ“...

ტურგენევის ეს პატარა, მაგრამ ბევრის მთქმელი მოთხრო-

ბა, ასწავლის ადამიანს ბრძოლას, რაზმავს მას ახალი სამყაროს შესაქმნელად.

ამავე პერიოდს დაუკავშირა მან აზრისა და სიტყვის გაუმეორებელი ნოვატორის, მაღალი სულის ადამიანის და თავის ქვეყნის დიდი მოქალაქის მ. გორკის ერთ-ერთი მოთხრობის თარგმნა.

განდევილის გატაცება გორკის შემოქმედებით ჩვენ არ გვაკვირვებს, სწორედ 90-იან წლებში გამოჩნდა გორკი, როგორც ბურჟუაზიულ-რეაქციონურ და დეკადენტური ლიტერატურის წინააღმდეგ მებრძოლი. მან პირველმა მოითხოვა ლიტერატურის ცხოვრებასთან სიახლოვე. 1900 წლებშივე თავის შესანიშნავ ნაშრომში „პიროვნების დაშლა“ გორკმა გვიჩვენა კაპიტალისტური წყობილების საზიზღარი სახე, რომელიც შლიდა და ანადგურებდა ადამიანს.

ამ დიდი ჰუმანური იდეების ქომავს იცნობდნენ საქართველოშიც. 1891 წელს იგი პირველათ ესტუმრა საქართველოს. ქართველი ხალხი პატივს სცემდა მას. „მაკარ ჩუღრას“ თავისუფლების იდეები, მისი „ქალიშვილისა და სიკვდილის“ ოპტიმისტური ძალა უკვე ჰკვებავდა ქართველ საზოგადოებას. გორკის შემოქმედებაში ხედავდა იგი ახალ ადამიანებს, დიდი სულიერი და ურყევი ნებით, რომელთა მიზანი ახალი ცხოვრების შექმნა იყო.

და აი სწორედ ამ დროს „ცნობის ფურცელში“ განდევილი ბეჭდავს მ. გორკის მოთხრობის „ძალი“ ქართულ თარგმანს*.

ამ პატარა მოთხრობაში დიდი სიძლიერითაა გამოხატული რეაქციის წლები. მაშინდელი საზოგადოების სულიერი განწყობილება და განსაკუთრებით დახასიათებულია ამ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ხელს უშლიდა რევოლუციის წინსვლასა და აღმავლობას.

„მოლურჯო მწუხრი გამკვირვალედ ეფინებოდა ველს. მთელ დღეს მზის სხივისაგან გახურებული დედამიწიდან მძიმე, თბილი სუნი ადიოდა. დაღვრემილი წითულა მთვარე ნელად ამოდის, თევზის მაგვარი შავი ღრუბელი უძრავად გაჩუმე-

* „ცნობის ფურცელი“, 1906 წ., №. 3003,

ბულიყო ჰორიზონტზე, შუა აპობდა მთვარის დისკოს და მთვარეც სისხლით საესე ოთხად მოჩანდა.

მინდვრით მივდიოდით პატარა მძინარე ქალაქისაკენ და ვხედავდი, როგორ თანდათან ჰქრებოდა საყდართა გუმბათებზე ამართულ ჭვართა სხივოსნობა. არახელსაპყრობი რალაც უცხო ხმა, ხოლო ბნელ, მტვრიან გზაზე მიდიოდა ძალლი, კუდლაშვებული, ენაგადმოვარდნილი და თავმორაცრაცე, პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა; შეხედავდი ხანდახან როგორ შეაბერტყავდა ხოლმე აბურძგულ თმებს. იმის აუჩქარებელ სიარულში რალაც სიღინჯე, მზრუნველობა იხატებოდა, თვითონ კი, — საცოდავს, მშიერს, ისე მეჩვენა რალაც მტკიცედ და სამუდამოდ გადაეწყვიტა. წყნარად დავუსტვინე და ჩემთან მოვიყვანე. ძალლი შეკრთა, ჩაჭდა, თავი მალლა ასწია, თვალეზი მტრულად გააელვა, კბილები ღრჭიალით დამიღრინა და როცა მე გავემართე იმისკენ, ძალლი მძიმედ ადგა, თვალეზი უსიცოცხლოდ დააბრიალა, ჩახლეჩილის ხმით დაიყუთა, გზიდან მინდვრისაკენ გადაუხვია და ბირკებით გადაჭრელებულ კუდს აქიციებდა. მივჩერებოდი მიმავალ ძალლს. მინდვრის გზით მარტოდ მარტო მიდიოდა მწუხრით მოფენილ მყუდრო ველზე პირდაპირ ცაე და ავის მომასწავლებელ მთვარის წითელ შუქზე.

ორისა თუ სამის დღის შემდეგ ხელახლა ვნახე ეს ძალლი. იგი დელის პირად, ბუჩქის ძირში ეგდო. თავს გამალეებული დასტრიალებდნენ დიდრონი შავი ბუზები, დასცოცავდნენ იმის მკვდარ თვალეზზე, უძვრებოდნენ დაღებულ პირში, ბზუოდნენ და ადი-დადიოდნენ იმის ტანზე. კისერ წაწვდენილს ძალლს ყვითელი კბილები დაედრიჭა და იმის მიმქრალი, ამოშრეტილი თვალეზი უძრავად მიშტერებოდნენ ქალაქის მხარეს. ცაზე გადაპენტილი ღრუბლიანი ნაფლერთები დასკურავდნენ, მზის სხივებზე ცელქობდნენ, მიწაზე ოდნავი ჩრდილი დასრიალებდა და ეს ცისა და ქვეყნის შუა უსიტყვო საუბრის მსგავსი რამ იყო, ხანდახან ძალლის მძორს ღრუბელთა ჩრდილი გადაეფარებოდა და ამ დროს იმის მრისხანე, შორს, ქალაქის მცხოვრებთაკენ გამყურე თვალს მუქი ფერი გადაკვროდა.

მე ვუთხარი მკვდარ ძალლს:

— ქება შენდა! შენ ცხოვრობდი ადამიანებთან და განშორ-

დი იმათ, რათა მატრო მომკვდარიყავ, შენ არ ისურვე შეგებლა-
ლა ადამიანი სიცოცხლეშივე შენის გახრწნის ნახვით, ამაყი
იყავ და არ იკადრე, რომ შენ, მხიარული და კეთილი ძალლი,
ენახე იმათ დაბერებული, სნეული, მსდალ მუქთა მკამელად,
რომელიც წარსულით მოგონებით-ლა ცოცხლობს, და ხალხთა-
გან შეურაცხყოფელ სიბრაღულით სულდგმულობს. ქება
შენდა იმიტომ, რომ შენ არ წაბილწე ცხოვრება ხრინწიან, ცრუ,
ბებრულ თავმოყვარულის ყეფით, ბრიყველ-ბუზღუნით ულო-
ნობით გაბრაზებულ პირუტყვისა, რომელიც სიბერისაგან სულ-
სა ძლევს.

ქება შენდა!

კემშარიტი ბრძენი თავის დროზე ჰკვდება...

ქება შენდა, ძალლო, რადგან შენ გაიგე დრო შენის სიკვდი-
ლისა და ჩუმად განშორდი ცხოვრებას. ქება შენდა!

როგორ მინდა ესევე შევასხა ნახევრად მკვდარ ადამიანებს,
რომელნიც ჩვენს ცხოვრებას შხამავენ თავიანთ გახრწნილების,
სიბინძურის სუნით. როგორ მინდა, რომ შენ გაგიხადონ მაგა-
ლითად, სახელოვანო ძალლო!

ისინი უკვე დიდხანია სიკვდილს ატარებდენ თავიანთი გუ-
ლით, მაგრამ ჯერ კიდევ ჰკვნესიან, ისევ ლაპარაკობენ, თავზე
გვასხამენ მყრალ ბალდამს მკვდარ სულებისას...

ქება შენდა, ძალლო!

განდეგილმა ამ პატარა მოთხრობის თარგმნით მთელი თავი-
სი გულის ტკივილი გამოხატა.

ძალლის სიკვდილშია მოთხრობის იდეაც. განდეგილი გმობ-
და კაპიტალისტურ წყობილებას, ილაშქრებდა მოღუნების,
უმოქმედობის წინააღმდეგ, ხოლო გმობისა და ბრძოლის
საუკეთესო მაგალითებით უკეთესი მერმისისაკენ მოუწო-
ლებდა.

* * *

წავიდა წლები. ცხოვრება მას შემდეგ შეიცვალა. მაგრამ
განდეგილის ლიტერატურული მემკვიდრეობა დღესაც საოცა-
რის ძალით ეხმაურება ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ასეთია ყველა პროგრესული მოაზროვნის, პოეტისა თუ მწერლის ბედი, რომელშიც, როგორც სარკეში ისე მოჩანს თავისი დრო და ეპოქა.

ამ მხრივ საოცრად მდიდარი და საინტერესო იყო დომინიკა ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა.

განდევილმა გაიარა საკმაოდ გრძელი და მძიმე გზა. მისი ნათელი და სპეტაკი ცხოვრება, ყოველთვის შესანიშნავი მაგალითი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

უნდა ავლნიშნო, რომ ამ შრომაში ჩვენი ყურადღება გადავიტანეთ დ. ერისთავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, როგორც არის მისი პუბლიცისტიკა, ჟურნალისტიკა, სარედაქციო მუშაობა, რაც შედარებით უცნობია საზოგადოებისათვის.

რასაკვირველია, უფრო ფართოდ შეგვეძლო წარმოგვედგინა მისი პოეზია და პროზა, მაგრამ ვინაიდან განზრახული გვაქვს მომავალ წელს გამოვცეთ განდევილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ვფიქრობთ ყოველივე ეს შეავსებს შრომას და კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ჩვენს საამაყო პოეტსა, მწერალსა და საზოგადო მოღვაწე ქალზე — დომინიკა ერისთავ-განდევილზე.

ბიბლიოგრაფია

1. ალ. ყაზბეგს (ლექსი) — „ივერია“, 1893 წ., № 278.
2. ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი (ლექსი) — „ივერია“, 1893 წ., № 85.
3. „ძველ მეგობარს“ (ლექსი) „ივერია“, 1894 წ., № 37.
4. „პატიმარი“ (ლექსი) — „ივერია“, 1894 წ., № 46.
5. „უმტყუნე განა მუხთალო“ (ლექსი) — „ივერია“, 1894 წ., № 55.
6. „არ ვარგა“ (ლექსი) — „ივერია“, 1894 წ., № 66.
7. „სააღდგომო“ (ლექსი) — „ივერია“, 1894 წ., № 82.
8. ჩემს გულს“ (ლექსი) — „ივერია“, 1894 წ., № 112.
9. ბევრჯერ მინახავს შავი ღლე“ (ფელეტონი) — „ივერია“, 1894 წ. № 141.
10. „ნუცა“ (მოთხრობა) — „ჩეჩილი“, 1895 წ., № 6.
11. „გულგატეხილი“ (ფელეტონი) — „ივერია“, 1895 წ., № 61.
12. „სატანჯველად გაჩენილი ხარ მშვენიერო“ (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 38.
13. „ვეუძღვნი“... (ფელეტონი) — „ივერია“, 1895 წ., № 13.
14. „პა შენთვის გული“ (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 31.
15. „ოცნება“ (ფელეტონი) — „ივერია“, 1895 წ., № 31.
16. „დილა“ (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 104.
17. „არა, არ ვსტირი“ (ლექსი) — „მოამბე“, 1895 წ., № 5.
18. „თავად რაფიელს“ (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 233.
19. „ნუ შეჩვენები“ (ფელეტონი) — „ივერია“, 1895 წ., № 246.
20. „ვინც მიყვარს მისი სიცოცხლე“... (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 273.
21. „გნახე ლამაზი, ნარნარი, ნაზი“... (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 148.
22. „ახალგაზრდა პესიმისტს“ (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 172.
23. „ზამთრის სუსხი სდგას“... (ფელეტონი) — „ივერია“, 1895 წ., № 13.
24. „რას ეაქნევ შეფეთ მეფობას“ (ფელეტონი) — „ივერია“, 1877 — 1895 წწ., № 129.
25. „ნუ შეჩვენები“ (ფელეტონი) — „ივერია“, 1877—1895 წ., № 246.
26. „აი, სად არის შენის ბედნიერება“ (ფელეტონი-მოთხრობა) — „ივერია“, 1895 წ., № 279.

27. „მოხუცი და კაბუკი“ (საახალწლო ფანტაზია) — „ივერია“, 1895 წ., № 1.
28. „ამბორი“ (ლექსი) — „ივერია“, 1895 წ., № 280.
29. „საგურამოში ილიას სახელდახელოდ“ (ლექსი) — საქ. სახ. მუზეუმის ფონდი № 1996, 1895 წ.
30. „ერთი ქართველთაგანის წერილი ილიასადამი“ საქ. სახ. მუზეუმი ილია ქაქავაძის ფონდი № 1720, 1895 წ.
31. „ყოფნა არ ყოფნა“ (ფელეტონი) — „ცნობის ფურცელი“, 1896 — 1905 წ., № 1928.
32. „უსათაურო“ (ლექსი) — „კვალი“, 1896 წ., № 34.
33. „ერთხელ კიდევ გამიღიმე ტყბილად“ კნენია მ. ა-ს (ლექსი) — „კვალი“, 1896 წ., № 31.
34. „იმას ვინც დღეს სხვას შეჰხარის“ (ლექსი) — „კვალი“, 1896 წ., № 35.
35. „ორი შეგობარი“ (მოთხრობა) — „ჩეჩილი“, 1896 წ., № 7.
36. „საგელისხმო იუბილე“ (წერილი) — „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., № 1775.
37. „ფერია“ (მოთხრობა) — „კვალი“, 1896 წ., № 53.
38. „დიდად პატივცემულო კნენის ანასტასია ალექსანდრეს ასულო“ — (წერილი) — საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის ივ. მაჩაბლის ფონდი: № 14265—66.
39. „მიყვარს მე ჩემი ქვეყანა“ (ლექსი) — „კვალი“, 1897 წ., № 40.
40. „რათ ვიმღერო“ (ლექსი) — „კვალი“, 1897 წ., № 7.
41. „ხალხური გამოცანა... ვიხილე კაცი“ — „ჩეჩილი“, 1897 წ., № 2.
42. „მუშა“ (მოთხრობა) — „კვალი“, 1897 წ., № 51.
43. „გვირგვინი — უძღვნი ვუა-ფშაველას“ (მოთხრობა), — „კვალი“ 1897 წ., № 12.
44. „ფოთოლი“ (მოთხრობა) — „კვალი“, 1897 წ., № 24.
45. „ბედნიერების მძებნელი — გადმოკეთებული რუსულიდან“ (მოთხრობა) — „ჩეჩილი“, 1897 წ., № 2.
46. „მე თუ ის“ (ლექსი) — „კვალი“, 1897 წ., № 19.
47. „ფატმა“ (მოთხრობა) — „კვალი“, 1898 წ., № 13.
48. „ორ ზღვას შუა“ (ლექსი) — „მოამბე“, 1900 წ., № 9.
49. „ნუ მისმევ ნექტარს“ (ლექსი) — „მოამბე“, 1900 წ., № 9.
50. „პოეტის ფიქრი“ (ლექსი) — „მოამბე“, 1900 წ., № 2.
51. „გ. წერეთლის დაკრძალვაზე“ (ლექსი) — „ჩეჩილი“, 1900 წ., № 3.
52. „ცელქი სანდრო“ (მოთხრობა) — „კვალი“, 1900 წ., № 1.
53. „იის კონა“ (მოთხრობა) — „კვალი“, 1900 წ., № 15.
54. „და შენ კი მთვარევ“ (ლექსი) — „მოამბე“, 1901 წ., № 12.
55. „სიმღერა“ (ლექსი) — „მოამბე“, 1901 წ., № 6.
56. „ქ-რ-ის“ (ლექსი) — „კვალი“, 1901 წ., № 10.
57. „უკანასკნელი ღამე იუდა ისკარიოტელისა“ (ლექსი) — „კვალი“, 1901 წ., № 14.
58. „პატარა წერილი“ (წერილი) — „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., № 1773.

59. „ხედავ პატარავ“ (ლექსი) — „ნაკადული“, 1904 წ., № 12.
50. „გოდება მაგდალინელისა“ (ლექსი) — „საქართველოს კალენდარი“, 1905 წ.
51. „ძალი“ (ფელეტონი) — „ცნობის ფურცელი“, 1906 წ., № 3003.
52. „გულკეთილი ნიკო“ (მოთხრობა) „ნაკადული“, 1906 წ., № 1.
53. „მთაზედ“ (ლექსი) — „ნაკადული“, 1906 წ., № 2.
54. „კასოს ოცნება“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1906 წ., № 24.
55. „ბუე“ (ფელეტონი) — „ცნობის ფურცელი“, 1906, № 2979.
56. „კაენს სად არის ძმა შენი“ (წერილი) — „ისარი“, 1907 წ.
57. „წერილი გიორგი ზღანოვიჩისადმი“ (წერილი) — ქუთაისის ისტ. ეთნ. მუზეუმში ზღანოვიჩის არქივი № 2470, 1907 წ.
58. „განდევლის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი“ (წერილი) — კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა ნიკოლაძის არქივი № 40—256, 1907 წ.
59. „ნაკადული“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1909 წ., № 4.
70. „პრინცესა“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1909 წ. № 28.
71. „თეთრი ყანჩა“ (ზღაპარი) — „ნაკადული“, 1909 წ., № 11.
72. „ესკიმოსის დედაკაცი“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1909 წ., № 5.
73. „კაართფილი“ (თარგმანი) — „ნაკადული“, 1909 წ., № 8.
74. „საოცარი მკურნალი“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1910 წ., № 2.
75. „საბედოს დღესასწაული“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1910 წ., № 12.
76. „მიწერილი ამბები“ (წერილი) — „სახალხო გაზეთი“, 1910 წ., № 10.
77. „სამაგიერო“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1910 წ., № 19.
78. „ეგვიპტეში გაქცევა“ (ლეგენდა) — „ნაკადული“, 1911 წ., № 12.
79. „სარაჯიშვილის ძეგლის გამო“ (ლექსი) — „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 470.
80. „მოძველებული კული“ (მოთხრობა) — „ნაკადული“, 1911 წ., № 6.
81. „ალ. ხახანაშვილს“ (წერილი) — „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., № 666.
82. „ალ. ხახანაშვილს“ (წერილი) — „ნაკადული“, 1912 წ., № 8.
83. „პოეტი ქალი დღევანდელი პოეზიის შესახებ—გაზ. „თემი“, 1912 წ. № 121.
84. „მწუხრი ფერის ცვალება“ (დარიის) მონასტერში (ფელეტონი) „თემი“, 1913 წ., № 141.
85. „მგოსანი ვაჟა ფშაველა და მისი 35 წლის მოღვაწეობა“ (წერილი) — გაზ. „თემი“, 1913 წ., № 111.
86. „დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ“ (წერილი) — „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1080.
87. „განდევლის წერილი აკაკისადმი“ (წერილი) — საქ. სახ. მუზეუმში აკაკი წერეთლის ფონდი № 2488, 1914 წ.
88. „მოწყალეო ბატონო აკაკისადმი“ (წერილი) — საქ. სახ. მუზეუმში აკ. წერეთლის ფონდი № 2488, 1914 წ.
89. „წერილი აკაკისადმი—ჩემო ძვირფასო ბატონო აკაკი“. საქ. სახ. მუზეუმში აკ. წერეთლის არქივი № 372.

90. „დიდი ხანია მინდოდა წერილის მოწერა“ (წერილი) — საქ. სახ. მუზეუმი აკაკი წერეთლის ფონდი № 372.
 91. „ნაწვეტი კავასიიდან“ (თარგმანი) — „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., № 1125.
 92. „ქართველი ქალები“ (წერილი) — „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 235.
 93. „ჩემი ფსალმუნი — აკაკის მიმართ“ (წერილი) — „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., № 205.
 94. „პატარა ერის დიდებულნი ასულნი“ (წერილი) — „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 478.
 95. „იო. ეედოშვილს“ (ლექსი) — „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 261.
 96. „წერილი ალ. ხახანაშვილისადმი“, საქ. სახ. მუზეუმი ალ. ხახანაშვილის ფონდი № 121.
 97. „წერილი ალ. ხახანაშვილისადმი“, საქ. სახ. მუზეუმი № 2122.
 98. „წერილი ალ. ხახანაშვილისადმი“, საქ. სახ. მუზეუმი ალ. ხახანაშვილის ფონდი № 121.
 99. „წერილი ალ. ხახანაშვილისადმი“, საქ. სახ. მუზეუმი ალ. ხახანაშვილის ფონდი № 121.
 100. „წერილი ალ. ხახანაშვილისადმი“ საქ. სახ. მუზეუმი ალ. ხახანაშვილის ფონდი № 121.
 101. „განდეგილის ლექსთა პირველი კრებული“ (წიგნი) — 1898 წ.
 102. „ა. გრიბოედოვი „ვაი კეუისაგან“ თარგმანი განდეგილისა (წიგნი) — 1904 წ.
 103. „განდეგილის ლექსები და მოთხრობები“ (წიგნი) — 1910 წ. სორაპანის გამოცემა.
 104. ა. გრიბოედოვი „ვაი კეუისაგან“ თარგმანი განდეგილისა (წიგნი — თბილისი, 1945 წ.
-

სარჩევნი

	83.
წინასიტყვაობა	5
დომინიკა ერისთავის ცხოვრება	9
დომინიკა ერისთავი და ქართველი კორიფეები	56
დომინიკა ერისთავის შემოქმედებანი	89
ბიბლიოგრაფია	124

რედაქტორი რ. ბეჟანიშვილი
მხატვარი ნ. კანდელაკი
ტექნიკური ნ. ლლონტი
კორექტორი ლ. არეშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII-60 წ.
ქალაქის ზომა 84×108¹/₃₂.
სააღრიცხვ.-სწავლამომცემლო თაბახი 5,48.
ნაბეჭდი თაბახი 5,6.
საავტორო თაბახი 5, 48
უე 05066. ტირაჟი 2000 შეკვეთა № 449.
ფასი 4 მან. 20 კაპ.
ფასი 1961 წლის 1-ლი იანვრიდან 42 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок